დამოუკიდებელი და ზეპარტიული

# ასავალ დასავალი

WWW.ASAVALI.COM

2024 წლის 9 - 15 დეკემბერი

N 51 1569

ფასი 3 ლარი და 90 თეთრი

# საქართველოში პუტჩი გრძელდება!!!

„საქართველოს რუსეთთან სამხედრო კონფლიქტისათვის ამზადებენ!“

13-14





სიგუა-კიტოვანი-ზურაბიშვილი

*ლაშა ნადარეიშვილი*

## გაყოფილია როდესაც...

გაყოფილია
როდესაც ერი,
ქვაფენილს სისხლით
მორეცხავს მტერი...
და ქალაქების
მაგივრად — მტვერი,
და გულის ნაცვლად —
გულის ნამტვრევი.

გაყოფილია
როდესაც აზრი,
დაკარგავს ერი,
როდესაც საზრისს,
რჩება ამარა
ცარიელ მასრის,
დებენ ქვეყანას
დახლებზე ბაზრის.

გაყოფილია
როდესაც ჟამი
ქვის შეგროვებად
და სროლად ქვების,
მაჩუქე, ღმერთო,
ის ერთი წამი —
გზად სიყვარულის
გადმოსაფრქვევი.

10



8-9



2-3

„სახელმწიფო გადატრიალებაში ჩართული არიან თბილისში მოქმედი ცნობილი გეი-კლუბები...“

6-7





# ზაზა პაპუაშვილი: მსახიობთა გაფიცვა უმწეო და უდღეურ ნაბიჯად მიმაჩნია!

***ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების შესახებ ქართული თეატრისა და კინოს ერთ-ერთ თვალსაჩინო წარმომადგენელს, რუსთაველის თეატრის ცნობილ მსახიობს ზაზა პაპუაშვილს ვესაუბრებით:***

— რასაც ბოლო დღეების განმავლობაში რუსთაველის გამზირზე ვხედავდით, ეს იყო **ჯინკების წარმართული ცეკვა სამშობლოსათვის წაკიდებული ცეცხლის გარშემო.** შეიძლება, ზოგიერთები იქ უმეცრების გამო იდგნენ და დგანან, მაგრამ ეს არავითარი გამართლება არ არის, რადგან დღეს, ტექნოლოგიების ეპოქაში, შეუძლებელია, ინფორმაცია არ გქონდეს, რა ხდება მსოფლიოში და ვერ ხვდებოდე, რა უბედურებას უმზადებენ შენს ქვეყანას.

პირდაპირ ვაცხადებ — ეს აქციები ირიბად ემსახურება საქართველოს ომში ჩათრევას, რუსეთის სამხედრო ძალის შემოყვანას და შეგნებულად სვლას იმ კატასტროფისკენ, რაც უკრაინას სჭირს!

**— თუმცა, აქციის მონაწილეებს მიაჩნიათ, რომ ქვეყანა რუსეთისაკენ სწორედ „ქართულ ოცნებას“ მიჰყავს!**

— ეს მხოლოდ ცარიელი სიტყვები და იდიოტური პროპაგანდაა! კრეტინმა ევროპარლამენტარებმა, რომლებმაც საქართველოს არსი და რაობა კი არა, რუკაზე მისი ადგილმდებარეობაც არ იციან, ბოლო რეზოლუციაში პირდაპირ ჩაწერეს — **სააკაშვილი გაათავისუფლეთ, ივანიშვილი დაასანქცირეთ და გამჭვირვალობისა და ოჯახური ღირებულებების დაცვის კანონები გააუქმეთო...** ესე იგი, თუ ევროკავშირში მიღება გინდათ, თქვენი სახელმწიფო, სუვერენიტეტი, კონსტიტუცია და კანონები თქვენივე ხელით გადაიხიეთ თავზე და მონებივით დაგვემორჩილეთო! როცა ამის შემდეგ მიტინგზე გარბიხარ და ევროპა-ევროპას გაიძახი, გამოდის, რომ მზად ხარ, მონა იყო!

**როცა მკვლელების, მწამებლებისა და გათახსირებულების გვერდით დგები, შენხელა ბიჭებისა და გოგოების, მათი მამებისა და დედების სისხლში ხელგასვრილ ნაძირალებს უმაგრებ ზურგს, რაში მაინტერესებს, ახალგაზრდა ხარ თუ ძველგაზრდა, გეუბნები, რომ იდიოტი და მავნებელი ხარ!**

**ამ შიზევროპელებმა** კარგად დაიმახსოვრონ — არც ევროკავშირში მიგიღებენ და არც — ნატოში! აჰედილ კარებზე გეუბნებიან — ღია არისო, რათა შენით იმანიპულირონ, გაგამაიმუნონ და რაც მოუნდებათ, ის გაგაკეთებინონ!

**— რას იტყვით პრეზიდენტ ზურაბიშვილზე, რომელმაც პროტესტის გამოხატვისაკენ სკოლის მოსწავლეებსაც კი მოუწოდა?**

— ამ კონსტიტუციის დამრღვევ თავხედ ქალს, რომელიც იმპიჩმენტს მხოლოდ ნაცების მხარდაჭერით გადაურჩა, დიდი ხანია, სახალხო ლეგიტამაცია აღარ გააჩნია, რადგან იმ ხალხს, ვინც პრეზიდენტად ავირჩიეთ, უკანალი მოგვიშვირა და ნაცების მეთაურად გადაიქცა!

რასაც ახლა ვიტყვი, პირდაპირ და ზუსტად დაწერეთ — **სალომე ზურაბიშვილი პრეზიდენტის სასახლიდან უნდა გამოათრიო, ხალხის თვალწინ გაროზგო, თავზე პრეზერვატივივით წამოაცვა დეპორტაციის დადგენილება და საქართველოდან გააგდო!**

მოვისმინეთ ლუქსემბურგის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადება — საქართველოს პრეზიდენტმა გვთხოვა, რომ არჩვენების შედეგები არ ვაღიაროთო! ესე იგი, ეს პოლიტიკური პროსტიტუტები და მოღალატეები ევროპას სთხოვენ, 1 120 000 კაცის არჩევანი გააბათილოს და ისინიც ეუბნებიან — კარგი, თქვენი ჭირიმე, თქვენი ხათრით არ ვცნობთ არჩევნების ლეგიტიმაციასო! **ბესმით, სადამდეა დასული ევროპული დემოკრატია, კანონიერება და სამართლიანობა?!**

**26 ოქტომბრის არჩევნებს მილიონზე მეტი ქართველის, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა და პატრიარქის ლეგიტიმაცია გააჩნია და ეროვნული, სუვერენული ქვეყნისათვის ამაზე დიდი გვირგვინი რა უნდა იყოს?!**

**— თუმცა, დასავლური სამყაროსაგან მიღებული ლეგიტიმაციაც მნიშვნელოვანი ყოფილა!**

— კი ბატონო, მაგრამ, თუ დამპლური პოლიტიკის გამო არ გვაძლევენ ამ ლეგიტიმაციას, რა ვქნათ, თავი გავიუქმოთ? გამოვიდა ამერიკელი ქალი, ვიღაც **კიმბერლი ლოუ** და ავტეხეთ ერთი ამბავი — **არიქა, ტრამპის ბანაკის წევრმა გვალი-**



**„ზელენსკის, რომელსაც ქვეყანა თავზე დაანგრიეს და საქართველოს დასასანქცირებლად სცალია, ამერიკელების მიცემული „პატრიოტის“ რაკეტები ერთ ადგილას უნდა გაურჭო!“**

## „პირდაპირ ასე დაწერეთ –

### სალომე ზურაბიშვილი პრეზიდენტის სასახლიდან უნდა გამოათრიო, ხალხის თვალწინ გაროზგო, თავზე პრეზერვატივივით წამოაცვა დეპორტაციის დადგენილება და საქართველოდან გააგდო!“

## კვირგვინოსნები



**ირაკლი კობახიძე**
*საქართველოს პრემიერ-მინისტრი*

**ბოლო მოელება კოჰაბიტაციის ნებისმიერ გამოვლინებას ჩვენს ქვეყანაში,** ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ **სრულად დავამთავროთ ლიბერალური ფაშიზმი** ჩვენს ქვეყანაში. მინდა, ყველას კიდევ ერთხელ ვუთხრა, **ვერც გამჭვირვალედ და ვერც გაუმჭვირვალედ საქართველოში რევოლუცია ვერ მოხდება.**

„პრაიმტაიმი“



**ირაკლი ღარიბაშვილი**
*პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე*

**ვაგრძელებ მუშაობას „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის პოზიციაზე,** ვარ ჩვენი გუნდის წევრი და **ყველა სხვა შინაარსის ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება.**

„რეზონანსი“



**კახა კალაძე**
*თბილისის მერი*

საქართველოს **უკრაინიზაციის გეგმა** არავის გამოუვა! — **„ნაცმაიდანი“ საქართველოში ვერ და არ მოხდება!**

„ინტერპრესნიუსი“



**მამუკა მდინარაძე**
*საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი*

**ჰიტლერი, ლენინი და სააკაშვილი** — მეტი გახსენდებათ სადმე **ბავშვების პოლიტიკაში გამოყენება?** მათ მომხრეებს მივმართავ — მეტი რა უნდა ქნან, რომ მიხვდეთ, **ფაშისტები არიან!**

„ინტერპრესნიუსი“



**რობერტ სტურუა**
*რუსთაველის ეროვნული თეატრის ყოფილი სამხატვრო ხელმძღვანელი*

რამდენიც არ უნდა იდაონ პოლიტიკურმა ძალებმა, **რუსთაველის ეროვნული თეატრი არის ხელოვნების ტაძარი და ის არცერთ პოლიტიკურ ძალას არ ემხრობა,** მისი მოვალეობაა, არ ჩაერიოს პოლიტიკაში. რუსთაველის ეროვნული თეატრი უნდა დარჩეს როგორც **ერის ტაძარი, ერის სულის სიწმინდის მატარებელი.**

„ფეისბუქი“



# „ამ შიგ–ევროპელებმა კარგად დაიმახსოვრონ: არც ევრო–კავშირში მიგვიღებენ და არც – ნატოში!“

**არაო!** ღმერთმა გაუმარჯოს იმ ქალს, საქართველოსთან დაკავშირებით სასიკეთო რაღაცები ილაპარაკა, მაგრამ

**მე არ მინდა, სულ გარეთ ვიყურებოდე და იმის ფიქრით ვიცხოვრო, ხვალ რომელიმე უცხოელი თავზე ხელს გადამისვამს თუ ყურს ამიწევს!**

ქართველების გადამწყვეტი უმრავლესობა ვამბობთ, რომ საქართველოს ბედი ჩვენვე უნდა გადავწყვიტოთ, ერთი მუჭა მარიონეტების ჯოგი კი ევროპელებს შებღავის — საქართველოს დედაც, გარედან დაგვნიშნეთ და უპირობოდ შევასრულებთ თქვენს ბრძანებებსო! ჩვენ ვამბობთ, რომ ჩვენი თავი ჩვენვე უნდა გვეყუდნოდეს, დოქსოპულოების სექტა კი ამერიკელებს ევედრება — ჩვენი თავის დედაც, დაგვიმონეთ, დაგვნიშნეთ და საქართველოს მიწასთან გავასწორებთო! აი, ესაა სხვაობა თავისუფალ და დაჩმორებულ ქართველებს შორის!

**— თქვენი კოლეგების — მსახიობების ერთი ნაწილი რომ გაფიცულია და საპროტესტო აქციებზე დგას, ამაზე რას იტყვით?**

— მსახიობთა გაფიცვა ჩემთვის ღიმილის მომგვრელია, უმწეო და უღლეურ ნაბიჯად მიმაჩნია და მგონია, რომ თავიანთ თავს დასცინიან!

**როცა ქვეყანაში სისხლიანი რეჟიმი მძვინვარებდა და პროტესტის გამოხატვა პირდაპირ სიცოცხლის**



„მათი სოლიდარობის ხმა არც მაშინ გაგვიგია, როცა რუსთაველის თეატრიდან სამხატვრო ხელმძღვანელი რობერტ სტურუა გაუშვეს და ამას ვაპროტესტებდით!“

ზაზა პაპუაშვილი რუსთაველის ეროვნული თეატრის დიდ სცენაზე





ზაზა პაპუაშვილი უცნობის კლიპში „დედაენა“

**რისკთან იყო დაკავშირებული, უცნობი და მე „დედაენის“ კლიპს ვიღებდით, ჩვენი კოლეგების უდიდესი ნაწილი კი ბუჩქებში იყო შემალული და საკუთარი ჩრდილის ეშინოდა.**

მათი სოლიდარობის ხმა არც მაშინ გაგვიგია, როცა რუსთაველის თეატრიდან სამხატვრო ხელმძღვანელი **რობერტ სტურუა** გაუშვეს და ამას ვაპროტესტებდით.

**— ზელენსკიმ საქართველოში 19 კაცი რომ დაასანქცირა, ეს ამბავი როგორ მოგწონთ?**

— **ზელენსკის,** რომელსაც ქვეყანა თავზე დაანგრიეს და საქართველოს დასასანქცირებლად სცალია, ამერიკელების მიცემული „პატრიოტის“ რაკეტები ერთ ადგილას უნდა გაურჭო!

ათიათასობით უკრაინელი შევიფარეთ, სკოლებსა და ბაღებში უკრაინული სექტორები გავუხსენით, საქართველო სავსეა უკრაინელი დეზერტირებით — თეძოზე ქონდადებული ნაძირალებით, რომლებიც ბათუმის პლაჟზე ირუჯებიან მაშინ, როცა მათი ახლობლები უკრაინაში იხოცებიან და მაგათი კრეტინი პრეზიდენტი კიდევ აქეთ გვიწესებს სანქციებს? ამიტომაც არის ნათქვამი, რომ **ღორებს მარგალიტი არ უნდა დაუყარო!**

**— როგორ ფიქრობთ, მას შემდეგ, რაც განვლილი დღეების განმავლობაში რუსთაველის გამზირზე ხდებოდა, ქართულ პოლიტიკაში ნაციონალური მოძრაობის ადგილი კიდევ დარჩა?**

— რა თქმა უნდა, არა!

**თუ ხელისუფლება კოლექტიურ ნაცებს სისხლის სამართლის წესით არ მოსთხოვს პასუხს იმის გამო, რომ „ხლაპუშკიან“ კენგურუებს ქვეყანას ანგრევინებდნენ და აწევევინებდნენ, მაშინ ჩვენ მოვთხოვთ პასუხს ხელისუფლებას!**

*ესაუბრა*

***ჯაბა ხუბუა***

## კვირგვინოსნები

### გიგლა ბარამიძე

*ადამიანის უფლებადამცველი, პოლიტოლოგი*



**პარიზის** ღვთისმშობლის ტაძარში **ტრამპთან** საქართველოს დასაბეზღებლად შეპარულ **სალომე ზურაბიშვილზე** ღვთისმშობლის მადლი **ვერ გადმოვა,** რადგან, დაბეზღება **ცოდვაა!** რუსთაველზე ცეცხლის დანთების პროვოცირება **ცოდვაა!** სკოლის მოწაფეების ფარად აფარება **ცოდვაა!** ტყუილი, ლიქნი, ფარისევლობა **ცოდვაა!** სავარძელს ჩაფრენა და ქვეყნის ამოგდებისათვის აღმა-დაღმა ფრენა დიდზე დიდი **ცოდვაა!**

**ქალბატონო სალომე, ნუ წვალობთ, არ გამოგდით ჟანა დ'არკობა!**

ერთადერთი, რაც მართლაც ალალად გეკუთვნით — **ვადის ამოწურვიდან პირველივე წუთებში თქვენი დაკითხვა თქვენსავე კაბინეტში!**

### მეუფე შიო

*საპატრიარქო ტახტის მოსაყდრე სენაკისა და ჩხოროწყუს მიტროპოლიტი*



სამწუხაროდ, მავანნი იქამდეც მიდიან, რომ **იმის ნაცვლად, დაამშვიდონ მდგომარეობა, ლამობენ სასკოლო ასაკის ბავშვებიც კი ჩართონ ამ დაძაბულ პროცესში.**

„იმედინიუსი“

### ანდრია ჯაღმაიძე

*საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი*



**ქალბატონო სალომე ზურაბიშვილო** — სკოლების შემდეგ, **იმედია, საბავშვო ბაღებს არ მოუწოდებთ** საპროტესტო აქციებში მონაწილეობისკენ.

„პირველი არხი“

### ლუბოშ ბლაჰა

*ევროპარლამენტარი*



თქვენ არ ხართ არც რუსეთის და არც დასავლეთის მხარეს, **თქვენ ხართ სუვერენული ერი, რომელსაც მშვიდობიანი ცხოვრება სურს** — უსამართლობაა თქვენ მიმართ, რომ **ევროპას უნდა ჩაგითრიოთ ომში.**

„პრაიმტაიმი“

### ენტონი ბლინკენი

*აშშ-ის სახელმწიფო მდივანი*



საქართველოში **დემოკრატიულ პროცესებს ვინც ძირს უთხრის,** პასუხისგებაში უნდა მიეცეს. **აშშ ემზადება, გამოიყენოს მის ხელთ არსებული ინსტრუმენტები,** მათ შორის, დამატებითი სანქციები.

„პრაიმტაიმი“

# ᲓᲐᲗᲔᲡᲘᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ

## ᲓᲐᲗᲔᲡᲕᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲮᲔᲕᲐ ᲡᲞᲝᲠᲢᲘ ᲠᲝᲛ ᲘᲧᲝᲡ, ᲓᲐᲕᲘᲗ ᲖᲐᲚᲙᲐᲚᲘᲐᲜᲘ ᲡᲐᲛᲒᲖᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲝᲓᲐ!





ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲔᲚᲩᲘ ᲩᲔᲮᲔᲗᲨᲘ ᲗᲔᲐ ᲛᲐᲘᲡᲣᲠᲐᲫᲔ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲔᲣᲚᲔ – ᲗᲔᲚᲐᲕᲘᲡ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲘ ᲛᲔᲠᲘ ᲚᲔᲕᲐᲜ ᲐᲜᲓᲠᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ



ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲔᲚᲩᲘ ᲐᲨᲨ-ᲨᲘ ᲓᲐᲕᲘᲗ ᲖᲐᲚᲙᲐᲚᲘᲐᲜᲘ

***ადამიანი რაიმე საპასუხისმგებლო საქმეს თავს რომ აარიდებს და უდროო დროს გაეცლება იმ ვითარებას, რომელშიც მისი ყოფნა მნიშვნელოვანი და აუცილებელია, ქალაქური ჟარგონით იტყვიან — ᲓᲐᲘᲗᲔᲡᲐᲝ! ასევე შეიძლება, თქვან — ᲛᲝᲮᲘᲐᲝ! მსგავსი კონტექსტის ბევრი სხვა ჟარგონიც არსებობს — ᲛᲝᲢᲧᲓᲐ, ᲘᲙᲚᲔᲢᲐ და ასე შემდეგ.***

**მივმართავთ თელავის მოქმედ მერს ლევან ანდრიაშვილს — ან იმ ხელისუფლებას უნდა გაემიჯნოთ, რომელსაც თქვენი მეუღლე თეა მაისურაძე ანტიევროპულ ძალად მიიჩნევს და მის მსგავსად თანამდებობიდან თქვენც მოხიოთ, ან მეუღლეს უნდა გაემიჯნოთ და თქვათ, რომ იგი ელჩობიდან სულ ტყუილად გადადგა!**

მარტო უკანასკნელი სამი ათწლეული რომ ავიღოთ, ქართულ პოლიტიკაში **დათესვისა და მოხევის** არაერთი გახმაურებული შემთხვევა მომხდარა... მაგალითად, **1991 წლის დეკემბერში, პუტჩის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე, საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ᲐᲙᲐᲙᲘ ᲐᲡᲐᲗᲘᲐᲜᲘ თბილისიდან დაითესა და ქობულეთის სამთავრობო აგარაკზე მოხია** — სტენოკარდია მაწუხებს და ცოტა ხნით დასვენება მჭირდებაო!

მართალია, თავად **ᲐᲡᲐᲗᲘᲐᲜᲘ** ამტკიცებს — **კი არ დავითესე და მოვხიე, არამედ ქობულეთში ზვიად გამსახურდიას დაჟინებული თხოვნით წავედიო,** მაგრამ პირველი პრეზიდენტის ერთგულ მომხრეთა დიდ ნაწილსა და არამხოლოდ მათ ვერაფრით დააჯერებ, რომ იმ ავბედით დღეებში, როცა საქართველოს ცარგვალი სამოქალაქო ომის ღრუბლებით იქუფრებოდა, უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ეროვნულ ხელისუფლებას არ უგანა და გულის პრანჭვები დათესვისა და მოხევის მიზნით არ მოიგონა.

ასეა თუ ისე, **თბილისში სამხედრო გადატრიალების დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების რანგით მეორე პირის აკაკი ასათიანის ქობულეთში წასვლა და სამთავრობო აგარაკზე წამოწოლა დღემდე ქართული პოლიტიკის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ ᲓᲐᲗᲔᲡᲕᲐᲓ ᲓᲐ ᲛᲝᲮᲔᲕᲐᲓ რჩება.**

რაც შეეხება დღევანდელ სიტუაციას, ბოლო ორი კვირის განმავლობაში საქართველოს ხელისუფლების სხვადასხვა შტოში **დათესვისა და მოხევის** რამდენიმე ფაქტი დაფიქსირდა. კერძოდ, როგორც კი **ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠ-ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲛᲐ ᲙᲝᲑᲐᲮᲘᲫᲔᲛ** გამოაცხადა — ევროკავშირში გაწევრიანებაზე მოლაპარაკების გახსნის საკითხს 2028 წლამდე დღის წესრიგში აღარ დავაყენებთო და ამის გამო თბილისში საპროტესტო აქციები დაიწყო, რამდენიმე უცხო ქვეყანაში **საქართველოს ელჩებმა გადადგომაზე განცხადებები დაწერეს და ერთმანეთის მიყოლებით მოხიეს,** ხოლო საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროდან მინისტრის მოადგილე **ᲗᲔᲘᲛᲣᲠᲐᲖ ᲯᲐᲜᲯᲐᲚᲘᲐ დაითესა.**

**დათესილ და მოხეულ დიპლომატებს** შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ამერიკის შეერთებულ შტატებში საქართველოს ელჩი **ᲓᲐᲕᲘᲗ ᲖᲐᲚᲙᲐᲚᲘᲐᲜᲘ,** რომელიც **დათესვასა და მოხევაში** მანამდეც იყო შემჩნეული. კერძოდ, **ᲖᲐᲚᲙᲐᲚᲘᲐᲜᲘ** „ქართული ოცნების“ ხელისუფლებას ჯერ კიდევ 10 წლის წინათ, 2014 წლის ნოემბერში **დაეთესა,** როცა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის თანამდებობა დატოვა. მაშინ ეს გააკეთა საგარეო საქმეთა მინისტრის **ᲛᲐᲘᲐ ᲤᲐᲜᲯᲘᲙᲘᲫᲘᲡᲐᲓᲛᲘ** სოლიდარობის ნიშნად, რომელიც, თავის მხრივ, იმიტომ გადადგა, რომ **ᲛᲘᲡᲘ ᲡᲘᲫᲔ ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲐᲚᲐᲡᲐᲜᲘᲐ** თავდაცვის მინისტრის პოსტიდან მოხსნეს.

2014 წელს **დათესილი და მოხეული ᲖᲐᲚᲙᲐᲚᲘᲐᲜᲘ** 2016 წელს საქართველოს მთავრობაში **ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠ-ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲛᲐ ᲙᲕᲘᲠᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ** დააბრუნა და ისევ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილედ დანიშნა, 2020 წელს კი, **ᲒᲐᲮᲐᲠᲘᲐᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠ-ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ,** მან საგარეო საქმეთა მინისტრისა და ვიცე-პრემიერის პოსტი დაიკავა. 2022 წელს, როცა საქართველოს მთავრობის მეთაური **ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲦᲐᲠᲘᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘ** იყო, **ზალკალიანი** აშშ-ში ელჩად იქნა წარგზავნილი, თუმცა, ახლა, ქართული სახელმწიფოსათვის კრიტიკულ სიტუაციაში თანამდებობიდან დათესვით დაამტკიცა, რომ **ერთხელ დათესილი კაცის ხელისუფლებაში მეორედ მობრუნება, რბილად რომ ვთქვათ, საჩოთირო საქმეა, რადგან იგი მეორედაც დაგეთესება და გასაჭირში მიგატოვებს.**

თუმცა, კაცმა რომ თქვას, ზალკალიანი ორჯერ კი არა, **სამჯერ დათესილი და მოხეული** გამოდის, რადგან 2016 წელს, „ქართული ოცნების“ მთავრობაში საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილედ მას შემდეგ დაბრუნდა, რაც თავისი ოპოზიციური პარტიიდან — **„თავისუფალი დემოკრატებიდან“ დაითესა.**

მოკლედ, **ᲓᲐᲗᲔᲡᲕᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲮᲔᲕᲐ** სპორტი რომ იყოს, **დავით ზალკალიანი** სამგზის ჩემპიონი იქნებოდა!

ფრიად სპეციფიკურ და არაორდინარულ გარემოებას ვაწყდებით ჩეხეთის რესპუბლიკაში საქართველოს ელჩის თანამდებობიდან **დათესილი და მოხეული ᲗᲔᲐ ᲛᲐᲘᲡᲣᲠᲐᲫᲘᲡ** შემთხვევაში, რომელიც „ქართული ოცნების“ წევრისა და **თელავის მუნიციპალიტეტის მოქმედი მერის ᲚᲔᲕᲐᲜ ᲐᲜᲓᲠᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ** მეუღლე გახლავთ. ესე იგი, რა გამოდის — **ცოლს მიაჩნია, რომ „ქართული ოცნების“ ხელისუფლება საქართველოს ევროპულ მომავალს**

## ᲙᲕᲘᲠᲒᲕᲘᲜᲝᲡᲜᲔᲑᲘ

**ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ ᲮᲣᲜᲓᲐᲫᲔ**
*პარლამენტარი*



ქვეყნის სტაბილურ და მშვიდობიან განვითარებას ვერავინ შეაჩერებს. **ყველა საკადრის პასუხს მიიღებს — დიდი ამრევებიც და პატარა ავანტიურისტებიც.** სიმშვიდის ზიანი და **„რევოლუციური თამაშები“** არავის ეპატიება!

„ᲐᲘᲞᲠᲔᲡᲘ“

**ᲗᲐᲛᲐᲠ ᲩᲔᲠᲒᲝᲚᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



გილოცავთ, 1 დეკემბრიდან საქართველოში ამოქმედდა **„ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვნის დაცვის შესახებ“** კანონი. საქართველო **ზნეობრივი მაგალითი** უნდა გახდეს ევროპისთვის!

„ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ“

**ᲯᲝᲜᲓᲘ ᲑᲐᲦᲐᲗᲣᲠᲘᲐ**
*„ქართული დასის“ ლიდერი*



**მიმდინარეობს ომი არა მთავრობის, არამედ საქართველოს წინააღმდეგ.**

„ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ“

**ᲐᲕᲗᲐᲜᲓᲘᲚ ᲙᲣᲜᲭᲣᲚᲘᲐ**
*პარლამენტის ფრაქცია „ქართული ოცნების“ აპარატის უფროსი*



**რა დონეზე არ უნდა გიყვარდეს შენი ქვეყნის ახალი თაობა, რომ გამოიყვანო აქციაზე და ქვა ასროლინო,** მაგალითად, შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებისთვის.

„ᲘᲛᲔᲓᲘᲜᲘᲣᲡᲘ“

**ᲗᲐᲛᲐᲠ ᲢᲐᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ**
*ევროპის საბჭოში საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი*



ევროპის საბჭო მზად არის, **გააგრძელოს საქართველოს მხარდაჭერა,** მათ შორის, იმ სამოქმედო გეგმის ფარგლებში, რომელიც ქვეყანას ევროპულ გზაზე გაჰყვება.

„ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ“

# მოხეულები, ანუ თანამედროვე კაკო ასათიანების შესახებ


კაკო ასათიანი


პოლიციის პოლკოვნიკი ირაკლი შაიშმელაშვილი

**სპეცრაზმის ერთ-ერთი საკვანძო თანამდებობიდან პოლკოვნიკ შაიშმელაშვილის გადადგომა და ნაცტელეარხების მიერ სპეცრაზმელთა სიების გამოქვეყნება დროში საეჭვოდ დაემთხვა!**

**უსპობს, ქმარი კი იმავე ხელისუფლების ნაწილად რჩება?** ცოლისათვის „ქართული ოცნება“ ანტიევროპული და პრორუსული ძალაა, ქმარი კი იმავე „ქართული ოცნების“ ეგიდით თანამდებობაზე მუშაობას, რუსული ხელისუფლებისაგან რუსული ხელფასის აღებას და შიგადაშიგ რუსული პრემია-დანამატების ჩაჯიბვას აგრძელებს?

ჰოდა, **მივმართავთ თელავის მოქმედ მერს ლევან ანდრიაშვილს** — ან იმ ხელისუფლებას უნდა გაემიჯნოთ, რომელსაც თქვენი მეუღლე **თეა მაისურაძე** ანტიევროპულ ძალად მიიჩნევს და მის მსგავსად თანამდებობიდან თქვენც მოხიოთ, ან მეუღლეს უნდა გაემიჯნოთ და თქვათ, რომ იგი ელჩობიდან სულ ტყუილად გადადგა!

ქართველ დიპლომატთაგან ერთ-ერთი პირველი, ვინც თანამდებობიდან **დაითესა,** სამხრეთ კორეის რესპუბლიკაში საქართველოს ელჩი **თარაშ პაპასქუა** იყო, რომლის შესახებაც სანდო კონფიდენციალური წყარო საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის. მისი თქმით, **ელჩობიდან დათესვისა და მოხევის შემდეგ პაპასქუას „ქართული ოცნების“ ლიდერშიფი და თავისი ზოგიერთი კოლეგაც სატელეფონო ზარებითა და ე.წ. მესიჯებით ჰყავს აკლებული — ეს რა ვქენი, შევცდი, მივქარე და აღარ ვიცი, რა გავაკეთოო!**

პოსტიდან **დათესილთა და მოხეულთა** რიცხვს გასულ კვირას შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის ოპერატიული დაგეგმვის სამმართველოს უფროსი, **პოლკოვნიკი ირაკლი შაიშმელაშვილიც** მიემატა, რომელმაც მინისტრ **ვახტანგ გომელაურის** სახელზე პატაკი დაწერა — **გთხოვთ, ოჯახური პირობების გამო დაკავებული თანამდებობიდან გამათავისუფლოთო!**

როგორც ჩანს, **პოლკოვნიკმა შაიშმელაშვილმა** ნაცლიბერალური პროპაგანდის ზეწოლასა და ე.წ. ბულინგს ვერ გაუძლო ან კიდევ ჩათვალა — ხელისუფლების გემი იძირება და გემბანიდან დროულად გადავხტებიო, თუმცა, მთლად კარის გაჯახუნებაც ვერ გაბედა და თანამდებობიდან **დათესვის** მიზეზად „ოჯახური პირობები“ დაასახელა.

სანამ შინაგან საქმეთა მინისტრის სახელზე პატაკს დაწერდა და მერე თავის ფეისბუქგვერდზე გამოქვეყნებული იმავე პატაკისათვის საქართველოსა და ევროკავშირის დროშების ფოტოს დართვით მიანიშნებდა — თანამდებობიდან პროევროპელობის გამო ვითესებიო, **პოლკოვნიკი შაიშმელაშვილი** იმაზე თუ დაფიქრდა, რომ ამ ნაბიჯით თავისივე მომავალს, ფაქტობრივად, ხაზი გადაუსვა? **ასეთ კაცს, რომელიც სახელმწიფოსათვის რთულ და მძიმე ვითარებაში პასუხისმგებლობას გაექცევა, თანამებრძოლებს მიატოვებს და გუნდს დარტყმის ქვეშ დააყენებს, არასოდეს არცერთი ხელისუფლება აღარ ენდობა და ძალოვან სტრუქტურას არ გაეკარებს!**

სხვათაშორის, სპეცრაზმის ერთ-ერთი საკვანძო თანამდებობიდან **შაიშმელაშვილის** მოხევის მეორე დღესვე ნაცბანდის ტელეკანალიზაციებმა ქართველი სპეცრაზმელების სია და ფოტოები გამოაქვეყნეს, აქაოდა — ესენი არიან, მშვიდობიან მომიტინგეებს რომ არბევენო! ჩვენ არაფერს ვამტკიცებთ და ბრალს არავის ვდებთ, მაგრამ ფაქტია, რომ **განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის ოპერატიული დაგეგმვის სამმართველოს უფროსობიდან პოლკოვნიკ შაიშმელაშვილის** გადადგომა და ნაცტელეარხების მიერ სპეცრაზმელთა სიების გამოქვეყნება დროში საეჭვოდ დაემთხვა.

რაღა ბევრი გავაგრძელოთ, ქართულ პოლიტიკასა და სახელმწიფოს მოხეულები და დათესილები არცერთ დროში არ აკლდა და, ალბათ, არც მომავალში დააკლდება, დღეს კი ასეთი ვითარებაა —


საქართველოს ყოფილი ელჩი სამხრეთ კორეაში თარაშ პაპასქუა

**კორეის რესპუბლიკაში ელჩის თანამდებობიდან დათესვის შემდეგ თარაშ პაპასქუას „ქართული ოცნების“ ლიდერშიფი და თავისი ზოგიერთი კოლეგაც სატელეფონო ზარებითა და ე.წ. მესიჯებით ჰყავს აკლებული — ეს რა ვქენი, შევცდი, მივქარე და აღარ ვიცი, რა გავაკეთოო!**

**თუ ქართული სახელმწიფო ქვეყნის გარედან ორგანიზებულ გადატრიალებას გადაურჩა და მოდერნიზებულმა პუტჩისტებმა ხელისუფლება ვერ დაამხეს, ამ დღეებში დათესილები და მოხეულები ხვალ უკვე აღარავის ემახსოვრება, მაგრამ, თუ საქართველოს გარეულმა და შინაურმა მტრებმა მიზანს უწიეს, მაშინ ეს მოხეულები და დათესილები ქართველ ხალხს სამუდამოდ დაამახსოვრდება**

**ისევე, როგორც კაკო ასათიანის დათესვა და მოხევა 1991 წლის დეკემბრის პუტჩის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე!**

**დათესილებისა და მოხეულებისადმი** ხალხისა და ისტორიის განაჩენი ულმობელი იქნება!

***ჯაბა ხუბუა***

## კვირგვინოსნები


**ქსავიე ბეტელი**
*ლუქსემბურგის საგარეო საქმეთა მინისტრი*

**გვთხოვეს, არჩევნების შედეგები არ ვაღიაროთ, თხოვნა პრეზიდენტის მხრიდანაც იყო.** მე ანგარიში მინდა ვნახო, იყო თუ არა არჩევნები სამართლიანი და **თუ ეს ქართველი ხალხის ნებაა, მაშინ ჩვენ მის ნებას პატივი უნდა ვცეთ.**

„ინტერპრესნიუსი“


**რატი იონათამიშვილი**
*პარლამენტარი*

**ბავშვების ინსტრუმენტალიზაცია პოლიტიკური ნიშნით არის კატეგორიულად მიუღებელი და ამორალური ქმედება,** ვაპირებ, მივმართო UNICEF-ის საქართველოს და საერთაშორისო მისიის ხელმძღვანელებს, ასევე გაეროს ბავშვთა კომიტეტის თავმჯდომარეს. **რასაც სკოლებში კადრულობენ კოლექტიური ნაციონალური მოძრაობის, აგენტურული ოპოზიციის წარმომადგენლები, ჰიტლერისა და ლენინის** შემდეგ მსგავსი სიბინძურე არავის უკადრებია.

„პირველი არხი“


**კიმბერლი ლოუ**
*ტრამპის ადმინისტრაციის ევროკავშირში შესაძლო წარმომადგენელი*

აშშ-ში გარკვეული ქმედებები **უსამართლო იყო საქართველოს მიმართ.** ვიცით, რომ **ტრამპის** ახალ ადმინისტრაციასთან ერთად ეს გაუმჯობესდება.

„პირველი არხი“


**ჯეფრი საქსი**
*ამერიკელი პროფესორი*

მოვლენები საქართველოში **ბაიდენის, სალივანის და ბლინკენის ბოლო გასროლაა!**

„იმედინიუსი“


**პიტერ სიიარტო**
*უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრი*

ეს არჩევნები ოპოზიციას რომ მოეგო, **არ იქნებოდა დემონსტრაციები, არც გარე ზეწოლა** და ყველა შეაქებდა ქართული დემოკრატიის „შესანიშნავ მდგომარეობას“.

„პირველი არხი“

*დასაწყისი იხ. „ა-დ“. 2024 წლის №30-50*



# როგორ აქცია რომან ფიფიამ „დინამო არენა“ სახელმწიფო გადატრიალებაში მონაწილე გეი-კლუბების ბუნაგად!

## ლაზარე ჯორბენაძე:

## რომან ფიფიას „დინამოს“ სტადიონზე შეკრებილი პედე...ტების *(ცენზურა ჩვენია. რედ.)* უფროსები არიან გიორგი ფიფია, აჩიკო გულედანი, გიორგი ბაბუნაშვილი და ბექა ჯაფარიძე!

***უფლებადამცველი ლაზარე ჯორბენაძე საქართველოში არშემდგარი სახელმწიფო გადატრიალების შესახებ საუბრობს და იმ სქემას ასაჯაროებს, რომლითაც რომან ფიფიას „დინამო არენაზე“ ჩაბუდებული ცნობილი გეი-კლუბები და სხვა ძალადობრივი თუ აგენტურული ორგანიზაციები ქვეყანაში ხელისუფლების დამხობას გეგმავდნენ! მისი განცხადებით, ე.წ. „ოპოზიციისა“ და მათი მხარდამჭერი აგრესიული ჯგუფების შიდა, დახურულ ჩათებში, მოვლენათა განვითარების კულმინაციის დროს, იმდენად საშიში და სახიფათო მოწოდებები ვრცელდებოდა, რომ ამ ინფორმაციის გასაჯაროებამ შესაძლოა, საზოგადოება შოკში ჩააგდოს:***

— დანაშაულს აქვს სამი სტადია — მომზადება, მცდელობა და დასრულებული დანაშაული. რაც წინა კვირას რუსთაველის პროსპექტზე ხდებოდა, ეს არავითარი მშვიდობიანი აქცია არ იყო, ეს გახლდათ სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა და გადატრიალებას საქართველოში აწყობდა ამერიკის სპეცსამსახურების მიერ მართული დაჯგუფება — **„კანვას-საქართველო“!**

„კანვას-საქართველოს“ დამფუძნებელი გასაიდუმლოებულია, ის საქართველოში არ არის დარეგისტრირებული, უცხოური კომპანიაა და საქართველოში თავის მიზნებს ახორციელებს შემდეგი ორგანიზაციების მეშვეობით — **„ფრანკლინის კლუბი“ და „თბილისი პრაიდი“.** რა უბედურებაც თბილისში ხდებოდა — პარლამენტის ოთახების დაწვა, ცეცხლის წაკიდება, პოლიციელების ცოცხლად დაწვის მცდელობა, ხეების დაჭრა, მინების ჩამსხვრევა, სათვალთვალო კამერების განადგურება, ტრანსფორმატორის განადგურება, პოლიციელებისთვის ქვების დაშენა, ყველაფერს აკეთებდნენ სწორედ **„კანვასის“, „ფრანკლინის კლუბისა“ და „თბილისი პრაიდის“** წევრები, რომლებმაც **ზურაბ-გირჩი შარვალჩახდილისა** და სერბი თუ ამერიკელი ინსტრუქტორების ხელმძღვანელობით მომზადება გაიარეს როგორც საქართველოში, ისე პოლონეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში.

**— მხოლოდ ეს ორგანიზაციები ცდილობენ გადატრიალების მოწყობას?**

— ამ ორგანიზაციების გარდა სახელმწიფო გადატრიალებაში ჩართული არიან თბილისში მოქმედი ცნობილი გეი-კლუბები: **„ბასიანი“, „გალერი“** და კიდევ ერთი პედე...ტების **(ცენზურა ჩვენია. რედ.)** ორგანიზაცია — **„დინამო არენა ივენთს“,** რომლის 75-პროცენტიანი წილის მფლობელიც არის **გიორგი ფიფია,** სავარაუდოდ, ბიზნესმენ **რომან ფიფიას** ოჯახის წევრი!

**— ამას რით ადასტურებთ?**

— რადგან **„ბასიანის“** მსგავსად, პედე...ტების **(ცენზურა ჩვენია. რედ.)** ორგანიზაცია **„დინამო არენა ივენთს“**-იც **რომან ფიფიას** მფლობელობაში არსებულ **„დინამოს“ სტადიონთან** არის დაკავშირებული, დიდი ეჭვი მაქვს, რომ **გიორგი ფიფია** სწორედ **რომან ფიფიას** ოჯახის წევრი ან ძალიან ახლობელია. თავის მხრივ, **გიორგი ფიფიას** პარტნიორი არის **„სტეპ რეკორდს სტუდიო“,** რომლის დამფუძნებლებიც არიან **არჩილ გულედანი, გიორგი ბაბუნაშვილი და ბექა ჯაფარიძე.**

**— არჩილ გულედანი ე.წ. მომღერალი და ნაცსექტანტი აჩიკო გულედანია?**

— დიახ, **„სტეპ რეკორდს სტუდიოს“** დამფუძნებელი და დირექტორი **აჩიკო გულედანი გიორგი ფიფიასთან** ერთად პედე...ტების **(ცენზურა ჩვენია. რედ.)** კლუბის მოწილეა, ანუ **რომან ფიფიას** „დინამოს“ სტადიონზე შეკრებილი პედე...ტების **(ცენზურა ჩვენია. რედ.)** უფროსები არიან **გიორგი ფიფია, აჩიკო გულედანი, გიორგი ბაბუნაშვილი და ბექა ჯაფარიძე!**

**— კი მაგრამ, რომან ფიფიამ „დინამოს“ სტადიონი პედე...ტების (ცენზურა ჩვენია. რედ.) ბუნაგად რატომ გადააქცია?**

— **რომან ფიფია** რუსეთში გამდიდრებული კაცია. სავარაუდოდ, ვილაცებთან იყო შეკრული, როცა „დინამო“ თბილისის სააქციო პაკეტი ხელში ჩაიგდო. **შევარდნაძის** მმართველობა უკანასკნელ წუთებს ითვლიდა, როცა **ფიფია** 375 ათას დოლარად აქციათა პაკეტს დაეუფლა და **თბილისის „დინამო“** დაფინანსების პირობით შეიძინა. რაც შეეხება **„დინამო არენას“,** სტადიონი **ფიფიას** ნაყიდი არა აქვს, მაგრამ, სამაგიეროდ, ისეთი ჩახლართული სქემა აქვს მოფიქრებული, ეშმაკიც რომ კისერს მოიტეხს. დავიწყოთ იმით, რომ ოფიციალური დოკუმენტების მიხედვით, **რომან ფიფია** დამალულია და საფეხბურთო **კლუბ „დინამო“ თბილისის** 100-პროცენტიანი წილის მფლობელია კვიპროსზე დაფუძნებული **შპს „პავლიკო“.** ეს **შპს „პავლიკო“** არის ოფშორული კომპანია, რომლის უკანაც სწორედ **რომან ფიფია** დგას, ხოლო **„დინამო არენა“** ეკუთვნის საფეხბურთო კლუბ **თბილისის „დინამოს“.**

**— რომან ფიფიამ სტადიონი ხელში მაინც როგორ ჩაიგდო?**

— სტადიონი **რომან ფიფიამ** 50-წლიანი გირავნობის ხელშეკრულებით ჩაიგდო ხელში, რომელიც ნოტარიუსმა **ნინო შარვაძემ** გააფორმა. სხვათაშორის, **რომან ფიფიამ** სტადიონის 50 წლით გირავნობის შესახებ ხელშეკრულება ორჯერ გააფორმა. პირველად ეს მოხდა 2006 წელს, ხოლო მეორედ — 2012 წელს მანამ, სანამ **„ქართული ოცნება“** ხელისუფლებაში მოვიდოდა. ყველაზე საინტერესო იცით, რა არის? **შპს „პავლიკოს“** რომ **„დინამოს“ სტადიონი** 50 წლით აქვს ნაგირავები, ამის შესახებ გირავნობის ხელშეკრულება გასაიდუმლოებულია და მისი ამოღება შეუძლებელია!

**— ეს ყველაფერი რაზე მეტყველებს?**

— როგორც ამ საქმის სპეციალისტი, ვაცხადებ, რომ საქმე გვაქვს დიდ თაღლითობასთან!

**— ვინ დგას „ფრანკლინის კლუბის“ უკან?**

— **„ფრანკლინის კლუბის“** დამფუძნებლები არიან **ალექსანდრე თარხან-მოურავი, გიორგი გოგალაძე, ალექსანდრე ზიბზიბაძე, მარინე კაპანაძე, მარიამ დარჩიევი, ალექსანდრე შარაშენიძე, რამაზ თოფურია, გიორგი ლიუზავეცი, პავლე ჭყოი-**







BASSIANI

**„სახელმწიფო გადატრიალებაში ჩართული არიან თბილისში მოქმედი ცნობილი გეი-კლუბები: „ბასიანი“, „გალერი“ და კიდევ ერთი პედე...ტების (ცენზურა ჩვენია. რედ.) ორგანიზაცია — „დინამო არენა ივენთს“, რომლის 75-პროცენტიანი წილის მფლობელიც არის გიორგი ფიფია, სავარაუდოდ, ბიზნესმენ რომან ფიფიას ოჯახის წევრი!“**

## კვირგვინოსნები

**ვლადიმერ ბოჭაძე**
*პარლამენტარი*



სამარცხვინოა, რომ **ბავშვები და სტუდენტები აიფარონ პოლიტიკოსებმა** და თვითონ საკუთარ კაბინეტებში დამალულები მართავდნენ პროცესებს. **ათი წლის ბავშვის მიერ პოლიციელებისთვის „მოლოტოვის კოქტეილის“ და ქვების სროლა** ერთადერთ რამეს ემსახურებოდა — დაშავებულიყო ბავშვი იმისათვის, რომ საზოგადოებას კიდევ უფრო მძაფრი რეაგირება ჰქონოდა ამაზე.

„ინფო-9“

**სოზარ სუბარი**
*პარტია „ხალხის ძალის“ ლიდერი, პარლამენტარი*



რადიკალებში არსებობს **საკრალურ მსხვერპლთან** (ბავშვთან) დაკავშირებული გეგმა, ამიტომ **ნუ დაუჯერებთ საქართველოს მტერსა და აგენტს სალომე ზურაბიშვილს,** რომელიც სკოლის მოსწავლეებს აქციაზე გამოსვლისკენ მოუწოდებს.

„იმედინიუსი“

**მაია ბითაძე**
*პარლამენტარი*



ჩვენ ვხედავთ **ნაცმაიდნის მოწყობის მილევად პროცესს.** ეს ოპოზიციის **ბოლო გაფართხალებაა.**

„იმედინიუსი“

**ეკა სეფაშვილი**
*პარტია „ხალხის ძალის“ წევრი*



საქართველოს საგარეო უწყებისთვის ეუთოს სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელის მიერ გაგზავნილი წერილი **ცალსახად ნიშნავს საქართველოს ხელისუფლების ლეგიტიმურობის აღიარებას.** „იმედინიუსი“

ძე, კახი კახურიშვილი, საბა ჯაჯანიძე, ალექსანდრე შალიბაშვილი, გიორგი ფოფორაძე, დიმიტრი სანაია. თავის მხრივ, თითოეულ ამ პიროვნებას დაფუძნებული აქვს როგორც არასამთავრობო ორგანიზაციები, ისე შპს-ები, რომელთა საერთო რაოდენობაც **50-ზე მეტია.** იცით, ასეთი ქსელი რატომ სჭირდებათ და კიბოს მეტასტაზებივით რატომ არიან მთელ ქვეყანას მოდებული? იმიტომ, რომ ქვეყნის ასარევად და გადატრიალების მოსაწყობად საქართველოში უცხოური ფული უპრობლემოდ, მცირე ულუფებით შემოიტანონ, რათა ამით სპეცსამსახურების ყურადღება არ მიიპყრონ. საბოლოო ჯამში, მცირე პორციებით შემოსული ფული ერთ დიდ ყულაბაში იყრის თავს, რომელსაც ერთი პატრონი ჰყავს და სწორედ ის წყვეტს, ვის რამდენი მისცეს და როგორ.

## ამას ჰაერზე არ ვლაპარაკობ, ხელში იმ ორგანიზაციების სამეწარმეო საქმეების ამონაწერები მიჭირავს, რომლებიც სწორედ „ფრანკლინის კლუბის" წევრების მიერ არის დაფუძნებული.

ყველაზე საინტერესო იცით, კიდევ რა არის? **„ფრანკლინის კლუბის"** წევრების მიერ დაფუძნებულ შპს-ებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ერთ-ერთი დამფუძნებელი აუცილებლად არის უცხოელი, რომელიც ხან რომელი ქვეყნის წარმომადგენელია და ხან — რომლის. მოკლედ, სქემა ასეთია, ქვეყნის ასარევად უცხოეთიდან გადმორიცხული ფული ჯდება **„ფრანკლინის კლუბის"** დამფუძნებლების მიერ დაფუძნებული შპს-ებისა და „არასამთავრობოების" ანგარიშებზე, მერე ეს ფული „ქეშდება" და ურიგდებათ ამ გველის წიწილებს, რომლებიც წვავენ, ამტვრევენ, ანგრევენ, ესვრიან, ჯღაბნიან და აზიანებენ.

**— ჩვენ, ფაქტობრივად, არ გვისაუბრია გეი-კლუბ „ბასიანზე", რომელსაც სწორედ „დინამოს" სტადიონზე აქვს ბუნაგი!**

— სახელგატეხილი კლუბის, **შპს „ბასიანის"** დამფუძნებელი გახლავთ **ბაკურ ქოქრაშვილი,** რომელიც „საქართველოს საფინანსო კომპანიის" დამფუძნებელი და **„კრედოს"** 25-პროცენტიანი წილის მფლობელია, ხოლო **შპს „ბასიანის"** მეორე მფლობელი გახლავთ **ბესო მარგიანი.** გარდა **შპს „ბასიანისა",** კიდევ არსებობს არასამთავრობო ორგანიზაცია **„ბასიანიც",** რომლის დამფუძნებლებიც არიან **გიორგი მეზვრიშვილი და თეიმურაზ ლანჩავა.** მეზვრიშვილი და ლანჩავა, თავის მხრივ, კიდევ შვიდი ორგანიზაციის დამფუძნებლები არიან და წარმოადგენენ **ბაკურ ქოქრაშვილის** ახლობლებს... ორივე **„ბასიანი"** შექმნილია ერთსა და იმავე მისამართზე. ერთი არის გარყვნილთა კლუბი, ხოლო მეორე — არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელმაც უცხოეთიდან ფული უნდა შემოიტანოს!

# „თუ ვინმე ჩემი ნათქვამის სისწორეში ეჭვს შეიტანს, შემიძლია, ყოველივე ფაქტებით, ოფიციალური მონაცემებით დავუმტკიცო!"



რომან ფიფია

„ოფიციალური დოკუმენტების მიხედვით, რომან ფიფია დამალულია და საფეხბურთო კლუბ „დინამო" თბილისის 100-პროცენტიანი წილის მფლობელია კვიპროსზე დაფუძნებული ოფშორული კომპანია — შპს „პავლიკო", რომლის უკანაც სწორედ რომან ფიფია დგას!"

„რომან ფიფია რუსეთში გამდიდრებული კაცია. სავარაუდოდ, ვილატებთან იყო შეკრული, როცა „დინამო" თბილისის სააქციო პაკეტი ხელში ჩაიგდო!"









**ეს ყველაფერი არის საგანგებოდ მოფიქრებული სქემა, რათა საზოგადოება დაიბნეს და ვერავინ გაიგოს, საიდან და რა თანხებით ფინანსდება საქართველოში როგორც გარყვნილება, ისე აგრესიული ჯგუფები.**

ფული შემოდის არასამთავრობო ორგანიზაცია **„ბასიანში",** მერე ის „ქეშდება", მერე მიდის საფინანსო კომპანიაში, ფული ფულს იგებს და ასე აფინანსებენ იმ აგრესიულ ჯგუფებს, რომლებსაც საქართველოში სახელმწიფო გადატრიალების მოწყობა სურთ! საზოგადოებამ არც ის იცის, რომ საქართველოში არსებობს ორი **„თბილისი პრაიდი".**

**— ესეც საგანგებოდ მოფიქრებული სქემაა?**

— ცხადია! ერთი გახლავთ **შპს „თბილისი პრაიდი",** ხოლო მეორე — არასამთავრობო ორგანიზაცია **„თბილისი პრაიდი",** რომლის დამფუძნებლებიც არიან **მარიამ მელქაძე, ნინო გოგიბერიძე, ანასტასია პირველი-სირაძე, გიორგი კუბლაშვილი, გიორგი თაბაგარი, ბაია ჩიტაია და მორეტა ბოგოხიძე.** ამ გარყვნილთა სექტის დირექტორი არის **თამარ ჯაყელი.** მას, თავის მხრივ, **გიორგი თაბაგართან** ერთად, ფულის „გასაპრავებლად" შექმნილი აქვს **შპს „პრაიდ-შოპსი".** როგორც **„ფრანკლინის კლუბის"** შემთხვევაში, **„თბილისი პრაიდის"** დამფუძნებლებსაც ცალ-ცალკე აქვთ შექმნილი არასამთავრობოები და შპს-ები. მაგალითად, **მორეტა ბოგოხიძეს** დაფუძნებული აქვს **„სამოქალაქო განათლებისა და რეაბილიტაციის ცენტრი", „ქალები საქართველოსთვის", „ევროპის ალუმნების გაერთიანება"...** ანუ სქემა ერთი და იგივეა ყველგან — **„ფრანკლინის კლუბის"** თუ **„ბასიანის"** შემთხვევაში, არასამთავრობო ორგანიზაციებისგან შექმნილია ცოცხალი „პირამიდა". ზემოთაც ვთქვი და კიდევ ერთხელ ვიმეორებ — თანხა ერის გასარყვნელად, ლგბტ პროპაგანდის დასაფინანსებლად და სახელმწიფო გადატრიალების მოსაწყობად უცხოეთიდან შემოდის პატარა ულუფებით ისე, რომ სახელმწიფოს სპეცსამსახურები დიდ ფულს ვერ ხედავენ. არადა, ბოლოს ეს მცირე პორციებით შემოსული ფული ერთდება და საბოლოოდ თავს იყრის დიდძალი თანხა, რომელსაც საქართველოს დასაქცევად იყენებენ!

**— საერთო ჯამში, მაინც რამდენი შპს და არასამთავრობო ორგანიზაციაა ჩართული საქართველოს გარყვნისა და სახელმწიფო გადატრიალების მოწყობის საქმეში?**

— ჩემს ხელთ არსებული დოკუმენტური მასალების თანახმად, **„ფრანკლინის კლუბს", „ბასიანსა" და „თბილისი პრაიდს"** დაახლოებით 150 შპს და არასამთავრობო ორგანიზაცია აქვთ შექმნილი! რასაც ახლა ვიტყვი, შესაძლოა, ამის შესახებ სახელმწიფოს ინფორმაცია აქვს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, საზოგადოების ფართო ფენებისთვის ეს ინფორმაცია უცნობია. **ოფიციალური ინფორმაციით, სამეწარმეო რეესტრში დარეგისტრირებულია 30 118 არასამთავრობო ორგანიზაცია, რომლებიც პირდაპირ უცხოელების მიერ არის დაფუძნებული.**

## თითოეულმა ამ ორგანიზაციამ, მინიმუმ, ათი კაცი რომ მაინც დაიქირაოს და ქუჩაში გამოიყვანოს, ვღებულობთ საშინელ რიცხვს – 300 ათას კაცს, რომელიც გადატრიალებას ნებისმიერ დროს მოახდენს.

საქართველოს ხელისუფლებამ ამ მონაცემებს აუცილებლად უნდა მიაქციოს ყურადღება. ეს ის საკითხია, რომლითაც სუს-ი აუცილებლად უნდა დაინტერესდეს!

**— საქართველოში საკუთრივ ქართველების მიერ შექმნილ არასამთავრობო ორგანიზაციებში დაახლოებით რამდენი კაცია დასაქმებული?**

— ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით, საქართველოში ქართველების მიერ შექმნილ არასამთავრობოებში დასაქმებულია დაახლოებით 10 ათასი კაცი — იმდენი, რამდენიც პიკის დროს დგას ე.წ. ოპოზიციის აქციებზე! ამ 10 ათას კაცში ვგულისხმობ იმათ, რომლებიც არასამთავრობო ორგანიზაციებში მუშაობენ და ხელფასი აქვთ. ეს რიცხვი საყურადღებოა, თუმცა, საშიში არ არის, მაგრამ ის, რომ უცხოეთის მოქალაქეები საქართველოში 30 118 არასამთავრობოს ფლობენ, ძალიან საყურადღებო და სახიფათო სტატისტიკაა!

**— თქვენი მონაცემები რამდენად სარწმუნოა?**

— თითოეული ჩემი სიტყვა ეფუძნება დოკუმენტურ მასალებს, რომლებსაც დიდი რაოდენობით ვფლობ! ასე რომ, თუ ვინმე ჩემი ნათქვამის სისწორეში ეჭვს შეიტანს, შემიძლია, ყოველივე ფაქტებით, ოფიციალური მონაცემებით დავუმტკიცო! რაც შეეხება იმ ინფორმაციას, რომელიც ე.წ. „ოპოზიციისა" და მათი მხარდამჭერი ძალადობრივი ჯგუფების შიდა, დახურულ ჩათებში მოვლენათა განვითარების კულმინაციის დროს ვრცელდებოდა, ეს იმდენად საშიში და სახიფათო თემაა, შესაძლოა, საზოგადოება შოკში ჩავარდეს! ამიტომ, მოდით, ამ თემას სხვა დროს მივუბრუნდეთ!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

# „ფრანკლინის კლუბს", „ბასიანსა" და „თბილისი პრაიდს" დაახლოებით 150 შპს და არასამთავრობო ორგანიზაცია აქვთ შექმნილი!"

## კვირგვინოსნები

**თამარ ჩიხურდანიძე**
*პარტია „ხალხის ძალის" წევრი*



შემირცხვენია დასავლეთის **დამუნჯებული ელჩები,** რომლებიც **ხმას არ იღებენ ბავშვების ჩართვაზე ამ ვანდალიზმში. პრეზიდენტო,** დედის სტატუსი უნდა ჩამოგერთვას, **ქართველობა კი ისედაც ჩამორთმეული გაქვს!**

„იმედინიუსი"

**გიორგი ტყემალაძე**
*თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე*



შევასრულებთ ნაკისრ ყველა ვალდებულებას და **აუცილებლად გავხდებით ევროკავშირის წევრი ქვეყანა.** დაუშვებელია ზოგიერთი **რადიკალური დაჯგუფების დესტრუქცია,** რომელიც საფრთხეს უქმნის ქვეყანას, მის მომავალს.

„ინტერპრესნიუსი"

**ლევან მამალაძე**
*„სტრატეგიული დაგეგმარების ცენტრის" ხელმძღვანელი*



„ქართული ოცნების" ხელისუფლების შეცდომაა, **კოჰაბიტაციის ფონზე ნაცები საკვანძო თანამდებობებზე რომ დატოვეს** და ახლა ეს ხალხი, მათ შორის, ელჩები ნაცმოძრაობის მიტინგებზე აღმოჩნდნენ.

„საერთო გაზეთი"

**თემურ მაისურაძე**
*პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი*



ხელისუფლებისგან მოვითხოვ **ადეკვატურ სიმტკიცეს,** იმიტომ, რომ მისი სისუსტე დღეს ნიშნავს ოპოზიციის გაძლიერებას.

„საერთო გაზეთი"

**რუსული სამხედრო მანქანის მიერ მიწასთან გასწორებული უკრაინის პრეზიდენტმა გაგანია ომში იმისათვის მოიცალა, რომ ქართველი პოლიტიკოსებისა და პოლიტიკასთან სხვადასხვა ფორმით დაკავშირებული პირებისათვის სანქციები დაეწესებინა, რის გამოც საქართველოს პრეზიდენტად წოდებული სალომე ზურაბიშვილის მადლობა დაიმსახურა.** *ზელენსკის მიერ სანქცირებულთა სია 19 ადამიანისაგან შედგება:* ***ბიძინა ივანიშვილი, ირაკლი კობახიძე, კახა კალაძე, მამუკა მდინარაძე, თეა წულუკიანი, ვახტანგ გომელაური, გრიგოლ ლილუაშვილი, შალვა თადუმაძე, მიხეილ ჩინჩალაძე, ლევან მურუსიძე, ოთარ ფარცხალაძე, ირაკლი ქარსელაძე, ზვიად შალამბერიძე, დიმიტრი სამხარაძე, ვიქტორ ჯაფარიძე, კახა ბექაური, ირაკლი რუხაძე, გიორგი კობახიძე და გიორგი (გოგა) ხაინდრავა.*** *როგორც* ***ზელენსკიმ*** *განმარტა, პერსონალური და ეკონომიკური სანქციები იმ ადამიანებს დაუწესა, რომლებიც „საქართველოს ინტერესებს ყიდიან და ქვეყანას პუტინს აბარებენ“, თუმცა, ცოტა არ იყოს, გაუგებარია,* ***ყოფილ თუ მოქმედ მინისტრებთან და პროკურორებთან, პარლამენტის წევრებთან, მოსამართლეებთან და მედია-პერსონებთან ერთად რა პრინციპით მოხვდნენ სანქცირებულთა სიაში პრემიერ-მინისტრ ირაკლი კობახიძის მამა გიორგი კობახიძე და კინორეჟისორი გოგა ხაინდრავა,*** *რომელიც ჩვენთან ინტერვიუში აცხადებს:*



„ეს ჭკუიდან გადასული დედაბერი იქამდე დაეცა, რომ ჰიტლერიუგენდის შექმნა მოინდომა და სკოლის ბავშვებს ძალადობრივ მიტინგში მონაწილეობისაკენ მოუწოდა!“

გოგა ხაინდრავა:

# ვიგინდარა ზელენსკის მიერ ჩემი დასანქცირების შემდეგ ისეთი განცდა მაქვს, თითქოს საქართველოს ღირსების ორდენით დამაჯილდოვა!

— ეს სანქციები უკრაინის ხელისუფლებამ კი არა, **ამერიკულმა პორნოლიბერალიზმმა** დაგვიწესა თავისი ყურმოჭრილი აგენტის, **ბოროტი მასხარა ზელენსკის** ხელით. თუმცა, ჩემთვის სანქცირებულთა სიაში მოხვედრა სასჯელი კი არა, პატივია, რადგან ეს ნიშნავს, რომ სწორად ვიქცევი და საქართველოს სუვერენიტეტის დაცვაში მოკრძალებული წვლილი შემაქვს. **ვიგინდარა ზელენსკის** მიერ ჩემი დასანქცირების შემდეგ ისეთი განცდა მაქვს, თითქოს საქართველომ ღირსების ორდენით დამაჯილდოვა!

**— საზოგადოების დიდ ნაწილს ვერაფრით აუხსნია, რა პრინციპით მოხვდა ზელენსკის მიერ დასანქცირებულთა სიაში ირაკლი კობახიძის მამა — გიორგი კობახიძე, რომელიც დიდი ხანია, პოლიტიკას ჩამოშორდა?**

— **გია კობახიძე,** რომელიც თითქმის 15 წელია, პოლიტიკას არ გაჰკარებია, ეტყობა, იმიტომ დაასანქცირეს, რომ **ირაკლი კობახიძე** გაზარდა, რითიც პორნოლიბერალიზმის, ბაიდენებისა და ბლინკენების წინაშე დიდი დანაშაული ჩაიდინა!

**— სალომე ზურაბიშვილმა ზელენსკის საჯაროდ გადაუხადა მადლობა სანქციების დაწესების გამო!**

— სალომე ზურაბიშვილი საქართველოს ზუსტად ისეთივე მტერია, როგორიც **ზელენსკი** — უკრაინის! ეს **ჭკუიდან გადასული დედაბერი** იქამდე დაეცა, რომ ჰიტლერიუგენდის შექმნა მოინდომა და სკოლის ბავშვებს ძალადობრივ მიტინგში მონაწილეობისაკენ მოუწოდა. დოკუმენტური კადრები არსებობს, ბერლინის დაცემის წინ როგორ გამოიყვანა ჰიტლერმა 14-15 წლის ბიჭები, სამხედრო ფორმა ჩააცვა და ეუბნებოდა — თქვენ უნდა დაიცვათ გერმანიაო! აი, სწორედ ეს გააკეთა **ზურაბიშვილმაც,** როცა სკოლის მოწაფეებს აქეზებდა, იქ დამდგარიყვნენ, სადაც პოლიციელებს პეტარდებს ესროდნენ, გარშემო ყველაფერს წვავდნენ და ვანდალების დასაოკებლად სპეცრაზმი წყლის ჭავლს იყენებდა.

ისე, **ზურაბიშვილის** მხრიდან ფაშისტური გამოხტომები და ჰიტლერის პრეცედენტის გამეორება არც არის გასაკვირი, რადგან **მისი მამა და ბიძა** კოლაბორაციონისტები იყვნენ და საფრანგეთის ნაცისტური ოკუპაციის დროს **ვიშის მთავრობასთან** თანამშრომლობდნენ.

**— ზურაბიშვილის განცხადება ერთია, მაგრამ რამდენიმე სკოლის ადმინისტრაცია და პედკოლექტივიც რომ აჰყვა მის მავნებლურ მოწოდებას, ეს ნაკლები პრობლემაა?**

— საუბედუროდ, **ამ გარყვნილმა პორნოლიბერალიზმმა** წლების განმავლობაში იმდენი მოახერხა, რომ ჩვენი შვილებისა და შვილიშვილების თაობის ერთ ნაწილს გონება დაუბნელა. დიდი ხანია, ვიცით, რომ ე.წ. **ილიაუნი, ბენდუქიძის უნივერსიტეტი** და კიდევ არაერთი უმაღლესი სასწავლებელი ბოლომდე გახრწნეს და უცხო ქვეყნების დაზვერვის იდეოლოგიურ ფილიალებად გადააქციეს, მაგრამ განსაკუთრებით დამთრგუნველი იყო იმის ყურება, სკოლის მასწავლებლები მე-5-მე-6 კლასელ ბავშვებს აქციაზე რომ მიუძღოდნენ... ასეთ ვაი-პედაგოგებს მინდა, ვკითხო — აუდიტორიები და საკლასო ოთახები რისთვის გაქვთ? იქ არ უნდა აუხსნათ ბავშვებს, რა არის სწორი და არასწორი? თუ მოსწავლეების ქუჩაში გამოყრა და ტრანსპარანტებით ხელში სირბილია თქვენი საქმე?

ფაქტია, რომ განათლების სისტემაში სერიოზული რეფორმებია ჩასატარებელი, რათა **პორნოლიბერალებს** ერთხელ და სამუდამოდ გამოვტაცოთ ხელიდან ჩვენი შვილებისა და შვილიშვილების სული და გონება!

**— როგორც რეჟისორი, მსახიობების გაფიცვაზე რას იტყვით?**



„სალომე ზურაბიშვილი საქართველოს ზუსტად ისეთივე მტერია, როგორიც ზელენსკი — უკრაინის!“



„გია კობახიძე, რომელიც თითქმის 15 წელია, პოლიტიკას არ გაჰკარებია, ეტყობა, იმიტომ დაასანქცირეს, რომ ირაკლი კობახიძე გაზარდა, რითიც პორნოლიბერალიზმის, ბაიდენებისა და ბლინკენების წინაშე დიდი დანაშაული ჩაიდინა!“



## კვირგვინოსნები

**ავთანდილ ცინცაძე**
*თბილისის საკრებულოს უმრავლესობის წევრი, საბურთალოს მაჟორიტარი დეპუტატი*



**სალომე ზურაბიშვილი** დიდი ხანია, საქართველოს ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ მოქმედებს და **მოღალატეების რიგებშია,** თუმცა, მხოლოდ მოღალატე კი არა, **ქვეყნის მტერი ხარ,** როცა ცდილობ, სკოლის მოსწავლეები საკუთარი ვიწრო ინტერესების დასაცავად გამოიყენო.

„იმედინიუსი“

**ნანა კაკაბაძე**
*„ერთიანი ნეიტრალური საქართველოს“ წევრი*



ვინაიდან ქვეყნის ჩამოშლა ვერ მოახერხდა, **ამ ოპოზიციამ ჩაილურის წყალი დალია. ახლა ახალი ოპოზიცია უნდა დაიბადოს,** რომელიც შეასრულებს იმ როლს, რომელიც საზოგადოების და სახელმწიფოს ინტერესებშია.

„საქართველოს რესპუბლიკა“

**ნინო წილოსანი**
*პარლამენტარი*



ეჭვი მაქვს, **„ფორმულას“ ჟურნალისტები შიშობენ, მათმა დამფინანსებელმა ტელევიზია არ დახუროს,** ამიტომ ახალ სამუშაო ადგილებს ეძებენ და საზოგადოებრივი მაუწყებლის ხელში ჩაგდება უნდათ.

„პირველი არხი“

**არჩილ გორდულაძე**
*პარლამენტარი*



**გადატრიალება ვისაც უნდა,** იქ გადაბრუნდეს, სადაც თავად სურს, **ქვეყანას თავი დაანებონ!**

„პირველი არხი“

**ალექსანდრე წულაძე**
*განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრი*



ყოვლად მიუღებელია **საგანმანათლებლო დაწესებულებების პოლიტიზება** და ჩვენ უნდა უზრუნველვყოთ, რომ **არ შევიდეს პოლიტიკა საგანმანათლებლო დაწესებულებებში.**

„პირველი არხი“

**– მსახიობების გაფიცვა სასაცილოა და ჟანდაბამდე გზა ჰქონიათ! ნაცებთან რომ დადგები და გვარამიას, ხოშტარიას, ბოკუჩავას, შარვალჩახდილი გირჩისა და კიკუ ვაშაძის მხარდამჭერი იქნები, მეტი უბედურება რაღა უნდა დაგემართოს?**

ვიღაც **უნიჭო ტორესა მოსები,** შეუმდგარი მწერლები და პოეტები, რომლებიც ნაცების მიტინგის კონფერანსიეებად გადაიქცნენ, მწერალთა სახლში შევარდნენ და **ქეთი დუმბაძეს — ნოდარ დუმბაძის შვილს** შეურაცხყოფა მიაყენეს, რაზეც საკადრისი პასუხი მიიღეს მისი ვაჟისაგან — **ნოდარიკო მაჭარაშვილისაგან.** სხვათაშორის, მინდა, გითხრათ, რომ **ნოდარიკო მაჭარაშვილი** არამხოლოდ **ნოდარ დუმბაძის** შვილიშვილია, არამედ თავადაც ნიჭიერი მწერალია და მისი თუნდაც ერთი წიგნი — **„ავი მუსაიფი“** — ამ უნიჭო, შეუმდგარი მწერლების ყველა ნაჯღაბნს ერთად გადაწონის!

**— სპეცრაზმელთა სიების გასაჯაროებაზე რა აზრის ხართ?**

— ჯერ ერთი, კაცმა არ იცის, ეს სიები ნამდვილია თუ არა, რადგან უკვე გამოაშკარავდა რამდენიმე ფაქტი, რომ სიაში არიან შუახანს გადაცილებული ადამიანები, რომლებსაც შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურებში არასოდეს უმუშავიათ... და მეორეც, ამ ბიჭებს დასამალი არაფერი სჭირთ, რადგან თავიანთ მოვალეობას ვაჟკაცურად ასრულებენ და სახელმწიფოს იცავენ. რა თქმა უნდა, იყო რამდენიმე გამონაკლისი, როცა ცალკეულმა სპეცრაზმელმა თუ პოლიციელმა ძალას გადაამეტა და შეუძლებელია, წაქცეული კაცისათვის წიხლის ჩარტყმა ვინმეს მოსწონდეს, მაგრამ, ვინც ამაზე საუბრობს, მომიტინგეების მიერ ჩადენილ ძალადობაზე რატომ ხუჭავს თვალს და დაშავებულ, თავგატეხილ ასზე მეტ პოლიციელს რატომ არ იმჩნევს?

ფეხბურთელებით დაწყებული, მორაგბეებით გაგრძელებული და სხვა სპორტსმენებით დამთავრებული, მინდა, ყველამ იცოდეს — ქართველი პოლიციელებისა და სპეცრაზმელების შეურაცხყოფა მთელი ცხოვრების განმავლობაში ლაქად გაგყვებათ! კი მაგრამ, რას ერჩით ამ ბიჭებს, რომლებიც დღეების განმავლობაში იდგნენ და საშინელ შეურაცხყოფას, ძალადობას, ქვებისა და „მოლოტოვის კოქტეილების“ სროლას, დამიზნებული პეტარდებიდან გახსნილ ცეცხლს იტანდნენ? არ გრცხვენიათ? ესენი ქართველები, თქვენი ძმები და მამები არ არიან?

გამოდის „უეფსის“ მებრძოლი **ჭიკაძე** და ამბობს — წაქცეული კაცის ცემა რა ქართველობა არისო! **კი მაგრამ, შენ რომ რინგზე წაქცეულ კაცს სცემ, წიხლებს ურტყამ და არ ეშვები, სანამ ყბა არ მოტყდება ან გონებას არ დაკარგავს, ეგ როგორ არის?**

**— ჰო, მაგრამ ის ხომ სპორტია?**

— ძირს დაგდებულ კაცს წიხლს რომ ურტყამ, ეგ რა სპორტია, თუ ძმა ხარ... ეგ სპორტი კი არა, ჩვეულებრივი ქუჩის ჩხუბია, რომელიც ვიღაცებმა მარკეტინგულად შეფუთეს და ფულის შოვნის წყაროდ აქციეს. თუმცა, ჩემს ახალგაზრდობაში ქუჩაშიც არავინ კადრულობდა დაცემული კაცის ცემას!

**— მას შემდეგ, რაც პოლიციამ რამდენიმე ოპოზიციური პარტიის ოფისიდან დიდი რაოდენობით პიროტექნიკა და „მოლოტოვის კოქტეილები“ ამოიღო, აქციას ძალადობრივი ხასიათი აღარ ჰქონია... ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ მომიტინგეთა ერთი ჯგუფის ექსტრემისტული ქმედებები ნაცოპოზიციის მიერ იყო ინსპირირებული?**

— ცხადია, ყველაფრის უკან ესენი დგანან, ოღონდ პატრონების დავალებით თვალს მიეფარნენ და ოფისებში შეძვრნენ, რათა **სპონტანური სახალხო პროტესტის** იმიტაცია შეექმნათ. **თაღლითი და ვიგინდარა ხაზარაძე,** რომელიც 1989 წლის 9 აპრილს როდიონოვის მხარეს იდგა, თბილისიდან რუსთავში გაიპარა, ვითომ იქიდან ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას იწყებდა. **შარვალჩახდილი ჯაფარიძე** იძახის — „მოლოტოვის კოქტეილები“ ჩაგვიდესო... კი, ჩაგიდეს, როგორ არა! **შარვალი რომ ჩაიხადე, ეგეც ჩაგიდეს? ეტყობა, მაშინ ჩაგიდეს და იმის მერე ჩადებული გაქვს! გვარამიამ, ამ დაბადებით პროკურორმა,** ცოტნე გამსახურდიას 2007 წელს ჯაშუშობის მუხლით წაუყენა ბრალი და ერთი იმ ზვიადისტების თავში ჩამახედა, დღეს მას და ნაცმოძრაობას რომ უჭერენ მხარს!

**— ნაცმაიდნის მორიგი მცდელობა საბოლოოდ ჩაიფუშა თუ სახელმწიფო გადატრიალების საფრთხეს ჯერ კიდევ არ გადაუვლია?**

— ვერავითარი მაიდანი ვერ იქნება, დამთავრდა, მორჩა კინო! ახლა მთავარია, „ქართულმა ოცნებამ“ ნაცმოძრაობის გასამართლების დაპირება შეასრულოს, რისთვისაც, ბოლო მოვლენებიდან გამომდინარე, კიდევ უფრო მყარი საფუძველი შეიქმნა!

*ესაუბრა*
***ჟაბა ხუბუა***




## „ფეხბურთელებით დაწყებული, მორაგბეებით გაგრძელებული და სხვა სპორტსმენებით დამთავრებული, მინდა, ყველამ იცოდეს — ქართველი პოლიციელებისა და სპეცრაზმელების შეურაცხყოფა მთელი ცხოვრების განმავლობაში ლაქად გაგყვებათ!“





**„გვარამიამ, ამ დაბადებით პროკურორმა, ცოტნე გამსახურდიას 2007 წელს ჯაშუშობის მუხლით წაუყენა ბრალი და ერთი იმ ზვიადისტების თავში ჩამახედა, დღეს მას და ნაცმოძრაობას რომ უჭერენ მხარს!“**

## კვირგვინოსნები

**გიორგი ჩაკვეტაძე**
*პარლამენტარი*



სწავლის შეწყვეტისკენ მოგიწოდებენ ადამიანები, რომლებიც სხვისი ხელით ცდილობენ, **პარლამენტი გადაწვან, ქვები ესროლონ და ცეცხლი წაუკიდონ პოლიციას** — არ დაუშვათ საბოტაჟი საგანმანათლებლო სივრცეში!

„ინტერპრესნიუსი“

**დავით კაჭარავა**
*პარლამენტარი*



**ეს არჩევნები ჩვენი ქვეყნის რეფერენდუმი იყო,** რომლის შედეგებზეც ძალიან გაბრაზებულები ხართ, რადგან **პირწმინდად წააგეთ.** რატომ წააგეთ არჩევნები, ამასაც გეტყვით — ოპოზიციის ლიდერებმა, რომლებიც **ილია ჭავჭავაძის დაპრინტული მაისურებით დარბოდნენ,** შეკრიბეს ახალგაზრდობა გმირთა მოედანზე და დაადებინეს ფიცი, რა დროსაც **ილიას მოწოდებიდან ამოიღეს სიტყვა „სარწმუნოება“. ზუსტად ეს არ გაპატიათ საზოგადოებამ!**

გვახსოვს უცხო ქვეყნის წარმომადგენელი, რომელიც მიტინგზე გამოიყვანეთ ქაშვეთის წინ და ამ ადამიანმა **ჩვენს მართლმადიდებელ სარწმუნოებას შეურაცხყოფა მიაყენა — ეს არის სიბნელეო!** თქვენ მას ტაში დაუკარით, ფოტოები გადაუღეთ და თანამებრძოლად გაიხადეთ. **ზუსტად ეს არ გაპატიათ საზოგადოებამ!**

„ინტერპრესნიუსი“

**დავით კუხალეიშვილი**
*ექსპერტი უსაფრთხოების საკითხებში*



განვითარებული მოვლენები პირდაპირ მიანიშნებს იმას, რომ სახეზე არის **სახელმწიფოს გადატრიალების მცდელობა.**

„საქართველოს რესპუბლიკა“

**გიორგი ახვლედიანი**
*ანალიტიკოსი*



„ოცნება“ **ტრამპთან** დაკავშირებით იმედებს ჰაერზე არ ამყარებს. როგორც **კობახიძემ** უკვე თქვა, **მათ აქვთ კომუნიკაცია** და 20 იანვრიდან ეს უკვე ოფიციალურ სახეს მიიღებს.

„საქართველოს რესპუბლიკა“

# «გაემიჯნეთ 25-ე კადრს!»

25TH FRAME where fiction meets reality TM



## ლალი მოროშკინა:

# დასაპატიმრებელი ჯერ კიდევ ბევრია!

— ყველაფერი კარგადაა, დაოკდით, სანერვიულო არაფერია! **— აცხადებს პიარტექნოლოგი, პოლიტოლოგი ლალი მოროშკინა, რომელიც, არც მეტი, არც ნაკლები, რადიკალურმა ოპოზიციამ ამერიკელ რესპუბლიკელ კიმბერლი ლოუს შეადარა:**

— ასე მგონია, საქართველოს პრესცენტრი გავხდი. მთელი კვირის განმავლობაში ვპასუხობდი შეკითხვას — რა ხდება? მადლობა, რომ მომეცით საშუალება, „ასავალ-დასავალის“ საშუალებით ყველას ვუთხრა სათქმელი.

**16-17 დეკემბრისთვის მზადდებოდა სახელმწიფო გადატრიალება, სუს-მა, როგორც ყოველთვის, ძალიან კარგად იმუშავა, დაასწრო მათ და ე.წ. მაიდანი აღკვეთა!**

ხაზგასმით ვამბობ, **ეს იყო პარტიული აქტივით შეფუთილებული აქცია, სადაც ირაკლი კობახიძის სიტყვების ინტერპრეტაცია მოახდინეს.** ძალიანაც კარგი, რომ 16 დეკემბრის ნაცვლად ეს ყველაფერი ახლა მოხდა, ვეღარ მოხერხდა უკრაინაში მებრძოლი ქართველების და სხვა დაჯგუფებების ჩართვა პროცესში.

თუ ეს დღეები რუსთაველზე 8 ათასი კაცი იდგა, მათ საპირწონედ მშვიდობის მომხრე მილიონ 120 ათასი ადამიანია, რომელთათვისაც ერთი დაძახებაც საკმარისია ქუჩაში გასასვლელად! ხალხს ყელში ამოუვიდა ეს იწილო-ბიწილო. იმის ნაცვლად, რომ ბავშვები გაიყვანონ ნაძვის ხეზე, სკოლიდან აქციებზე მიარბენინებდნენ. **მიდით, აბა, სცადეთ მსგავსი რამ ევროპაში, სხვის ბავშვს ქუჩაში მოეფერეთ, მაშინვე პედოფილიის მუხლით დაგაკავებენ. ეს არის ძალადობა არასრულწლოვანზე!**

**— ანუ ევროპაში გაზრდილი საქართველოს სამარცხვინო პრეზიდენტის მოწოდებები ყველაფერთან ერთად დანაშაულებრივიცაა?**

— **დღევანდელი პრეზიდენტი პირველი პედოფილია საქართველოში!** დააკვირდით, სწორედ მაშინ წაბორძიკდნენ, როდესაც ბავშვებს მიადგნენ სკოლაში. ამის გამო მხარდამჭერებიც კი განუდგნენ. როგორ ოპოზიციაშიც არ უნდა ედგე მთავრობას, პირველ ადგილზე ყველასათვის მაინც შვილი დგას.

უზნეობის და შეურაცხყოფის პიკი იყო, როდესაც სალომე ზურაბიშვილმა უცხო ქვეყნის ტელევიზიით განაცხადა — **პოლიციელები ნარკოტიკული ზემოქმედების ქვეშ არიანო.** სააკაშვილის მსგავსად, პრეზიდენტობის ბოლო წლებში, სალომე ზურაბიშვილსაც თვითლიკვიდაციის პროგრამა აქვს ჩართული. რას აკეთებს, უკვე თავადაც ვეღარ ხვდება.

ამდენი გატეხილი და გაძარცული რესტორანი, გაპარტახებული ინფრასტრუქტურა, დასახიჩრებული ჟურნალისტები, აწიოკებული უბნები, დაბულინგებული ხალხი და ძალადობა ბავშვებზე — აი, ეს არის ამათი მშვიდობიანი აქცია!

**— საზოგადოების ნაწილი, მათ შორის, არაპოლიტიკური ადამიანებიც, ფიქრობენ, რომ ხელისუფლება სპეცრაზმელების საშუალებით სასტიკად გაუსწორდა საკუთარ ხალხს.**

— **თქვენი გაზეთის ფურცლებიდან პირადად მინდა, გადავუხადო მადლობა სპეცრაზმს.** წარმოუდგენელია, გაუძლო იმ ბულინგსა და შეურაცხყოფას, რაც მათ აიტანეს — შუა თითის ჩვენება, ფურთხება, დედის გინება და ა.შ. აბა, შეაგინე რომელიმე ქვეყანაში სპეციალური დანიშნულების რაზმის წევრს, ნახავ, რას გიზამენ! საფრანგეთში ყვითელი ჟილეტების აქცია რომ იყო, გადალეწეს ქალაქი, ასობით ადამიანი გარდაიცვალა, ათაიათასობით დასახიჩრდა და დაჭერილ იქნა... ეს ციფრები „გუგლშია“ დაფიქსირებული და შეგიძლიათ, თავადაც გადაამოწმოთ. **ჩვენნაირი ჰუმანური სპეცდანიშნულების რაზმი და პოლიცია არსად არის. უნდა ვიამაყოთ ამით! მაშინ ხომ კარგად ვაქებდით ამ ბიჭებს, მეწყერიდან ხალხი რომ გამოჰყავდათ?!**

დღეს კალმებს ვერ აგდებინებენ ხელიდან დაჭერილ პარტიულ ბოსებს — არაერთი ახალგაზრდა ჩაუშვეს! ყველაფერი თავის ადგილზე დგება. თვითლუსტრაციის პროცესი დაიწყო —

**ისეთი ადამიანები წერენ სოციალურ ქსელში გავიფიცეო, რომლებსაც არც კი ვიცნობდით და მათ მიერ გამოფენილი ფოტოთი გავიგეთ, რომ, თურმე, მსახიობები ყოფილან.**

ეს არის მათი ერთადერთი სპექტაკლი, სადაც ფართო საზოგადოების წინაშე წარდგნენ და კარგად ითამაშეს!

თუ ვინმეს ჰგონია, რომ „ალაჰ აკბარ“ შეძახლებით ერაყელი ექსტრემისტები ტყუილად გამოჩნდნენ რუსთაველზე, უბრალოდ, ბრიყვია. ეს არის გეგმის ნაწილი, რომელიც კოორდინაციაშია ე.წ. შოუ-ბიზნესთან და ე.წ. ელიტურ ბარიგებთან, იმ ნარკოკარტელთან, რომელიც ახლო აღმოსავლეთიდან და არაბული ქვეყნებიდან საქართველოზე გადის. ვიცი, რასაც ვამბობ. 2008 წლის მერე მოსკოვში, კრემლთან, რომ მღერიხარ გაუჩერებლად და ახლა აქ აპროტესტებ საახალწლო კონცერტზე გასვლას, სადაც, მინიმუმ, 10 ათასს გიხდიან, ამ დროს კი ყველამ ვიცით, ერთ „ზახოდზე“ დედას გაყიდი, ჩნდება მთავარი შეკითხვა — **ვინ აფინანსებს ქვეყნის დამხობის სცენარის აღსრულებას?!**

**— მხოლოდ მსახიობები არ გაფიცულან, საკუთარი სურვილით დაწერეს განცხადებები თანამდებობებიდან წასვლის შესახებ სხვადასხვა უწყების თანამშრომლებმა, მათ შორის, ელჩებმაც...**

— **დავით ზალკალიანმა** პირველად გააკეთა ამგვარი განცხადება და არ გადადგა პირველი მოადგილის პოსტიდან **მაია ფანჯიკიძესთან** ერთად? კარგად გაიხსენეთ, რა თქვა მაშინ — გაჩნდა კითხვები ჩვენი ქვეყნის საგარეო კურსთან მიმართებაში და მორალური უფლება არ მაქვს, სხვაგვარად მოვიქცეო. რა ხდება ამის შემდეგ? 2016-2018 წლებში კვლავ დაიკავა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი



„სააკაშვილის მსგავსად, პრეზიდენტობის ბოლო წლებში სალომე ზურაბიშვილსაც თვითლიკვიდაციის პროგრამა აქვს ჩართული. რას აკეთებს, უკვე თავადაც ვეღარ ხვდება!“

# „პრეზიდენტი პირველი პედოფილია დღევანდელ საქართველოში!“

## კვირგვინოსნები

**ბიძინა გიორგობიანი**
*„ერთიანი ნეიტრალური საქართველოს“ ერთ-ერთი დამფუძნებელი*



მიმდინარეობს **პირდაპირი სამოქალაქო დაპირისპირება!** ამას ჰქვია **სამოქალაქო პუტჩი,** სადაც სამხედრო ნაწილები არ მონაწილეობენ, მაგრამ **მონაწილეობს ნახევრად გასამხედროებული ნაწილი ახალგაზრდების,** რომლებიც წლების განმავლობაში დატრენინგებული იყვნენ ოპოზიციონერი ლიდერებისგან.

„საქართველოს რესპუბლიკა“

**მიხეილ სააკაშვილი**
*პატიმარი*



საქართველო მყარად რჩება **მსოფლიო მედიის** ერთ-ერთ მთავარ თემად. ასევე იყო **„ვარდების რევოლუციის“** დროსაც.

„რეზონანსი“

**პაატა ზაქარეიშვილი**
*ექსპერტი კონფლიქტოლოგი*



ბოლო პერიოდში **თუ რამე ოცნება მქონია,** ეს იყო 100 ათასი კაცი ქუჩაში!

„ახალი თაობა“

**დავით ბერძენიშვილი**
*რესპუბლიკური პარტიის წევრი*



**დეკემბრის შუა რიცხვებშიც ძალიან დაიძაბება სიტუაცია,** როდესაც **სალომე ზურაბიშვილს** პრეზიდენტის სასახლიდან გამოგდებას დაუპირებენ.

„ახალი თაობა“

**დავით დარჩიაშვილი**
*ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი*



**ახალი არჩევნები იქნება,** მაგრამ ხელისუფლებას ისე არიან ჩაფრენილები, რომ **მეშინია, მოვლენები კიდევ უფრო დრამატულად არ განვითარდეს და კიდევ უფრო დიდი უბედურება არ მოაწყონ.** არაადეკვატურები არიან, კუთხეში არიან მიმწყვდეულები და იღრინებიან.

„ახალი თაობა“

მოადგილის თანამდებობა, 2018 წელს მინისტრადაც დაინიშნა, საიდანაც უკვე შტატებში საქართველოს სრულუფლებიანი და საგანგებო ელჩი გახდა. ჩვენ გვინახავს ცრემლიანი **ზალკალიანი,** რომელმაც თავის დროზე უგანა თანაგუნდელებს. ეს ის ხალხია, რომლებიც მუდმივად მანიპულირებდნენ.

**ელჩების ნაწილი ანტისახელმწიფოებრივად რომ მუშაობდნენ, ამის შესახებ არაერთხელ მივმართეთ საგარეო საქმეთა სამინისტროს, მაგრამ სიტუაციის დაძაბვა არ უნდოდათ და, სამწუხაროდ, ეს ვითარება მივიღეთ.**

ახლა უფრო მტკივნეულია ეს ყველაფერი, თუმცა, გარწმუნებთ — გაშიფვრა-გაწმენდის პროცესი დაიწყო და მალე დასუფთავებულ საზოგადოებას მივიღებთ.

**— ბევრს ძველი რეჟიმი გაახსენა იმ დაპატიმრებების სერიამ, რაც აქციების დაშლას მოჰყვა... თქვენ?**

— ეს რეპრესია კი არა, სამშობლოს სიყვარულია! მადლობა ღმერთს, როგორც იქნა, კოჰაბიტაცია მთავრდება და ჩანერგილი აგენტები იშიფრებიან, ქვეყანა ჯაშუშებისა და დამაქცევარი სეგმენტისგან იწმინდება. დასაპატიმრებელი ჯერ კიდევ ბევრია!

ეთნიკური აზერბაიჯანელი **ალი ბაბაევი** საქართველოს პატრიოტი მოქალაქეა, სისხლიანი რეჟიმის დროს არცერთი საპროტესტო აქცია არ გამოუტოვებია. ეს უპატიოსნესი, უწყინარი და კეთილშობილი 70 წლის კაცი **სამარცხვინო ელისაშვილმა** სცემა. არ უნდა დასჯილიყო? დაისაჯა კიდეც! ყველა ადამიანმა უნდა იცოდეს, რომ დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში პასუხი მოეთხოვება!

ხელისუფლების ძალადობაზე რომ საუბრობენ, ძალადობა არ არის ის ბულინგი, რასაც განსხვავებული შეხედულებების მქონე ადამიანების მიმართ ახორციელებენ?! — ახლა დუმილი და სახლში ყოფნა დანაშაულიაო. გაიხსენეთ პანდემია. **ერთი ხელწერაა — ფაუჩი-აკერმანის სისტემა!** ადრე იყო — დარჩი სახლში, ახლა არის — არ დარჩე სახლში. მე გავიფიცე, შენ გაიფიცე და ა.შ.

**— პანდემია ახსენეთ და ამირან გამყრელიძის განცხადება გამახსენდა — დასავლეთიდან ათეულობით პროექტი დაპაუზდა, რის გამოც ქვეყნის განვითარება გაგვიჭირდებაო...**

— ამიტომ არ უნდა ეწყინოთ, როცა ეუბნებიან, წაკითხულიდან შინაარსი ვერ გამოგაქვთო.




# „გაშიფვრა-გაწმენდის პროცესი დაიწყო და მალე დასუფთავებულ საზოგადოებას მივიღებთ!“



დავით ზალკალიანი და მაია ფანჯიკიძე ტოვებენ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს. 2014 წელი



„გამყრელიძისნაირებს ნამდვილად ცუდად აქვთ საქმე, რადგან ისინი ხალხის გაბიაბრუებაში და გაბითურებაში ილებდნენ დიდ დაფინანსებას. დღეს რომ ფულზე ნაღვლობს გამყრელიძე, წესით, ახლა ციხეში უნდა იჯდეს!“

## „დავით ზალკალიანმა პირველად გააკეთა ამგვარი განცხადება და არ გადადგა პირველი მოადგილის პოსტიდან მაია ფანჯიკიძესთან ერთად?“

**გამყრელიძისნაირებს ნამდვილად ცუდად აქვთ საქმე, რადგან ისინი ხალხის გაბიაბრუებაში და გაბითურებაში ილებდნენ დიდ დაფინანსებას.** დღეს რომ ფულზე ნაღვლობს გამყრელიძე, წესით, ახლა ციხეში უნდა იჯდეს!

ვინც დღეს საქართველოს ხელისუფლებას აკრიტიკებს და სანქციებზე საუბრობს, ის ხალხია, რომლებიც ან უკვე გადადგა, ან ხელისუფლებაში ყოფნის ორი კვირა აქვს დარჩენილი. ფაქტია, ეს ადამიანები წლების განმავლობაში სააკაშვილის ლობისტები იყვნენ და ბოლო მომენტამდე თავიანთ საქმეს ასრულებენ!

**ბიძინა ივანიშვილს** ყველა რისკი გათვლილი აქვს, ყველაფერში მისი გონივრული განჭვრეტა იგრძნობა. ამიტომაც არის, რომ სიმწრით შარვლებიდან ხტებიან. ვერ ერევიან ამ ადამიანის გონიერებას!!!

**— ამერიკელმა რესპუბლიკელმა კიმბერლი ლოუმაც დაახლოებით მსგავსი მესიჯები გააჟღერა...**

— ვამაყობ ამ ყველაფრით. ვუსმინე ამ ადამიანის ინტერვიუებს, ძალიან საინტერესოა მისი მსოფლმხედველობა, რელიგიის, განათლების მიმართ დამოკიდებულება... შეუძლიათ, სოციალურ ქსელში ნახონ მისი გამოსვლები. სასაცილო ის კი არ არის, მე რომ კიმბერლი ლოუს მადარებენ, სასაცილო ის გახლავთ, რომ ჩემით ცდილობს **ეკა კვესიტაძე** პიარის გაკეთებას, არადა, ვერაფერს დამაკლებს მაგისთანა არარაობების ბულინგი.

კიდევ ერთხელ ვამბობ — ევროპაში ახალი ლიდერები მოდიან და 20 იანვრამდე როგორმე უნდა დავიცადოთ!

**გამორთეთ ე.წ. ოპოზიციური არხები, რომლებიც თავიდან ბოლომდე იმ მეგაპერცებზე არიან აწყობილი, რომელიც ადამიანს ტვინს უხშობს.**

გაემიჯნეთ 25-ე კადრს! ფინიტა ლა კომედია! საფრანგეთის ულტრალიბერალური მთავრობა გადადგა, ტრამპი პარიზში ჩადის, უკრაინა სამშვიდობო მოლაპარაკებებისთვის ემზადება რუსეთთან ამ უკანასკნელის პირობებით.

**ასე რომ, დროა, ჩამოხსნათ ლურჯ-ყვითელი ალმები, ბინძურმა ზელენამ უკვე დასწია დროშა!**

ხელისუფლება გეგმაზომიერად მოქმედებს, ყველაფერი ისე კარგად მიდის, როგორც არასოდეს! დაოკდით, მოდუნდით! ახალი წელი არავის გაუუქმებია, დაიწყეთ მომზადება! სახელმწიფო საიმედო ხელშია!

*ესაუბრა*
***ნატო ფოცხიშვილი***

## კვირგვინოსნები

**მიშა ზარდიაშვილი**
*ძალადობრივი აქციის ეპიცენტრში მცხოვრები ბლოგერი*



**უმძიმესია იმის ყურება,** შენს საკუთარ ფანჯრებს როგორ ჩაუვლის **„მოლოტოვის კოქტეილი“,** თან, არაერთი. **უმძიმესია იმის ყურება,** მიმდებარედ მანქანები და მაღაზიები როგორ ილეწება. და ამ დროს ვუსმენ სინდისთან არცთუ ისე კარგ ურთიერთობაში მყოფ ადამიანებს — **როგორი ზე-მშვიდობიანი აქციააო!** აღარ ვლაპარაკობ იმაზე, რაც სადარბაზოებში ხდება და არც იმაზე **ასაკოვანი დედა ყოველ წამს რომ შიშშია, ცეცხლი არ წაეკიდოს ბინას...** ეს ყველაფერი მოსაწონია?!

„იმედინიუსი“

**ელენე ხოშტარია**
*პარტია „დროას“ ერთ-ერთი ლიდერი*



მე ვარ ორგანიზატორი და **პასუხისმგებლობას ვიღებ ამ აქციებზე,** ყველაფერი გვაქვს, რაც აქციისთვის საჭიროა — **ძალიან ბევრი პარალონი, ფეიერვერკი, კიდევ შევიძენთ, მოვიტანთ!**

„რეზონანსი“

**ნიკა ჩიტაძე**
*ანალიტიკოსი*



დღეს ისე შეიცვალა სიტუაცია, რომ **გამორიცხული არ არის, პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილი შეიწყალოს.** თუმცა, რამდენად მიზანშეწონილი იქნება **მიშას აქციაზე ყოფნა,** ესაა საკითხავი.

„რეზონანსი“

**გიორგი ჩალაძე**
*ნაციონალური მოძრაობის წევრი*



**მიშას ყოფნა აქციაზე დაასრულებდა ქოციანობას.** აქციაზე მიშას ყოფნას საჭიროებს **სალომეს** ხელმოწერა.

„რეზონანსი“

# ალი ბაბაევი: ალეკო ელისაშვილმა ფეხი მკერდის არეში დამარტყა... შემდეგ წავიქეცი და თავი დავარტყი!



ალი ბაბაევი საავადმყოფოს პალატაში, მასზე ალეკო ელისაშვილის მიერ განხორციელებული თავდასხმისა და ფიზიკური ძალადობის შემდეგ



ალი ბაბაევზე თავდასხმისა და ფიზიკური ძალადობისათვის დაკავებულ ალეკო ელისაშვილს სასამართლომ ორთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. ბრალის დამტკიცების შემთხვევაში, მას 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება

***თანამედროვე ქართული პოლიტიკის კინტო ალეკო ელისაშვილი წინასწარ პატიმრობაშია! ცნობილია, რომ მან ორ წელიწადში ყველა ლობეზე მოასწრო გადახტომა: ტელევიზიის პირდაპირ ეთერში ჯერ მამუკა ხაზარაძეს ამოუტრიალა ყველაფერი, მერე იმავე მამუკა ხაზარაძეს პარტიაში შეუძვრა და ხაზარ-ბანკირს სულ ბოდიშები უხადა; მერე მამუკა მდინარაძეს პარლამენტში თავს დაესხა, ხოლო უკანასკნელ ხანს „საქართველოს აზერბაიჯანელთა კონგრესის“ თავმჯდომარეს ალი ბაბაევსაც გადასწვდა:***

## „ხალხს უნდა მშვიდობა და აღმშენებლობა, რაც ალეკო ელისაშვილსა და მისთანა პროვოკატორებს არ ესმით!“

— 2024 წლის 2 დეკემბერს, დაახლოებით 19:00 საათზე, თბილისში, მერაბ კოსტავას №22-ში მდებარე „ავერსის“ აფთიაქთან, ვიდექი და წამლის ყიდვას ვაპირებდი, როცა ჩემი მისამართით ლანძღვა-გინების ხმა მომესმა — **„რუსის მონა ხარ, „ქართული ოცნების“ მონა ხარ, შე არაკაცო!“** რომ შემოვტრიალდი, უკვე დედის გინება დაიწყო... ხელში შემრჩა **ალეკო ელისაშვილი,** რომელსაც 2007 წლიდან ვიცნობ, როცა ოპოზიციის შტაბში დადიოდა. მე ვუთხარი — **არ გრცხვენია, ბიჭო, ამ ხალხში რომ იგინები-მეთქი?** ისევ გააგრძელა დედის გინება... **— შენ დედის ფასი რა იცი-მეთქი!** გამოექანა და დამარტყა რამდენჯერმე... ამის შემდეგ მეც ამეშალა ნერვები და არაერთხელ შევეჭიდეთ ერთმანეთს. ალეკო ელისაშვილმა ფეხი მკერდის არეში დამარტყა, რის შედეგადაც დავეცი... ჯერ წელით შევეჯახე რკინის ღობეს, ხოლო შემდეგ წავიქეცი და თავი დავარტყი!

**— ეს ამბები ვიდეოკამერის კადრებში არ ჩანს!**

— არ ჩანს... ამის შემდეგ **ელისაშვილმა** სახეში და თვალის არეში კიდევ არაერთხელ ჩამარტყა ხელი, რის გამოც გავმწარდი... ვიღაც მუშა მოდიოდა და ფანჯრის მინების საწმენდის ტარი გამოვართვი, რათა ელისაშვილისთვის სამაგიერო მიმეზღო. იქაც არაერთხელ მომხვდა ხელი... ცუდად გავხდი... ვიღაც მოქალაქე დამეხმარა და ჩემი მობილური ტელეფონიდან 112-ში დარეკა. მადლობა **1232-ის ექიმებს** ექიმებს, რომლებიც ოპერატიულად მოვიდნენ. ჯერ ხეჩინაშვილის კლინიკაში გადამიყვანეს, შემდეგ — „კავკასიის მედცენტრში“. თავს ცუდად ვგრძნობდი... ექიმებმა „კატედან“ დაწყებული, ყველანაირი კვლევა ჩამიტარეს...

**— რა და რა დაზიანება გქონდათ?**

— მარჯვენა თვალის ქვეშ მქონდა გაწითლებული და მუხლი მაქვს გადაყვლეფილი. გარდა ამისა, ტკივილი მაქვს გულისა და წელის არეში...

**— პოლიციამ დაგკითხათ?**

— კი ბატონო, პოლიცია მაშინვე მოვიდა და ექიმების თანდასწრებით გამომკითხეს. ექიმმა მითხრა — თქვენი გაშვება არ შეიძლება, ამ ღამით ჩვენთან უნდა დარჩეთო! ექიმის რეკომენდაციას დავმორჩილდი... დილით, 2024 წლის 3 დეკემბერს, საავადმყოფოდან გამომწერეს და მითხრეს — სამი-ოთხი დღე შინ იყავით და წოლითი რეჟიმი დაიცავითო! ჩემი ანალიზის პასუხები გააგზავნეს ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში... იმავე დილით პოლიციიდან მოვიდნენ, მერაბ კოსტავას №22-ში მიმიყვანეს, სურათები გადაიღეს და მერე ვერის განყოფილებაში წამიყვანეს, სადაც ჩვენება მივეცი...

**— ალეკო ელისაშვილს წინასწარი პატიმრობა შეუფარდეს... რას ეტყვით მას „ასავალ-დასავალის“ საშუალებით?**

— 71 წლის ვხდები და ჩემს ცხოვრებაში კაცი არ დამიჭერია, კაიკაცობის მეტი არაფერი მიკეთებია, შეურაცხყოფა არავისთვის მიმიყენებია. რაც ეს ამბავი მოხდა და **ალეკო ელისაშვილი** თავს დამესხა, მთელი საქართველო მირეკავს, სოციალური ქსელებიდან ყველა თანადგომას მიცხადებს, ამ დღეებში 700-ზე მეტმა ფეისბუქმომხმარებელმა გამომიგზავნა მეგობრობა. მთელი მსოფლიოდან — ამერიკიდან და ევროპიდან მირეკავენ ქართველები და აზერბაიჯანელები. თუ ალეკო ელისაშვილს ჩემთან რამე გასარკვევი ჰქონდა, ჩემი ტელეფონი ყველამ იცის, მგონი, მასაც აქვს, დაერეკა და შევხვდებოდი. მაგრამ **ელისაშვილი** მოიქცა არაკაცურად და შუა ქუჩაში ამდენი ხალხის თვალწინ თავს დამესხა. პარლამენტში რომ იყო, მაგას და ბატონ იოსელიანს ვგულშემატკივრობდი, რადგან ხანდახან სამართლიანი გახლდათ მათი პრეტენზიები, მაგრამ ასეთ მოქცევას არავის ვაპატიებ! ყოველივე ზემოთქმულის მიუხედავად, **ალეკო ელისაშვილის** ადვოკატი გამოდის და უსინდისოდ ამტკიცებს, თითქოს მე დავესხი თავს. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ადვოკატების უდიდესი ნაწილი გაყიდულია, ხოლო ე.წ. **„ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“** არის სააკაშვილის ჯალათების ბუდე!

**— როგორ შეაფასებთ საქართველოში მიმდინარე პროცესებს და როგორი იქნება ამ საქმის ბოლო?**

— რაც თბილისში ხდებოდა, ეს იყო საქართველოში სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა! მთელი საქართველო მოვიარე, წინასაარჩევნოდ ყველგან ვხვდებოდი ჩემს ხალხს და სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ **ზვიად გამსახურდიას დროს ჩატარებული რეფერენდუმისა და არჩევნების შემდეგ საქართველოში ასეთი დემოკრატიული არჩევნები არ ჩატარებულა!** სხვათაშორის, არ მახსოვს, საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელები ისეთი მობილიზებული ყოფილიყვნენ, როგორც ამ არჩევნებზე, რადგან ყველა კარგად ხედავს, რომ საქართველო შენდება და ეკონომიკა ძლიერდება! **ხალხს უნდა მშვიდობა და აღმშენებლობა, რაც ალეკო ელისაშვილსა და მისთანა პროვოკატორებს არ ესმით!** იმაზეც გული მწყდება, რომ **სალომე ზურაბიშვილის** გამარჯვებაში მნიშვნელოვანი წვლილი მეც მიმიძღვის. მისი წიგნი აზერბაიჯანულად ვათარგმნინე, დაბადების დღე მივულოცე და საჩუქარიც მივართვი ყვავილებთან ერთად, მაგრამ ეს ქალი აღმოჩნდა უმადური. **სალომე ზურაბიშვილი საქართველოში ქვეყნის დასაქცევად შემოაგზავნეს! არავითარი სიკეთე ამ ქალს არ გაუკეთებია...** ის კი არა, როგორც პრეზიდენტმა, მსუბუქი დანაშაულისთვის მსჯავრდებული სამ და ოთხშვილიანი პატიმრები არ შეიწყალა და კრიმინალები და მკვლელები გაათავისუფლა! **ეს არის ქალი, რომელიც უცხო ქვეყნების პრეზიდენტებს ურეკავს და სთხოვს — საქართველოში ჩატარებული არჩევნების ლეგიტიმურობა არ ცნოთო!**

**— როგორ წარმოგიდგენიათ ქვეყანაში პროცესების განვითარება?**

— „ქართულ ოცნებას“ დაახლოებით 1 მილიონ 200 ათასმა კაცმა მისცა ხმა. ჩვენ თუ ქუჩაში გამოვედით, მაშინ ქვეყანაში სერიოზული პროცესები დაიწყება. თუმცა, დარწმუნებული ვარ, ეს საჭირო არ გახდება, რადგან ქართულ პოლიციას, სპეცსამსახურებსა და, ზოგადად, ქართულ სახელმწიფოს, აქვთ ძალა, ქვეყანაში წესრიგი დაამყარონ და საქართველოში სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა აღკვეთონ!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

## კვირგვინოსნები

**რამაზ საყვარელიძე**
*პოლიტფსიქოლოგი*



**რატომ არის სერგო ორჯონიკიძე მიუღებელი?** იმიტომ, რომ რუსეთის სამხედრო ძალით შემოვიდა და შეცვალა ხელისუფლება საქართველოში. მაშინ რა **განსხვავებაა ორჯონიკიძესა და იმ პოლიტიკოსებს შორის,** რომლებიც ამჟამად ევროპული ძალებით ცდილობენ, ქართველ ხალხს მოახვიონ ის, რაც თვითონ სურთ.

„კვირის პალიტრა“

**შალვა კეკელია**
*ვაკის მაცხოვრის ფერისცვალების სახელობის ტაძრის წინამძღვარი*



ქადაგებებშიც მითქვამს, რომ **არ უნდა იდგე დედაეკლესიისა და პატრიარქის, შენი ღირებულების მაგინებლების გვერდით.** ჩემს მრევლში არიან ისეთებიც, **ვინც აქციაზე დგანან,** ამის გამო არ ვუპირისპირდები, მაგრამ ჩემს აზრს, ცხადია, ვეუბნები.

„კვირის პალიტრა“

**ირაკლი მელაშვილი**
*პოლიტიკის ანალიტიკოსი*



ამ 30-35 წლის განმავლობაში, როდესაც დიდ აქციებზე ვითარება ძალიან მწვავდებოდა, **აქციის ორგანიზატორებსა და სამართალდამცავებს შორის რაღაც შეთანხმება ხდებოდა ხოლმე სიტუაციის განსამუხტად,** რომ პროცესები უბედურებამდე არ მისულიყო. დღეს ესეც კი შეუძლებელია, რადგან **აქეთა მხარეს ვის უნდა დაელაპარაკონ ძალოვნები, რომც მოინდომონ?**

„კვირის პალიტრა“

**იაგო ხვიჩია**
*„გირჩის“ ლიდერი*



**მამუკა ხაზარაძემ „ტვ პირველი“ აქცია პირად ტელევიზიად,** ყველა იქ მომუშავეს აუკრძალა ჟურნალისტობა და **პარტიულ თათბირებს ატარებს პირდაპირ ეთერში.**

რაც აქამდე მიტინგი ვერ დაიშალა, **იანვარში მოვა საცივი** და ყველაფერს დედას უტირებს.

„პირველი არხი“

# ირაკლი გოგავა: საქართველოს რუსეთთან სამხედრო კონფლიქტისათვის ამზადებენ!



***საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში მიმდინარე დრამატული მოვლენების ფონზე პოლიტოლოგ ირაკლი გოგავას ვესაუბრებით:***

— რაც დღეს საქართველოში ხდება, ეს პოლიტიკური პროცესი კი არა, **სპეცსამსახურების ომია!** რამდენიმე დასავლური სახელმწიფოს სპეცსამსახური ქართული სპეცსამსახურის წინააღმდეგ გაერთიანდა, რათა გადატრიალების გზით ხელისუფლებაში მოიყვანოს საკუთარი აგენტურა, რომელიც საქართველოს რუსეთთან ომში ჩართავს!

ცოტა ხნის წინათ საქართველოს საჰაერო სივრცეში შემოფრენილი იყო ამერიკის შეერთებული შტატების სადაზვერვო თვითმფრინავი, რომლის მიზანიც გახლდათ ინფორმაციის მოპოვება, თუ რა რაოდენობის სამხედრო ტექნიკა და ცოცხალი ძალაა განთავსებული ახალგორის, ჯავისა და ცხინვალის რუსულ სამხედრო ბაზებზე. ეს ნიშნავს, რომ საქართველოს რუსეთთან სამხედრო კონფლიქტისათვის ამზადებენ.

**— თუმცა, საზოგადოების ნაწილი ამ საფრთხეს ვერ ხედავს, ზოგს კი საქართველოს ომში ჩათრევაზე საუბარი ხელისუფლების მიერ შეთითხნილ პროპაგანდად მიაჩნია!**

— ყველა გონიერი და მოაზროვნე ადამიანი შესანიშნავად ხვდება, რა კატასტროფას უმზადებენ საქართველოს, მაგრამ, სამწუხაროდ, მოსახლეობის დაახლოებით 20-25 პროცენტი ტვინგამორეცხილია და არ შეუძლია, გათვალოს, რას რა მოჰყვება.

საერთოდ, ჩვენს საზოგადოებაში ლოგიკური და კრიტიკული აზროვნების სერიოზული დეფიციტია, რადგან დასავლეთიდან თავს მოგვახვიეს განათლების ე.წ. ბოლონიური სისტემა, რომელიც სიღრმისეულ განათლებასა და ლოგიკური და კრიტიკული აზროვნების განვითარებაზე კი არა, მხოლოდ უნარჩვევების სწავლებაზეა ორიენტირებული. კაპიტალისტურ სამყაროში მეტროპოლიებისათვის სრულიად საკმარისია, კოლონიის მკვიდრმა 100-მდე თვლა და კალკულატორის გამოყენება იცოდეს, რათა იაფფასიანი სამუშაო შეასრულოს.

**— საქართველოს განათლების სისტემა რომ სერიოზულ კრიზისშია, ეს ბოლო პერიოდში განსაკუთრებით მძაფრად გამოჩნდა. გამოსავალს რაში ხედავთ?**

— **საქართველომ ერთხელ და სამუდამოდ უნდა დააღწიოს თავი განათლების ე.წ. ბოლონიურ სისტემას, რომელიც მხოლოდ იაფფასიანი მომსახურე პერსონალის მომზადებაზეა ორიენტირებული.** აუცილებლად უნდა გამკაცრდეს უმაღლეს სასწავლებელთა აკრედიტაციისა და ლიცენზირების კრიტერიუმები, რადგან საქართველოში დღეს არსებული უნივერსიტეტების აბსოლუტური უმრავლესობა უმაღლეს განათლებას ვერ იძლევა და, ფაქტობრივად, „თხა და გიგოს“ დონით შემოიფარგლება.



> **„რასაც დღეს ბიძინა ივანიშვილი აკეთებს, ეს არის ქართული ამბოხება კოლონიალიზმის წინააღმდეგ!“**

**— საქართველოს რუსეთთან სამხედრო კონფლიქტში ჩათრევის მცდელობა, რაც უკრაინის ომის საწყის ეტაპზე თვალსაჩინო იყო, დღეს კვლავ აქტუალური რატომ გახდა?**

— საქმე ის არის, რომ **კოლექტიურ დასავლეთს უკრაინის ფრონტზე სერიოზული პრობლემები აქვს.** მიუხედავად იმისა, რომ ბოლო სამი წლის განმავლობაში ზელენსკის დიდი რაოდენობით მიაწოდეს თითქმის ყველანაირი ტიპის იარაღი, რუსეთი ფრონტის ხაზზე მაინც წინ მიიწევს, ნატო კი გაიჭედა და ცუგცვანგში აღმოჩნდა. შესაბამისად, აუცილებელია **მეორე ფრონტის** გახსნა, რათა რუსეთს თავისი სამხედრო რესურსის დაქსაქსვა და მისი ერთი ნაწილის სხვაგან გადასროლა მოუხდეს.

კოლექტიური დასავლეთის გათვლით, მეორე ფრონტის გასახსნელად ყველაზე ხელსაყრელი ადგილია საქართველო, რომლის ტერიტორიების ნაწილი რუსეთის მიერ არის ოკუპირებული. თანაც, ქართველები ემოციური ხალხია, რომელიც შეგიძლია, ადვილად წამოაგო ისეთ ყალბ ლოზუნგებსა და იდეალებზე, როგორიც არის „ევროპული მომავალი“, „დემოკრატია“, „თავისუფლება“ და ა.შ. აკი, დღესაც სწორედ ეს ხდება — **ქართველების ერთი ნაწილი ვითომ ევროპული მომავლის გადასარჩენად იბრძვის და ვერ ხვდება, რომ ევროკავშირში კი არა, სასაკლაოზე მიჰყავთ.** ტვინგამორეცხილებს ვერ წარმოუდგენიათ, როგორ შეიძლება, დასავლეთი ასეთი ბოროტი იყოს და **ურსულა ფონ დერ ლაიენს** საქართველოს ომში ჩართვა სურდეს, არადა, სწორედ ის არის ომის ერთ-ერთი ყველაზე დიდი დემონი ევროპაში.

მოკლედ, არავის ეგონოს, რომ ამერიკაში რომელიმე ჯო ან დიდ ბრიტანეთში რომელიმე უილიამი საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებასა და ქართველების ნათელ მომავალზე ფიქრობს... **კოლექტიური დასავლეთის ერთადერთი ამოცანაა, საქართველო რუსეთის წინააღმდეგ საზარბაზნე ხორცად გამოიყენოს, რაც პირდაპირ ნიშნავს იმას, რომ ქართული სახელმწიფო დამთავრდება!**

**— მაშ, რა გამოდის, ევროკავშირში საქართველოს გაწევრიანება მხოლოდ სატყუარაა?**

> **„გლობალურ ომის პარტიას და მის ადგილობრივ აგენტებს ახლა ერთადერთი სვლაღა დარჩათ — საკრალური მსხვერპლი, ანუ რომელიმე მომიტინგის მკვლელობა!“**

— სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ევროკავშირი საქართველოს წევრად მიღებას არასოდეს აპირებდა, არც ახლა აპირებს და არც მომავალში დააპირებს! მეტსაც გეტყვით, ევროკავშირში საქართველოს კი არა, უკრაინასაც არ მიიღებენ!

და კიდევ: არავის ეგონოს, რომ ევროკავშირთან უვიზო რეჟიმი საქართველოს მონაპოვარია ან დასავლეთმა ჩვენი სიკეთისათვის გვიწყალობა! არამც და არამც! **ევროკავშირმა უვიზო რეჟიმი იმისათვის დაგვიწესა, რომ საქართველოდან გაეწოვა 350 000 აქტიური და შრომისუნარიანი ადამიანი, რომელსაც თავისი ეკონომიკის სასარგებლოდ მესამედ ფასად ამუშავებს!**

> **„ევროკავშირი საქართველოს წევრად მიღებას არასოდეს აპირებდა, არც ახლა აპირებს და არც მომავალში დააპირებს!“**

**— თქვენი აზრით, კიდევ აქვს თუ არა რესურსი ნაცოპოზიციას, ე.წ. ქართული მაიდანი მოაწყოს და ხელისუფლება დაამხოს?**

— გლობალურ ომის პარტიას და მის ადგილობრივ აგენტებს, რომლებიც საპროტესტო მუხტს ვერა და ვერ ზრდიან, ახლა ერთადერთი სვლაღა დარჩათ — საკრალური მსხვერპლი, ანუ რომელიმე მომიტინგის მკვლელობა, რაც ხელისუფლებას უნდა დაბრალდეს! თუმცა, დარწმუნებული ვარ, ამას ვერ შეძლებენ, რადგან ჩვენი სამართალდამცავი ორგანოები საკმაოდ კარგად არიან მომზადებული და სახელმწიფო ძლიერად დგას ფეხზე.

„ქართული ოცნების“ მმართველობის პირობებში, დასავლეთის სპეცსამსახურებმა საქართველოში სახელმწიფო გადატრიალების მოწყობა რამდენჯერმე სცადეს, მაგრამ თავიანთი აგენტურა ასე სრულად არასოდეს გაუშიფრავთ. ახლა ვხედავთ, რომ „მეხუთე კოლონის“ სრული შემადგენლობა, სახელმწიფო სტრუქტურებსა და საჯარო სამსახურებში ჩანერგილი აგენტების ჩათვლით, ერთბაშად გამოყარეს და სახელმწიფო გადატრიალების პროცესში ჩართეს, რადგან ეს კოლექტიური დასავლეთისათვის გენერალური ბრძოლა და ივანიშვილის ხელისუფლების დამხობის უკანასკნელი შანსია.

**— სხვათაშორის, ცნობილმა ამერიკელმა პროფესორმა და ანალიტიკოსმა ჯეფრი საქსმა რამდენიმე დღის წინათ განაცხადა, რომ საქართველოში მიმდინარე მოვლენები ბაიდენისა და ბლინკენის ბოლო გასროლაა!**

— დიახ, გლობალური ომის პარტიის მიზანია, რომ 2025 წლის 20 იანვრამდე, სანამ აშშ-ის პრეზიდენტი **დონალდ ტრამპი** უფლებამოსილების შესრულებას შეუდგება, მაქსიმალური ესკალაცია მოახდინოს ყველგან, სადაც კი ამის საშუალება მიეცემა. უკრაინასაც იმიტომ მისცეს ამერიკული რაკეტების რუსეთის წინააღმდეგ გამოყენების უფლება და საქართველოშიც იმიტომ გაააქტიურეს რევოლუციური პროცესი, რომ **ტრამპს** რაც შეიძლება მეტი პრობლემა დაახვედრონ.

**— ესე იგი, 20 იანვრამდე, სანამ ამერიკაში ტრამპის საპრეზიდენტო ინაუგურაცია არ შედგება, საქართველოში ვითარების დამშვიდებას არ უნდა ველოდოთ?**

— წინ გვაქვს ესკალაციის ორი თარიღი — 2024 წლის 14 დეკემბერი, როცა საქართველოს ახალი პრეზიდენტის არჩევა მოხდება და 29 დეკემბერი, როცა ახალი პრეზიდენტის ინაუგურაცია შედგება. სავარაუდოდ, სწორედ ამ დღეებში ეცდებიან ვითარების კიდევ ერთხელ დაძაბვას და ხელისუფლებაზე გადამწყვეტი იერიშის მიტანას, თუმცა, არაფერი გამოუვათ, რადგან სახელმწიფოც ძლიერია და ქართველი ხალხის უდიდესი ნაწილიც მზად არის, გადატრიალება არ დაუშვას.

საერთოდ, რასაც დღეს **ბიძინა ივანიშვილი** აკეთებს, ეს არის ქართული ამბოხება კოლონიალიზმის წინააღმდეგ, რადგან გლობალური დასავლეთის ზეწოლას არ ემორჩილება და საქართველოს ომში არ რთავს! ეს მარტო ივანიშვილის კი არა, ყველა პატრიოტი ქართველის ომია საქართველოს სუვერენიტეტის დასაცავად და უფლება არ გვაქვს, ერთი ნაბიჯითაც უკან დავიხიოთ!

*ესაუბრა*
**ჟაბა ხუბუა**

## კვირგვინოსნები

**თამარ ჭოხონელიძე**
*მუსიკოსი*



**ემიგრანტებო, აი, სამარცხვინოები ხართ თქვენ!** შევარცხვინე მე თქვენი ქართველობა. არც კი გრცხვენიათ, რასაც აკეთებთ. **გაჩუმდით მაინც, დაიმალეთ ვირთხებივით.** თქვენ არ გაქვთ უფლება, საერთოდ სიტყვა წარმოთქვათ ქართველებთან, რომლებიც მართლა პატრიოტები არიან.

„მთავარი არხი“

**მირიან ყარაულაშვილი**
*საინფორმაციო სააგენტო „ინტერპრესნიუსის“ დამფუძნებელი*



**„საზოგადოებრივ მაუწყებელს“** გადაცემების ბადე მაინც გადავსებული აქვს უაზრო, არაფრისმთქმელი გადაცემებით და ბარემ, **ყოველდღე ერთი საათი გაუშვან ახალი რუბრიკა „გიჟი თავისუფალია“.** არა მგონია, ეს ტელევიზია **ბულაძეების** პოზიციებიდან შორს იდგეს.

„საერთო გაზეთი“

**გიორგი ვაშაძე**
*„ერთიანობა — ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი*



**პოლიციელებს ვეუბნები**

— გაკეთებული გვაქვს ჯგუფი... **იცოდეთ, ყველას სახელი და გვარი გვეცოდინება,** სათითაოდ დაგაიდენტიფიცირებთ.

„რეზონანსი“

**გიორგი გობრონიძე**
*ექსპერტი*



ამერიკელებმა **მხოლოდ „ქართული ოცნების“ ხელისუფლებასთან კი არ გაწყვიტეს ურთიერთობა,** გაწყვიტეს პარტნიორობა საქართველოს სახელმწიფოსთან.

„კვირის პალიტრა“

# თბილისი, რუსთაველის გამზირი, 1991 წლის დეკემბერი



რუსთაველის გამზირი და ფუნიკულიორზე ცეცხლმოკიდებული სატელევიზიო ანძა! **ამ ომის მოთავეები შავ ლაქად დარჩნენ საქართველოს ისტორიაში.** ამჯერად **ფრანგი ქალი-ღამურა** დარჩება შავ და უბინძურეს ლაქად საქართველოს ისტორიაში. პრეზიდენტად გათრეული **„მართლმადიანის“** მოწოდებით კიდევ ერთხელ წვავენ თბილისს, ისე სასტიკად, როგორც მხოლოდ **მაჭმადიანები** წვავდნენ!!!



***მაია ნიკოლეიშვილი:***

— თბილისის ომის დროს **გადამწვარ რუსთაველზე** რომ გავიარე, ცრემლები ვერ შევიკავე. ჩამსხვრეული მინები და მოტეხილი ჭადრის ტოტები ეყარა გზის სავალ ნაწილზე. გულში მეწვოდა

# თბილისი, რუსთაველის გამზირი, 2024 წლის დეკემბერი









# სიგუა-კიტოვანი-ზურაბიშვილი

**ძირს არასრულწლოვანი პირომანებისა და სექტანტი ქვასროლიების ლიდერი!**

ეგ არარაობა ფურთხის ღირსიც აღარ არის!

გვახსოვდეს და არასოდეს ვივიწყებდეთ:

# გენერალისიმუსი

№58 (294) ★ 2024 წლის 9 დეკემბერი ★ გამოდის 2003 წლიდან

**სანამ არსებობს კაპიტალისტური გარემოცვა, იარსებებენ მავნებლებიც, დივერსანტებიც, ჯაშუშებიც, მკვლელებიც და ტერორისტებიც, რომლებსაც ჩვენს ზურგში აგზავნიან უცხო სახელმწიფოთა მზვერავი ორგანოები!**

იოსებ სტალინი

# ყველაფერი, რისი თქმაც საჭირო იყო არჩევნების წინ, უკვე ნათქვამია და არაერთხელ ნათქვამი!



★ თითქოს დღეს ითქვა!

## ამხანაგ ი.ბ. სტალინის სიტყვა

### ქალაქ მოსკოვის სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე 1937 წლის 11 დეკემბერს დიდ თეატრში

**თავმჯდომარე.** სიტყვა ეძლევა ჩვენს კანდიდატს, ამხანაგ სტალინს.

**ამხანაგი სტალინის გამოჩენას ტრიბუნაზე ამომრჩევლები ხვდებიან მქუხარე ოვაციით, რომელიც რამდენიმე წუთის განმავლობაში გრძელდება. დიდი თეატრის მთელი დარბაზი ფეხზე ამდგარი მიესალმება ამხანაგ სტალინს. დარბაზიდან განუწყვეტლივ გაისმის შეძახილები: „გაუმარჯოს დიდ სტალინს, ვაშა!“, „მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული საბჭოთა კონსტიტუციის შემოქმედს ამხანაგ სტალინს, ვაშა!“, „გაუმარჯოს მთელი მსოფლიოს ჩაგრულთა ბელადს, ამხანაგ სტალინს, ვაშა!“**

**სტალინი.** ამხანაგებო, უნდა გამოვტყდე, მე არ მქონდა განზრახვა, გამოვსულიყავი, მაგრამ ჩვენმა პატივცემულმა ნიკიტა სერგეის ძემ, შეიძლება ითქვას, ძალით მომიყვანა აქ, კრებაზე: გვითხარი კარგი სიტყვაო. რაზე ვთქვა, სახელდობრ რა სიტყვა? **ყველაფერი, რისი თქმაც საჭირო იყო არჩევნების წინ, უკვე ნათქვამია და არაერთხელ ნათქვამი** ჩვენი ხელმძღვანელი ამხანაგების კალინინის, მოლოტოვის, ვოროშილოვის, კაგანოვიჩის, ეჟოვის და მრავალი სხვა პასუხისმგებელი ამხანაგის სიტყვებში. რა შეიძლება კიდევ დაემატოს ამ სიტყვებს?

**ამბობენ, საჭიროა განმარტებანი საარჩევნო კამპანიის ზოგიერთ საკითხზეო, რა განმარტებანი, რა საკითხებზე? ყოველივე ის, რისი განმარტებაც საჭირო იყო, უკვე განმარტებულია და არაერთხელ განმარტებული** ბოლშევიკთა პარტიის, კომკავშირის, პროფესიულ კავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს, თავდაცვა-ავიაქიმის, ფიზკულტურის საქმეთა კომიტეტის ცნობილ მიმართვებში. **რა შეიძლება კიდევ დაემატოს ამ განმარტებებს?**

**რასაკვირველია, შეიძლებოდა თქმულიყო ერთგვარი მსუბუქი სიტყვა ყველაფერზე და არაფერზე (ნელი სიცილი). შესაძლოა, რომ ასეთი სიტყვა გაართობდა საზოგადოებას. ამბობენ, რომ ასეთი სიტყვების ოსტატები მოიპოვებიან არა მარტო იქ, კაპიტალისტურ ქვეყნებში, არამედ ჩვენშიაც, საბჭოთა ქვეყანაში (სიცილი, ტაში).** მაგრამ ჯერ ერთი, მე არ ვარ ასეთი სიტყვების ოსტატი. მეორე, განა ღირს გასართობ საქმეებს მივყოთ ხელი ახლა, როდესაც ჩვენ ყველას, ბოლშევიკებს, როგორც იტყვიან, „მუშაობა თავზე საყრელი გვაქვს“. მე ვფიქრობ, რომ არ ღირს.

ცხადია, რომ ასეთ პირობებში კარგ სიტყვას ვერ იტყვი.

და მაინც, რაკი მე ტრიბუნაზე გამოვედი, რასაკვირველია, მიხდება, ასე თუ ისე, ვთქვა ცოტა რამ მაინც **(მქუხარე ტაში).**

უწინარეს ყოვლისა, მე მინდოდა, მადლობა გადამეხადა **(ტაში)** ამომრჩევლებისათვის იმ ნდობისათვის, რომელიც მათ გამოიჩინეს **(ტაში).**

მე დამასახელეს დეპუტატობის კანდიდატად და საბჭოთა დედაქალაქის სტალინის ოლქის საარჩევნო კომისიამ რეგისტრაციაში გამატარა მე, როგორც დეპუტატობის კანდიდატი. ეს, ამხანაგებო, დიდი ნდობაა. ნება მიბოძეთ, დიდი ბოლშევიკური მადლობა გადაგიხადოთ იმ ნდობისათვის, რომელიც თქვენ გამოიჩინეთ ბოლშევიკთა პარტიისადმი, რომლის წევრიც მე ვარ, და პირადად ჩემდამი, როგორც ამ პარტიის წარმომადგენლისადმი **(მქუხარე ტაში).**

მე ვიცი, რას ნიშნავს ნდობა. იგი, ცხადია, მაკისრებს ახალ, დამატებით მოვალეობებს და, მაშასადამე, ახალ, დამატებით პასუხისმგებლობას. რა გაეწყობა, ჩვენ, ბოლშევიკებს, არ გვჩვევია, უარი ვთქვათ პასუხისმგებლობაზე. მე მას ხალისით ვკისრულობ **(მქუხარე ხანგრძლივი ტაში).**

ჩემი მხრით, მე მინდა, დაგარწმუნოთ თქვენ, ამხანაგებო, რომ თამამად შეგიძლიათ, ენდოთ ამხანაგ სტალინს **(მქუხარე, ხანგრძლივი ოვაცია. შეძახილები დარბაზიდან: „ჩვენ კი ყველანი ამხანაგ სტალინთან ვართ!“). შეგიძლიათ, იქონიოთ იმის იმედი, რომ ამხანაგი სტალინი შეძლებს, შეასრულოს თავისი მოვალეობა ხალხის წინაშე (ტაში),** მუშათა კლასის წინაშე **(ტაში),** გლეხობის წინაშე **(ტაში),** ინტელიგენციის წინაშე **(ტაში).**

შემდეგ, მე მინდა, ამხანაგებო, მოგილოცოთ მომავალი საყოველთაო-სახალხო დღესასწაული, საბჭოთა კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების დღე **(ძლიერი ტაში).** მომავალი არჩევნები — ეს უბრალო არჩევნები როდია, ამხანაგებო. ეს მართლაც ჩვენი მუშების, ჩვენი გლეხების, ჩვენი ინტელიგენციის საყოველთაო-სახალხო დღესასწაულია **(მქუხარე ტაში). ჯერ არასოდეს არ ყოფილა მსოფლიოში ასეთი ნამდვილად თავისუფალი და ნამდვილად დემოკრატიული არჩევნები, არასოდეს!** ისტორიამ არ იცის მეორე ასეთი მაგალითი **(ტაში).**

ლაპარაკია არა იმაზე, რომ ჩვენ გვექნება საყოველთაო, თანასწორი, ფარული და პირდაპირი არჩევნები, თუმცა, უკვე ამას თავისთავად დიდი მნიშვნელობა აქვს, ლაპარაკია იმაზე, რომ საყოველთაო არჩევნები ჩვენში ჩატარდება, როგორც ყველაზე უფრო თავისუფალი არჩევნები და ყველაზე უფრო დემოკრატიული, მსოფლიოში ყოველივე სხვა ქვეყნის არჩევნებთან შედარებით.

საყოველთაო არჩევნები ტარდება და მათ ადგილი აქვს ზოგიერთ კაპიტალისტურ, ეგრეთწოდებულ, დემოკრატიულ ქვეყნებშიც. მაგრამ რა ვითარებაში ტარდება იქ არჩევნები? კლასობრივ შეტაკებათა ვითარებაში, კლასობრივი შუღლის ვითარებაში, კაპიტალისტების, მემამულეების, ბანკირებისა და კაპიტალიზმის სხვა ონავრების მხრით ამომრჩევლების მიმართ დაწოლის ვითარებაში. ასეთ არჩევნებს, ისინი გინდაც საყოველთაო, თანასწორი, ფარული და პირდაპირი იყოს, არ შეიძლება ეწოდოს სავსებით თავისუფალი და სავსებით დემოკრატიული არჩევნები.

ჩვენთან, ჩვენს ქვეყანაში, პირიქით, არჩევნები ტარდება სულ სხვა ვითარებაში. ჩვენში არ არიან კაპიტალისტები, არ არიან მემამულეები, მაშასადამე, არც მქონებელი კლასების დაწოლა არის უქონლების მიმართ. ჩვენში არჩევნები ტარდება მუშების, გლეხების, ინტელიგენციის თანამშრომლობის ვითარებაში, მათი ურთიერთნდობის ვითარებაში. მე ვიტყოდი, ურთიერთმეგობრობის ვითარებაში, იმიტომ, რომ ჩვენში არ არიან კაპიტალისტები, არ არიან მემამულეები, არ არის ექსპლოატაცია და კაცმა რომ თქვას, არავინ არის, ვისაც შეუძლია დაწოლის მოხდენა ხალხზე მისი ნებისყოფის დასამახინჯებლად.

აი, რატომ არის ჩვენი არჩევნები ერთადერთი ნამდვილად თავისუფალი და ნამდვილად დემოკრატიული მთელ მსოფლიოში **(ძლიერი ტაში).**

ასეთი თავისუფალი და ნამდვილი დემოკრატიული არჩევნები შეიძლებოდა აღმოცენებულიყო მხოლოდ სოციალისტური წესწყობილების გამარჯვების ნიადაგზე, მხოლოდ იმის ბაზაზე, რომ ჩვენში სოციალიზმი არამხოლოდ შენდება, არამედ უკვე დამკვიდრდა ყოფა-ცხოვრებაში, ხალხის ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებაში. 10 წლის წინათ შეიძლებოდა დისკუსია იმაზე, შეიძლება თუ არა ჩვენში სოციალიზმის შენება. ახლა ეს აღარ არის სადისკუსიო საკითხი. ახლა ეს არის ფაქტების საკითხი, ცოცხალი ცხოვრების საკითხი, ყოფა-ცხოვრების საკითხი, რომლითაც გამსჭვალულია ხალხის მთელი ცხოვრება. ჩვენს ფაბრიკებსა და ქარხნებში მუშაობენ უკაპიტალისტებოდ. მუშაობას ხელმძღვანელობენ ხალხიდან გამოსული ადამიანები. სწორედ ამას უწოდებენ ჩვენში ნამდვილ სოციალიზმს. ჩვენს მინდვრებში მიწის მუშაკები მუშაობენ უმემამულეებოდ, უკულაკებოდ. მუშაობას ხელმძღვანელობენ ხალხიდან გამოსული ადამიანები. სწორედ ამას უწოდებენ ჩვენში სოციალიზმს ყოფა-ცხოვრებაში. სწორედ ამას უწოდებენ ჩვენში თავისუფალ, სოციალისტურ ცხოვრებას.

აი, ამ ბაზაზე აღმოცენდა სწორედ ჩვენში ახალი, ნამდვილად თავისუფა-

*დასასრული „გენერალისიმუსის“ ბოლო გვერდზე*

# ყოველივე ის, რისი განმარტებაც საჭირო იყო, უკვე განმარტებულია და არაერთხელ განმარტებული!

*დასაწყისი იხ. „გენერალისიმუსი“, 2024 წლის №43-57*




# ას ერგასის

## ვიკინგების რიტუალი...

ჰიტლერმა და ევა ბრაუნმა სხვებთან ერთად ისაუზმეს. დარბაზში ოცამდე კაცი შეგროვდა. ფიურერი იქ ბორმანმა შემოიყვანა. იგი საშინელი შესახედავი იყო. ძლივძლივობით ჩამოუარა ყველას და ხელი ჩამოართვა, ჯერ — ქალებს, მერე — მამაკაცებს. ქალებს რომ ხელს ართმევდა, რაღაცას უჩურჩულებდა. საერთო სასადილოდან საშინელი ხმაური და ღრიანცელი ისმოდა. იქ გალეშილი ესესელები მღეროდნენ და ცეკვავდნენ. შიგადაშიგ მთვრალი ქალების კივილიც ერია. ვიღაც გაგზავნეს და სთხოვეს, ჩუმად იყავითო, მაგრამ ღრიანცელი მაინც გაგრძელდა.

სადილობის შემდეგ ჰიტლერი დაემშვიდობა ყველას და თავის ოთახში წავიდა. ზევით კი ისევ გრძელდებოდა ჯოჯოხეთის შაბაში. იყო ერთი ღრეობა, ღრიალი და ქაჯთა როკვა. სიკვდილის წინ ყველა გათანასწორდა, ყველა ერთმანეთს ეხვეოდა და ლოშნიდა.

ორ საათზე ჩვეულებისამებრ მდივან და მზარეულ ქალებთან ისაუზმა. მერე ადიუტანტი გიუნშე იხმო და „ცოტა ალკოჰოლი“ სთხოვა. გიუნშე მაშინვე გავარდა და კემპკას დაურეკა:

— ერიხ, ცოტაოდენი ალკოჰოლი მჭირდება. იქნებ გაქვს ერთი ბოთლი შნაპსი.

კემპკას გაუკვირდა, რად უნდა გიუნშეს შნაპსი ასეთ დროს, ამასობაში თვითონ გიუნშემ მიაკითხა და ერთი ბოთლი კონიაკი წამოიღო.

ვინ იცის, ჰიტლერმა იქნებ თავის სიცოცხლეში პირველად დალია ასეთი მაგარი სასმელი. თითქოს გულიც მოეცა და ისევ თვითონ დაიწყო „ვიკინგურ დასაფლავებაზე“ ზრუნვა. ქრისტიანულ რიტუალზე, აღსარებასა თუ სხვა რამეზე, რა თქმა უნდა, ლაპარაკიც არ იყო. რამდენჯერმე უთქვამს, მე რომ მოვკვდები, ათი კილომეტრის მანძილზე არ მოუშვათ ხუცებიო. ჰიტლერს არ სჯეროდა იმიერი ცხოვრებისა და, მაშასადამე, არც ჯოჯოხეთის შიში ჰქონდა.

— სისულელეა ყოველივე ეს, — ამბობდა იგი, — ჯოჯოხეთში მკვდრებს ჩანგალზე როგორ დაკიდებენ ან კუპრში როგორ მოხარშავენ, როცა სხეული ამქვეყნად რჩება. ერთი მხოლოდ ქრისტე იყო, რომელიც ვითომ სხეულიანად აღდგა მკვდრეთით, მაგრამ ესეც ებრაელების მონაჩმახია!..

მიუხედავად ამისა, თადარიგი მაინც დაიჭირა, რომ მისი სხეული აქვე მოესპოთ. ამიტომ თავის ოთახში შებრუნდა თუ არა, გიუნშეს უბრძანა:

— იშოვეთ საკმაო ბენზინი. მე არ მინდა, რომ სიკვდილის შემდეგ ჩემი გვამი რუსულ პანოპტიკუმში გამოფინონ!..

გიუნშე ისევ ტელეფონს ეცა და კემპკას დაურეკა:

— ერიხ, ორასი ლიტრი ბენზინი!..

კემპკამ იფიქრა, მეხუმრებაო:

— სად არის ამდენი ბენზინი?

— ბენზინი, ერიხ, ბენზინი! — უკვე ისტერიულად ყვიროდა გიუნშე. კემპკამ მაინც ჰკითხა:

— რად გინდა ორასი ლიტრი ბენზინი?

— ტელეფონით ვერ გეტყვი!.. მინდა!.. გაიგე!.. მინდა!.. ბენზინი, ერიხ! მთელი ქვეყნის გადაბრუნება რომ დაგჭირდეს, მაინც გააჩინე ბენზინი და მოიტანე თავშესაფრის შესასვლელთან, ბაღში.

კემპკამ არ იცოდა, სად ეშოვა ამდენი ბენზინი. ტირგარტენში კი ჰქონდა ჩამარხული რამდენიმე ცისტერნა, მაგრამ იქ ისეთი სროლა იყო, რომ დაღამებამდე კაცი ვერ გააღწევდა, ამიტომაც უთხრა გიუნშეს.

— მოიცადე საღამომდე და მოვიტან!

— რაც გითხარი, სადაა? — იყვირა გიუნშემ.

— ყველაფერი მზად არის, — უპასუხა გაოგნებულმა კემპკამ.

გიუნშემ დაიყვირა:

— შეფი მოკვდა!

მერე ხელით ანიშნა, თავი მოიკლაო და გავარდა.

— ევა? — მიაძახა კემპკამ.

— ისიც! — ჩაიქნია ხელი გიუნშემ...

კემპკა სახტად დარჩა. მერე ნელ-ნელა ჩაუყვა კიბეებს და ჰიტლერის ოთახში შევიდა. კედელზე ფრიდრიხ დიდის უზარმაზარი სურათი ეკიდა. მაგიდაზე გადაბრუნებული ვაზიდან წყალი იატაკზე დაღვრილიყო. ეს იყო უკანასკნელი მიკრო „წყლით რღვნა“, რაც ბიბლიური ალეგორიების მოყვარულმა ჰიტლერმა გამოიწვია....

კარებთან მაგდა გებელსი მოთქვამდა:

— მე მუხლებში ჩავუვარდი და მსოფლიოში. ჩემს ცოლსა და შვილებს კი გზა ხსნილი აქვთ, შეუძლიათ წავიდნენ...

ეს ისე ცივად იყო ნათქვამი, რომ მაგდა გებელსს გააჟრჟოლა, მერე ძალ-ღონე მოიკრიბა და მტკიცედ თქვა:

— მეც, რა თქმა უნდა, ვრჩები ქმართან. გზა, რომელიც მან აირჩია, ჩემი გზაცაა!..

გებელსმა ადიუტანტ შვეგერმანს უბრძანა, ნავთი ეშოვა მათი გვამების დასაწვავად...

...მერე საშინელი სცენა დატრიალდა. გებელსის ბავშვები თავშესაფარში თამაშობდნენ. მაგდამ ექიმ შტუმფეგერს სთხოვა, შხამის შეშხაპუნებით დაეხოცა ისინი. შეძრწუნებული შტუმფეგერი აცახცახდა და უარი განაცხადა, არ შემიძლიაო.

ადრე მაგდა გებელსი თვითონ აპირებდა შეესრულებინა მსხვერპლშეწირვის ეს რიტუალი. ორიოდე დღის წინ მან უთხრა ჰანა საშინელი მომავლისა და გაათავისუფლეს მოსალოდნელი წვალებისაგანო... მეორენი კი გებელსების გონებაამღვრეულობას მიაწერენ ამ ამბავს....

არა, ასე არ ყოფილა. გებელსებს ერთხელაც არ წამოსცდენიათ ასეთი რამ. ისინი სრულიად გარკვევით წერდნენ და ამბობდნენ, რომ ეს იყო „სამაგალითო“ მსხვერპლშეწირვა ბავშვებისა, რომელნიც „ეკუთვნოდნენ ფიურერს“ და მისივე სახელზე იყვნენ მონათლულნი...

არც რამე მოულოდნელი აფექტის შედეგი ყოფილა ეს. გებელსებმა რამდენიმე დღით ადრე მიიღეს ასეთი გადაწყვეტილება და განაცხადეს კიდეც ამის შესახებ როგორც წერილობით, ისე საჯაროდ...

საკვირველი მხოლოდ ის არის, რომ იმდენ ხალხში არავინ აღმოჩნდა ისეთი, მაჯაზე ეტაცა მათთვის ხელი და ამ საშინე-

— არცერთი წუთის დაყოვნება! ახლავე ჩამოასხი დამსხვრეული მანქანებიდან... ახლავე... ერიხ... გესმის... ბენზინი ახლავე!..

კემპკა გაიქცა დავალების შესასრულებლად...

...ვინც ზედმეტი იყო, დაითხოვეს. ჰიტლერი ძლივს მილასლასდა სავარძლამდე. ევა აბაზანიდან გამოვიდა და გვერდით მიუჯდა. „უკანასკნელი რიტუალის“ შესრულება დავალებული ჰქონდა ორი მეტრი სიმაღლის ახმახ გიუნშეს, რომლის ნებართვის გარეშე იმ დღეებში ვერავინ მიუახლოვდებოდა ჰიტლერს. დათქმული იყო თვითმკვლელობის ზუსტი დროც, მაგრამ უკანასკნელ მომენტში ჰიტლერმა კიდევ თხუთმეტი-ოცი წუთი ითხოვა „ძალ-ღონის მოსაკრებად“. დაუცადეს, თუმცა, არ ესიამოვნათ. ჩქარობდნენ. უნდოდათ, „საქმე“ რაც შეიძლება მალე მოეთავებინათ და თავიანთ გზას დასდგომოდნენ...

ჰიტლერი და ევა ჯერ ჩუმად იყვნენ, მერე რამდენიმე წუთი იჩურჩულეს. ბოლოს, როგორც ამბობენ, ჰიტლერმა თავდაღმა დაკიდებული მუსოლინისა და კლარა პეტაჩის სურათი უჩვენა თავის მეუღლეს. ევამ დახედა სურათს თუ არა, მაშინვე წამოიძახა:

— მომეცი საწამლავი!..

ჰიტლერმა ხმის ამოუღებლად გადასცა მას თავისი უკანასკნელი „საქორწინო საჩუქარი“...

იმავე წუთს ორივემ ერთად გატეხა კბილებით საწამლავის ამპულა...

... უმაღლესი მთავარსარდლის მიერ საწამლავით თავის მოკვლა, ტრადიციის მიხედვით, შეურაცხყოფდა „ოფიცერთა კორპუსის ღირსებას“. ამის დასაფარავად ბორმანის ბრძანებით გიუნშე მაშინვე შევიდა ჰიტლერის ოთახში, ჯერ კიდევ თბილ ფიურერს თავი აუწია, პირში რევოლვერის ლულა ჩაუდო და გაისროლა... სისხლის მხოლოდ ვიწრო ზოლი ჩამოჰყვა ჰიტლერის სხეულს... გიუნშემ რევოლვერი იქვე დააგდო, ფიურერი სავარძელზე გაასწორა, მხარზე ევას თავი ჩამოუდო და... კარი გააღო...

ამის შემდეგ სხვებსაც შეეძლოთ ენახათ ამ რიტუალის უკანასკნელი მიზანსცენა...

ამასობაში გიუნშე ისევ კემპკასთან შევარდა. იგი გაფითრებული იყო და მღელვარებისაგან სულს ძლივს ითქვამდა...

— ოტო, ღვთის გულისათვის, რა მოხდა?! — ჰკითხა მას კემპკამ.

ვევედრე, არ მოეკლა თავი, მაგრამ იმან ამაყენა და მშვიდად ამიხსნა, რომ საჭიროა, წავიდეს ამქვეყნიდან, რათა დენიცს გაუხსნას მოქმედების გზა...

...დაიწყო „სპექტაკლის“ უკანასკნელი აქტი. თავშესაფრის გარნიზონი გაემზადა ფიურერის „ვიკინგური დასაფლავების“ ცერემონიისათვის.

ბორმანმა და ადიუტანტებმა ჰიტლერისა და ევა ბრაუნის გვამები წინასწარ მომზადებულ ხალიჩებში გაახვიეს. ლინგემ და გიუნშემ ჰიტლერი გაიტანეს, ხოლო ბორმანმა — ზურგზე აკიდებული ბრაუნი.

შეგახსენებთ, რომ თორმეტიოდე წლის წინათ, ნაციონალსოციალისტების მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდების დღეს, როცა ჰიტლერი პირველად შევიდა რაიხსკანცელარიის შენობაში როგორც კანცლერი და ბისმარკის სავარძელში ჩაჯდა, პათეტიკურად წამოიძახა:

— მე აქედან ცოცხალი თავით მსოფლიოს ვერავითარი ძალა ვერასოდეს გამიყვანს!..

...დრო დადგა და ჰიტლერის გვამი ზურგზე აკიდებული გაიტანეს იმ შენობიდან, თუმცა, შორს კი არ წაუღიათ, იქვე, ეზოში, ჩააგდეს ყუმბარით ამოთხრილ ორმოში, ბენზინი გადაასხეს და ცეცხლი წაუკიდეს...

რაიჩს:

— ჩემო ძვირფასო ჰანა, დასასრული რომ მოახლოვდება, თუ მე ნებისყოფა არ მეყო, შენ უნდა მომეხმარო შვილების დახოცვაში. ისინი ეკუთვნიან მესამე იმპერიასა და ფიურერს. და თუ არსებობის ეს ორი წყარო აღარ იქნება მათთვის მომავალში, აღარც მათ სიცოცხლეს ექნება ფასი. მე მხოლოდ იმის მეშინია, რომ უკანასკნელ მომენტში არ მეყოფა ნებისყოფა, თვითონ გავაკეთო ეს...

ახლა კი ჰანა რაიჩი უკვე სამხრეთში იყო და მაგდა გებელსს მაინც თვითონ მოუხდა მსხვერპლშეწირვის ამ რიტუალის შესრულება. მან ლტოლვილებში იპოვა ვიღაც ექიმი, რომელმაც იკისრა ეს საშინელი მოვალეობა.

თვითონ მაგდამ შეიყვანა ექვსივე ბავშვი სასიკვდილო ოთახში. ისინი ჰიტლერის სახელზე იყვნენ მონათლულნი და ყოველი მათგანის სახელიც ფიურერის პატივსაცემად ასო „ჰ“-ზე იწყებოდა. ჰელა თორმეტი წლისა იყო, ჰილდა — თერთმეტის, ჰელმუთი — ცხრის, ჰოლდე — შვიდის, ჰედა — ხუთის, ჰაიდე — სამის...

მაგდა თითო-თითოდ იჭერდა აკივლებულ ბავშვებს, ექიმი კი თავის საქმეს აკეთებდა... ნემსით საწამლავს უშხაპუნებდა მათ...

სამი რომ მოწამლეს, დედამ ვეღარ აიტანა, გარეთ გამოვარდა, პაპიროსი მოქაჩა და ისევ შებრუნდა ოთახში...

მერე ის სამიც დახოცეს...

მაგდა გებელსი ერთხანს გაქვავებული დასცქეროდა თავისი ექვსი შვილის ცხედარს. მერე მასთან ექიმი მივიდა და საწამლავი შეუშხაპუნა...

...როცა კითხვა ისმის, რატომ ამოჟლიტეს გებელსებმა თავიანთი შვილებიო, ერთნი ამბობენ, ალბათ, შეეშინდათ მათი ლი სიკვდილისაგან გადაერჩინა უმწეო ბავშვები...

ხომ ფაქტია, რომ არცერთი მთავარი სამხედრო დამნაშავის ოჯახის წევრი არ ყოფილა რეპრესირებული... არცერთი წუთით და არც არავითარი ფორმით... ის კი არა, ნიურნბერგში მითხრეს, აქვე, ტრიბუნალის ბიბლიოთეკაში, ფელდმარშალ რომელის ქალიშვილი მუშაობსო. მე და პიოტროვსკი მაშინვე ბიბლიოთეკისაკენ გავეშურეთ, გვაინტერესებდა, ნამდვილად ასე იყო თუ არა. რაღაც წიგნები მოვითხოვეთ. ბიბლიოთეკარმა თავაზიანად გამოგვიწოდა, რაც გვინდოდა. პიოტროვსკიმ ვერ მოითმინა და ჰკითხა:

— თქვენი გვარი, ქალიშვილო?

— რომელი, ბატონო, ფელდმარშალ ერვინ რომელის ასული! — ამაყად თქვა მან.

მეტიც, ერთ-ერთი სამხედრო დამნაშავის, ბრალდებულ ფრიკის ცოლმა იმდენი მოახერხა, რომ ნიურნბერგის პროცესის დარბაზში შემოვიდა და კორესპონდენტთა იარუსიდან „ჰაეროვანი კოცნა“ გაუგზავნა თავის ქმარს. ჰიმლერის ქალიშვილი გუდრუნი კი დღესაც ინტერვიუს იძლევა.

— ვამაყობ ჩემი გვარით, ვამაყობ მამაჩემით. დადგება დრო, როცა ამ სახელს წარმოთქვამენ ისევე, როგორც ნაპოლეონისა და ვაშინგტონის სახელებს, — განუცხადა მან იტალიური ჟურნალის კორესპონდენტს მიუნხენში...

რიბენტროპის ვაჟი ამჟამად მილიონერია, ჰაიდრიხის ქალიშვილი — დოქტორი. აქტიურობს ჰესის ვაჟიც, მას მამის გათავისუფლება უნდა შპანდაუს ციხიდან. გერინგის ქალიშვილი ედა კი აცხადებს:

— სიამაყით ვატარებ ამ გვარს და ამას ჩემთვის არასდროს მოუყენებია რამე უსიამოვნება. პირიქით, როცა შეიტყობენ, რომ გერინგის შვილი ვარ, საჩუქრებით მავსებენ და აუდიენციას მთხოვენ...

ცხადია, არც გებელსის შვილებს მოელოდათ საფრთხე, თავიანთი მშობლების ნაცისტური ფანატიზმის მსხვერპლნი რომ არ გამხდარიყვნენ...

...მსხვერპლშეწირვის ეს რიტუალიც რომ დაამთავრა, გებელსი ბარბაცით აჰყვა თავშესაფრის კიბეებს. ადიუტანტებს სწორედ მაშინ მიჰქონდათ მისი დასაწვავი ნავთი. გვერდზე მიდგა და გზა უტია, მერე კი თვითონაც ამოვიდა რაიხსკანცელარიის ეზოში. რევოლვერი ამოი-



**ჰიტლერი და ევა ჯერ ჩუმად იყვნენ, მერე რამდენიმე წუთი იჩურჩულეს. ბოლოს, როგორც ამბობენ, ჰიტლერმა თავდაღმა დაკიდებული მუსოლინისა და კლარა პეტაჩის სურათი უჩვენა თავის მეუღლეს. ევამ დახედა სურათს თუ არა, მაშინვე წამოიძახა: – მომეცი საწამლავი!.. ჰიტლერმა ხმის ამოუღებლად გადასცა მას თავისი უკანასკნელი „საქორწინო საჩუქარი“... იმავე წუთს ორივემ ერთად გატეხა კბილებით საწამლავის ამპულა...**

## მსხვერპლ-შეწირვა...

გებელსი ერთადერთი აღმოჩნდა ჰიტლერის უახლოეს თანამებრძოლთა შორის, რომელმაც ურყევად გადაწყვიტა, საფლავშიც თან ჩაჰყოლოდა „თავის ფიურერს“ და თანაც მსხვერპლშეწირვის „სანიმუშო მაგალითი“ ეჩვენებინა გერმანელი ხალხისათვის...

— მე არავითარი სურვილი არა მაქვს, როგორც მარად დევნილმა აჰასფერმა, ვიწანწალო

ლო, მაგრამ... მაინც ვერ შეძლო... ნებისყოფამ უღალატა და იქვე მდგომ ესესელს უბრძანა...

ტყვია კეფაში მოხვდა და იქვე გაათავა...

ისიც ჰიტლერივით დაწვეს ანდერძის მიხედვით, მაგრამ იმდენი ნავთი არ ჰქონდათ, რომ ფერფლად ექციათ, და მისი გარუჯული გვამი დარჩა ეზოში... ცეცხლმა და გეჰენიამ შთანთქა ჰიტლერისა და გებელსის სხეულები... ახდა ახალი აღთქმის ალეგორიის ეს უკანასკნელი „წინასწარმეტყველებაც“, რასაც გვამცნობდა „გამოცხადებაჲ წმიდისა მახარობლისა და ღვთისმეტყუელისა იოანესი“:

— და შეპყრობილ იქმნა მჴეცი იგი და მის თანა ცრუ-წინაჲსწარმეტყუელი იგი, რომელმან ქმნნა წინაშე მისსა სასწაულნი, რომლითა აცთუნნა იგინი, რომელთა მიიღეს ბეჭედი იგი მჴეცისაჲ და თაყუანისცეს ხატსა მისსა და. ცოცხლივ შთავარდეს ორნივე იგი ტბასა მას ცეცხლისასა, რომელი-იგი იწუების წუმწუბითა.

და სხუანი იგი მოისრნეს მახჳლითა...



იბეჭდება შემოკლებით. ტ. II „ევროპის მოტაცება“, ტ. III „ნემეზიდას მახვილი“

# დღე

## კვერთხი მაგიდაზე...

პირველ მაისს, დილის 10 საათზე, ჰამბურგის რადიომ შეწყვიტა ბრუკნერის სიმფონიის შესრულება. გაისმა სამხედრო ბარაბანთა ხმაური, შემდეგ კი დიქტორმა გამოაცხადა:

— ჩვენი ფიურერი ადოლფ ჰიტლერი, რომელიც უკანასკნელ ამოსუნთქვამდე იბრძოდა ბოლშევიკების წინააღმდეგ, დღეს გამოეთხოვა სიცოცხლეს იმპერიის კანცელარიის ოპერატიულ შტაბში. 30 აპრილს ფიურერმა თავის მომაგიერედ დანიშნა გროსადმირალი დენიცი.

რამდენიმე საათის შემდეგ ინგლისის პარლამენტის საგანგებო სხდომაზე ჩერჩილმა ასე დაიწყო სიტყვა:

— ცოფიანი ძაღლი მოკვდა! ქვეყანამ თავისუფლად ამოისუნთქა...

იმავე დღეს შედგა მოლაპარაკება გერმანიის სრული და უსიტყვო კაპიტულაციის შესახებ. გენერალი კრებსი თეთრი ალმით ხელში გაემართა საბჭოთა არმიის პოზიციებისაკენ...

...ბორმანმა, ნაუმანმა და კემპკამ სხვა გზა ირჩიეს. ისინი ესესელთა ერთ ჯგუფთან ერთად გამოვიდნენ რაიხსკანცელარიის თავშესაფრიდან, მეტრომდე მიაღწიეს და ფრიდრიხშტრასეზე ამოვიდნენ. აქ მათ შეუერთდა „ჰიტლერული ახალგაზრდობის“ ბელადი არტურ აქსმანი. ნიურნბერგში კემპკა ჰყვებოდა: ჩვენ გავყევით გერმანულ ტანკს ქალაქის გარეუბნისაკენ, მაგრამ არტილერიის ძლიერ ცეცხლში მოვხვდით, ტანკი აფეთქდა, საჰაერო ტალღამ რამდენიმე მეტრზე გადამისროლა, ბორმანი, ნაუმანი და აქსმანი კი დაიხოცნენო. კემპკა არწმუნებდა ტრიბუნალს, რომ მან ყოველივე ეს „საკუთარი თვალით ნახა“. მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ ჯერ აქსმანი აღმოჩნდა ცოცხალი, შემდეგ — ნაუმანიც, ბორმანს კი დღესაც დაეძებენ...

...რვა მაისს ფელდმარშალი კაიტელი, ადმირალი ფრიდებურგი და გენერალი შტუმფი ფლენსბურგიდან უკვე საბჭოთა არმიის მიერ აღებულ ბერლინში გამოიძახეს. სამივენი თავიანთი ადიუტანტების თანხლებით ჩასხდნენ ამერიკულ თვითმფრინავში და კურსი ბერლინისაკენ აიღეს. აქ ტემპელჰოფის აეროდრომზე მოკავშირეთა სარდლობის წარმომადგენლების გარდა, მათ შეხვდათ „დენიცის მთავრობის“ რწმუნებულიც.

მანქანების კორტეჟი კარლსჰორსტისაკენ გაემართა. გზადაგზა მათ ხვდებოდათ გერმანელ სამხედრო ტყვეთა კოლონები, საკონცენტრაციო ბანაკებიდან გათავისუფლებული ტუსაღები და ლტოლვილები. კაიტელი, ფრიდებურგი და შტუმფი მანქანის კუთხეში იმალებოდნენ და სახეს იფარავდნენ. კარლსჰორსტში (ბერლინის გარეუბანი) სამხედრო საინჟინრო სკოლის შენობაში მათ უკვე უცდიდნენ მოკავშირეთა უმაღლესი სარდლობის წარმომადგენლები, დეპეშათა სააგენტოებისა და პრესის მუშაკები, ფოტოკორესპონდენტები.

დადგა ისტორიული მომენტი. დარბაზში შემოიყვანეს ყოფილი მესამე იმპერიის დამარცხებული არმიის გვარეობათა სარდლები — კაიტელი, ფრიდებურგი, შტუმფი და მათი მხლებლნი, სულ თორმეტი კაცი. ჯერ რწმუნების დოკუმენტები შეამოწმეს, მერე კი კაპიტულაციის ტექსტი წაუკითხეს:

— ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერნი, ვმოქმედებთ რა გერმანიის უმაღლესი სარდლობის სახელით, ვეთანხმებით წითელი არმიის უმაღლესი სარდლობისა და მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის მოთხოვნას მთელი ჩვენი შეიარაღებული ძალების — ხმელეთზე, ჰაერში თუ ზღვაზე — და აგრეთვე, მთელი იმ ძალების უსიტყვო კაპიტულაციაზე, რომლებიც ამჟამად გერმანული სარდლობის ქვეშ იმყოფებიან.

კაიტელმა მარშლის კვერთხი მაგიდაზე დადო და პირველმა მოაწერა ხელი, მერე — ფრიდენბურგმა და შტუმფმა.

საათის ისარი თორმეტს გადასცდა.

## ნიბელუნგების განძი...

ნაციონალ-სოციალიზმის მეთაურებმა უამრავი განძი გადაიტანეს უცხოეთის ბანკებში, ბევრი ტიურინგიის მთების ტბებში ჩაძირეს რკინის ზანდუკებით, მაგრამ, რაც დარჩა და ჩვენმა მოკავშირეებმა იგდეს ხელთ, არც ის იყო ცოტა: 280 ათასი კილოგრამი, ანუ ორას ოთხმოცი ტონა წმინდა ოქრო, ათასობით ტონა ძვირფასი ქვები, ათ მილიარდ ოქროს მარკად ღირებული ხელოვნების ნაწარმოებნი, უამრავი ვალუტა და ვინ მოთვლის კიდევ რა... პრიამოსის ან ნიბელუნგების განძი ამასთან შედარებით ხელისგულზე გადასათვლელი წვრილი ფულია, სხვა არაფერი...

მერედა საიდან დაგროვდა გერმანიაში ეს აურაცხელი საგანძური? ვინ მოუყარა ასე ერთად თავი მთელი ევროპის სიმდიდრეს? ზოგი რამ ამის შესახებ ჩვენთვის უკვე ცნობილია. ჰიტლერელებმა ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე გამოსცეს კანონი, რაც აიძულებდა გერმანიის მოსახლეობას, ხელისუფლებისათვის ჩაებარებინა მთელი თავისი ოქროულობა და ძვირფასი ქვები, თვით ბეჭდებიც, ყელსაბამებიცა და საყურეებიც კი. ყოველივე ამან ომის პირველივე წელს ხუთასი მილიონი რაიხსმარკის ღირებულებას გადააჭარბა. ეს კიდევ არაფერი! 1934 წელს „კრისტალის ღამეს“ ებრაელთა ექსპროპრიაციის შედეგად ჰიტლერელებმა უამრავი საგანძური მოაგროვეს. ნიურნბერგში ბრალმდებლებმა განაცხადეს, რომ ბერლინის მარტო ერთი საიუველირო მაღაზიიდან (უნტერ დენ ლინდენზე) ორ მილიონამდე რაიხსმარკად ღირებული ძვირფასი ლითონი და ქვები გაიტაცეს. ომის წლებში დროებით დაპყრობილ ტერიტორიათა მოსახლეობის ძარცვა-გლეჯა ხომ კოლოსალური მასშტაბით ტარდებოდა. ჩეხოსლოვაკიიდან, პოლონეთიდან, საფრანგეთიდან, ბელგიიდან, ჰოლანდიიდან, ლუქსემბურგიდან, დანიიდან, ნორვეგიიდან, იუგოსლავიიდან და, ბოლოს, საბჭოთა კავშირიდან უამრავი ოქრო და ძვირფასი ქვები მიედინებოდა იმპერიის სალაროში. მარტო ბუდაპეშტის ბანკიდან 1945 წელს გერმანელებმა თვითმფრინავებით გაიტანეს სამი ტონა ოქრო. ალფრედ როზენბერგმა რაიხსკანცელარიას მისწერა, რომ აღმოსავლეთ ევროპიდან გერმანიაში გასაგზავნი ხელოვნების ძეგლებისათვის საჭიროა 1 418 000 სარკინიგზო ვაგონი და აგრეთვე საზღვაო ტრანსპორტი 427 000 ტონა წყალწყვისაო.

იქ, სადაც გერმანელები ქვეყნის სრული ბატონ-პატრონნი არ იყვნენ, გამოძალვის ტერორისტულ მეთოდებს მიმართავდნენ. ბუდაპეშტში ებრაელ ბანკირებსა და მილიონერებს გამოუცხადეს: სიცოცხლეს შეგინარჩუნებთ, თუ მთელ თქვენს ქონებას ჩვენ გადმოგვცემთო. იმათაც სხვა რა გზა ჰქონდათ, ჩააბარეს ყველაფერი. თავად ისინი კი ესესელებმა თვითმფრინავში ჩაყარეს, თხუთმეტ-თხუთმეტი კილოგრამი ბარგის წაღების უფლება მისცეს და პორტუგალიაში გაასახლეს. შემდეგ მათ სასახლეებს მიესივნენ და ყველაფერი დაიტაცეს. უამრავ ოქრო-ვერცხლსა და ძვირფას ქვებს გარდა, წაიღეს რემბრანდტის, რაფაელის, დიურერის, კორეჯოს, პიკასოს, რენუარისა და მატისის ორიგინალები...

მერე ადამიანებით ვაჭრობაც არ ითაკილეს. ესესელი ბეხერი შვეიცარიაში ყოველი პატიმარი ებრაელის გამოსასყიდად ათას დოლარს იღებდა ებრაელთა საერთაშორისო ორგანიზაციისაგან.

საკონცენტრაციო ბანაკებში რომ პატიმრებს ოქროს კბილებს აძრობდნენ,ადნობდნენ და გერმანიაში აგზავნიდნენ, ამანაც მნიშვნელოვნად გაზარდა ჰიტლერელთა სიმდიდრე...

ამის შესახებ ნიურნბერგშიც დაჰკითხეს მთავარ სამხედრო დამნაშავეს, მეურნეობის ყოფილ მინისტრსა და რაიხსბანკის თავმჯდომარეს ვალტერ ფუნკს, რომელმაც 1937 წელს ამ თანამდებობაზე შეცვალა ნდობადაკარგული იალმარ შახტი.

ბევრი იწრიალა ფუნკმა, ბევრი იწვალა, რამდენჯერმე იტირა კიდეც, რათა პასუხისმგებლობა აეცდინა თავიდან ნაძარცვი სიმდიდრისა და უამრავი ყალბი ფულის ფაბრიკაციისათვის, მაგრამ თავზე ნაცრისყრა და თვალების მოცრემლიანება რას უშველიდა, როცა იმ ათას ხუთასი ფუთი დოკუმენტის რამდენიმე გრამიც საკმარისი გახდა, რომ ყველაფერი ეღიარებინა...

— უბედურება მარტო ძარცვა კი არა, უფრო ისაა, რომ ამ ოქროს სისხლი სცხია, — თქვა ინგლისელმა ბრალმდებელმა...

...არც პოტსდამის კონფერენციას დაუტოვებია ეს საკითხი უყურადღებოდ. როცა ცნობილი გახდა, რომ ინგლისელებმა და ამერიკელებმა ორას ოთხმოცი ტონა ოქრო, შვიდასი ათასი ბრილიანტის ბეჭედი და სხვა უამრავი განძი იგდეს ხელთ, ინგლისის მაშინდელმა საგარეო საქმეთა მინისტრმა ერნსტ ბევინმა თვითონ დასვა საკითხი ნადავლის სათანადო ნაწილის საბჭოთა კავშირისათვის გადმოცემის შესახებ.

ყველასათვის მოულოდნელად სტალინმა უარი თქვა ამაზე.

რატომო, კითხულობდნენ მაშინ გაოცებული სახელმწიფო მოღვაწენი და ჟურნალისტები, გარკვეულ პასუხს კი ვერავინ იძლეოდა. არც მე ვიცი, რატომ, მაგრამ, როცა წარმოვიდგენ, იმ ორას ოთხმოც ტონა ოქროში რომ საკონცენტრაციო ბანაკების ტუსაღთა ყბებიდან ამოგლეჯილი კბილებიც ერია, მოკლულთა თითებიდან წაძრობილი ბეჭდებიც და, საერთოდ, მთელი იმ „ნიბელუნგების განძის“ ყოველ გრამ ოქროზე თუ ძვირფას თვალზე მართლაც ადამიანთა სისხლი ეცხო, წარმოდგენილი მაქვს, რატომ ასე ზიზღით აიქნია ხელი სტალინმა და უარი თქვა შემოთავაზებულ საუნჯეზე...

## სხვა გერმანია...

მთელ მსოფლიოს მოედო გესტაპოს ჯურღმულებსა და საკონცენტრაციო ბანაკებში წამებულ გერმანელ პატრიოტთა ამბავი. მართალია, გებელსი გაჰყვიროდა, ყველაფერი ეს ებრაელების მონაჭორიაო, მაგრამ ტერორი მაინც მძვინვარებდა. ესესელებმა და გესტაპოელმა ჯალათებმა პირველად ხელი სწორედ გერმანელებზე გაიწაფეს. ისტორიას ჯერ არ მოსწრებია წამების ისეთი მეთოდები, რასაც გესტაპოს ჯურღმულებში მიმართავდნენ თანამემამულეთა წინააღმდეგ. მილიონზე მეტმა გერმანელმა გამოსცადა ეს ჯოჯოხეთი. ნიურნბერგის პროცესზე იყო ამაზე ლაპარაკი. როცა ბრალდების მხარე ამ შავ საქმეებში გერინგის მონაწილეობის ფაქტს ადგენდა, მოწმედ გამოიძახეს გესტაპოს მაშინდელი უფროსი დილსი. იგი ისეთ საშინელ ამბებს მოჰყვა, რომ დარბაზში მსხდომთ თმა ყალყზე დაუდგათ.

— წამებულთა ყვირილს რეპროდუქტორები ნაცისტური სიმღერებით ახშობდნენ. შემდეგ საგანგებოდ მოწყობილი „საწამებელი კამერები“ შექმნეს, გაძლიერებული იზოლაციით, რომ ყვირილის ხმა ქუჩაში არ გამოსულიყო.

დილსი ჰყვებოდა, თუ რა მეთოდებით აწამებდნენ ტუსაღებს. ამის მოსმენა მართლაც შეუძლებელი იყო. გერინგიც მოიღუშა და ყურმილი მოიხსნა. იგი არ უარყოფდა, რომ საკონცენტრაციო ბანაკები მისი განკარგულებით გაიხსნა, არც იმას, ამ ბანაკებში რომ ტყვეებს „მკაცრად ექცეოდნენ“, მაგრამ მაინც „თავდაცვით პატიმრობას“ („Schutzhaft“) უწოდებდა გესტაპოს ჯურღმულებში ადამიანების მხეცურ წამებას.

დილსი კი იდგა და ჰყვებოდა, როგორ აიძულებდნენ გერმანელ პატიმრებს, გადაეყლაპათ მოკიდებული პაპიროსი, როგორ შანთავდნენ გახურებული რკინით და სხვ.

წამებულთა ყვირილის ჩახშობა კი მოხერხდა, მაგრამ დამწვარი ხორცის სუნს ვერაფერი მოვუხერხეთო, — თქვა მან. მერე ამგვარ „გართობაზე“ გადავიდა. ვუპერტალის ბანაკში პატიმრებს პაპანაქება სიცხეში ძლიერ მარილიან თევზის ნახარშს ასმევდნენ, წყალს კი არ აძლევდნენ, პირს პლასტირით უვსებდნენ და თავზე ასხამდნენ. ვისაც როგორ მოეხასიათებოდა, ისე ერთობოდა: ტუსაღს აიძულებდნენ, ხის კენწეროზე ამძვრალიყო და საათობით „კუ... კუუ“ ეძახა. თვითონ კი ფეხებგაბარჯული იდგნენ და იცინოდნენ...

პაპენბურგის ბანაკში, თურმე, ტუსაღები აჯანყდნენ. დილსი მაშინვე ჰიტლერთან გაიქცა და ჰკითხა, როგორ მოვიქცეთო.

— რაიხსვერის არტილერია მიუშვირეთ და მთელი ბანაკი მოსპეთ! — ბრძანა მან.

გერმანულმა ანტიფაშისტურმა მწერლობამ კარგად ასახა ეს ამბები. ახლა მეც რომ ავდგე და ისევ დავიწყო მოყოლა, თუ რა სასტიკად ეპყრობოდნენ გერმანელ ტუსაღებს, თვალწინ ისევ იმ საკონცენტრაციო ბანაკების საშინელებანი დაგიდგებათ. ჰიტლერი, ამ შემთხვევაშიც, ზუსტად იცავდა თავის პრინციპს: როცა საქმე მოითხოვს, მე მტერსა და მოყვარეს ერთმანეთისაგან არ ვარჩევო...

არც არჩევდა. მიუხედავად ამისა, წინააღმდეგობის ფრონტის ბრძოლა მაინც არ შეწყვეტილა. მართალია, გერმანელთა მნიშვნელოვანი ნაწილი გატყდა, ხელი აიღო ბრძოლაზე და „დიდი გამარჯვების“ წლებში შეედუღა კიდეც იმ ექვსფეხიან ურჩხულს, მაგრამ, „სხვა გერმანია“ მაინც განაგრძობდა არალეგალურ მუშაობას. სამხედრო ქარხნებში მუშები საბოტაჟს მიმართავდნენ: ყუმბარებს ისე აკეთებდნენ, რომ არ სკდებოდა. ეს კი იშვიათი შემთხვევა როდი იყო. რამდენჯერ გვინახავს ფრონტზე, „იუნკერსები“ ყუმბარებს ყრიდნენ, მაგრამ ნახევარზე მეტი მიწაში იკარგებოდა. ეს გერმანელი მუშების საქმე იყო. ერთ-ერთი მათგანისაგან პირადად მე სიცოცხლით ვარ დავალებული: ჩემს გვერდით რომ უზარმაზარი ყუმბარა დავარდა და არ გასკდა.

ვინ იცის, რამდენი სიცოცხლე გადარჩა ასე...



იოზეფ და მაგდა გებელსები შვილებთან ერთად (უკანა პლანზე ჰარალდ კვანდტი – მაგდას ვაჟი პირველი ქორწინებიდან)

# რეპორტაჟი ნიურნბერგის პროცესიდან ★

გაგრძელება შემდეგ ნომერში

# ამომრჩევლებს უფლება აქვთ, მოითხოვონ ახალი არჩევნების დანიშვნა და ის დეპუტატი, რომელმაც გზას გადაუხვია, ყორანივით გააშავონ!

*დასაწყისი „გენერალისიმუსის“ პირველ გვერდზე*




## ამხანაგ ი.ბ. სტალინის სიტყვა

### *ქალაქ მოსკოვის სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე 1937 წლის 11 დეკემბერს დიდ თეატრში*

ლი და ნამდვილად დემოკრატიული არჩევნები, არჩევნები, რომლის მაგალითი არ არის კაცობრიობის ისტორიაში.

როგორ არ უნდა მოგილოცოთ ამის შემდეგ საყოველთაოსახალხო ზეიმის დღე. საბჭოთა კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების დღე! **(მთელი დარბაზის მქუხარე ოვაცია).**

შემდეგ, ამხანაგებო, მე მინდა, მოგცეთ თქვენ რჩევა, დეპუტატობის კანდიდატის რჩევა თავისი ამომრჩევლებისადმი. თუ ავიღებთ კაპიტალისტურ ქვეყნებს, იქ დეპუტატებსა და ამომრჩევლებს შორის არსებობს ერთგვარი თავისებური, მე ვიტყოდი, საკმაოდ უცნაური ურთიერთობა. **სანამ არჩევნები მიმდინარეობს, დეპუტატები ელაციცებიან ამომრჩევლებს, ელაქუცებიან მათ, ეფიცებიან ერთგულებას. აძლევენ ათასგვარ დაპირებას. გამოდის, რომ დეპუტატები სავსებით დამოკიდებული არიან ამომრჩევლებზე. როგორც კი არჩევნები მოხდა და კანდიდატები დეპუტატებად გადაიქცნენ, ურთიერთობა ძირფესვიანად იცვლება.** ამომრჩევლებზე დეპუტატების დამოკიდებულების ნაცვლად გამოდის მათი სრული დამოუკიდებლობა. 4 თუ 5 წლის მანძილზე, ე.ი. ახალ არჩევნებამდე, დეპუტატი ისე გრძნობს თავს, რომ იგი არის სრულიად თავისუფალი, ხალხისაგან, თავისი ამომრჩევლებისაგან დამოუკიდებელი. მას შეუძლია, გადავიდეს ერთი ბანაკიდან მეორეში. მას შეუძლია, გადაუხვიოს სწორი გზიდან არასწორზე, მას შეუძლია, გაებას ზოგიერთ არა მთლად საკადრისი ხასიათის მაქინაციებშიც კი, მას შეუძლია, ყირაზე გადავიდეს, როგორც მას ნებავს — იგი დამოუკიდებელია.

შეიძლება თუ არა, ნორმალურად ჩაითვალოს ასეთი ურთიერთობა? არავითარ შემთხვევაში, ამხანაგებო. **ეს გარემოება გაითვალისწინა ჩვენმა კონსტიტუციამ და მან გაატარა კანონი, რომლის ძალით ამომრჩევლებს უფლება აქვთ, ვადამდე გაიწვიონ უკან თავისი დეპუტატები, თუ ისინი იწყებენ მელაკუდაობას; თუ ისინი უხვევენ გზიდან; თუ მათ ავიწყდებათ, რომ დამოკიდებული არიან ხალხზე, ამომრჩეველზე.**

ეს შესანიშნავი კანონია, ამხანაგებო. დეპუტატმა უნდა იცოდეს, რომ იგი არის ხალხის მსახური, მის მიერ წარგზავნილი უზენაეს საბჭოში და იგი უნდა გაჰყვეს იმ ხაზს, რომელზედაც მას მიცემული აქვს განაწესი ხალხის მიერ. **თუ გზას გადაუხვია, ამომრჩევლებს უფლება აქვთ, მოითხოვონ ახალი არჩევნების დანიშვნა და ის დეპუტატი, რომელმაც გზას გადაუხვია, ყორანივით გააშავონ (სიცილი, ტაში).** ეს შესანიშნავი კანონია. ჩემი რჩევა, დეპუტატობის კანდიდატის რჩევაა ჩემი ამომრჩევლებისადმი, ახსოვდეთ ამომრჩეველთა ეს უფლება — **დეპუტატთა ვადამდე უკან გაწვევის უფლება,** თვალყური ადევნონ თავიანთ დეპუტატებს, კონტროლი გაუწიონ მათ და, **თუ ისინი განიზრახავენ სწორი გზიდან გადახვევას, თავიდან მოიშორონ ისინი, მოითხოვონ ახალი არჩევნების დანიშვნა. მთავრობა ვალდებულია, დანიშნოს ახალი არჩევნები. ჩემი რჩევაა — გახსოვდეთ ეს კანონი და გამოიყენოთ იგი საჭიროების შემთხვევაში.**




★ თითქოს დღეს ითქვა!

დასასრულ, დეპუტატობის კანდიდატის კიდევ ერთი რჩევა თავისი ამომრჩევლებისადმი. საერთოდ, რა უნდა მოვთხოვოთ ჩვენს დეპუტატებს, თუ ყველა შესაძლო მოთხოვნიდან ავიღებთ ყველაზე ელემენტარულ მოთხოვნებს?

ამომრჩევლებმა, ხალხმა თავიანთ დეპუტატებს უნდა მოსთხოვონ, რომ ისინი დარჩნენ თავიანთი ამოცანების სიმაღლეზე, რომ ისინი თავიანთ მუშაობაში არ დაეშვნენ პოლიტიკური ობივატელების დონემდე, რომ ისინი დარჩნენ ლენინის ტიპის პოლიტიკურ მოღვაწეთა პოსტზე, რომ ისინი იყვნენ ისეთივე ნათელი და გამორკვეული მოღვაწეები, **როგორც ლენინი (ტაში).** რომ ისინი იყვნენ ისეთივე უშიშარნი ბრძოლაში და შეუბრალებელნი ხალხის მტრების მიმართ, **როგორიც იყო ლენინი (ტაში),** რომ ისინი იყვნენ თავისუფალნი ყოველგვარი პანიკისაგან. პანიკის ყოველგვარი ნასახისაგან, როდესაც საქმე გართულებას იწყებს და ჰორიზონტზე ისახება რაიმე საფრთხე, რომ ისინი იყვნენ ისევე თავისუფალნი პანიკის ყოველგვარი ნასახისაგან, **როგორი თავისუფალიც იყო ლენინი (ტაში),** რომ ისინი იყვნენ ისევე ბრძენნი და აუჩქარებელნი რთული საკითხების გადაჭრის დროს, სადაც საჭიროა ყოველმხრივი ორიენტაცია და ყველა პლუსისა და მინუსის ყოველმხრივ გათვალისწინება, **როგორიც იყო ლენინი (ტაში),** რომ ისინი იყვნენ ისევე მართალნი და პატიოსანნი, **როგორიც იყო ლენინი (ტაში),** რომ მათ ისევე უყვარდეთ თავიანთი ხალხი, **როგორც უყვარდა იგი ლენინს (ტაში).**

შეგვიძლია თუ არა ჩვენ ვთქვათ, რომ დეპუტატობის ყველა კანდიდატი სწორედ ამგვარი მოღვაწეა? მე ამას ვერ ვიტყოდი. ათასნაირი ადამიანია ამქვეყნად, ათასნაირი მოღვაწეა ამქვეყნად. **არიან ადამიანები, რომლებზედაც ვერ იტყვი, ვინ არის იგი, კარგია თუ ცუდი, მამაცია თუ მხდალი, ბოლომდე ხალხის მხარეზეა თუ ხალხის მტრების მხარეზე.** არიან ასეთი ადამიანები და არიან ასეთი მოღვაწეები. ისინი ჩვენშიაც არიან, ბოლშევიკებს შორის. **თვითონ იცით, ამხანაგებო, რომ ყოველ ოჯახშია თითო მახინჯი (სიცილი, ტაში). ასეთი გამოურკვეველი ტიპის ადამიანებზე, იმ ადამიანებზე, რომლებიც უფრო გვაგონებენ პოლიტიკურ ობივატელებს, ვიდრე პოლიტიკურ მოღვაწეებს, ასეთ გამოურკვეველი, ჩამოუყალიბებელი ტიპის ადამიანებზე საკმაოდ მოსწრებულად თქვა დიდმა რუსმა მწერალმა გოგოლმა: „გამოურკვეველი ადამიანებია, არც ეს და არც ის, ვერ გაიგებ, რა ხალხია, არც ბოგდანია ქალაქში და არც სელიფანი — სოფელში“ (სიცილი, ტაში).** ასეთ გამოურკვეველ ადამიანებზე და მოღვაწეებზე აგრეთვე საკმაოდ მოსწრებულად ამბობს ჩვენი ხალხი: **„არის რაღა — არც წყალია და არც ღვინო“ (საერთო სიცილი, ტაში), „არც ღვთისაა და არც ეშმაკისა“ (საერთო სიცილი, ტაში).**

მე არ შემიძლია, სრული დარწმუნებით ვთქვა, რომ დეპუტატობის კანდიდატთა შორის (მე, რა თქმა უნდა, დიდ ბოდიშს ვიხდი მათ წინაშე) და ჩვენს მოღვაწეებს შორის არ მოიპოვებიან ისეთი ადამიანები, რომლებიც ყველაზე უფრო მოგვაგონებენ **პოლიტიკურ ობივატელებს,** რომლებიც თავიანთი ხასიათით, თავიანთი ფიზიონომიით მოგვაგონებენ ისეთი ტიპის ადამიანებს, რომლებზედაც ხალხი ამბობს: **„არც ღვთისაა და არც ეშმაკისა“.**

მე მინდა, ამხანაგებო, რომ თქვენ სისტემატურად ახდენდეთ გავლენას თქვენს დეპუტატებზე, რათა მათ ჩააგონებდეთ, რომ მუდამ თვალწინ ედგეთ დიდი ლენინის დიადი სახე და ყველაფერში ჰბაძავდნენ ლენინს **(ტაში).**

ამომრჩეველთა ფუნქციები არჩევნებით არ თავდება, ეს ფუნქციები გრძელდება ამა თუ იმ მოწვევის უზენაესი საბჭოს არსებობის მთელი პერიოდის მანძილზე. მე უკვე ვილაპარაკე იმ კანონზე, რომელიც უფლებას ანიჭებს ამომრჩევლებს, ვადამდე გაიწვიონ უკან თავიანთი დეპუტატები, თუ ისინი უხვევენ სწორი გზიდან. მაშასადამე, **ამომრჩეველთა მოვალეობა და უფლება მდგომარეობს იმაში, რომ მათ მუდამ კონტროლქვეშ იყოლიონ დეპუტატები და რომ ისინი ჩააგონებდნენ მათ — არავითარ შემთხვევაში არ დაეშვნენ პოლიტიკური ობივატელების დონემდე, რომ ისინი — ამომრჩევლები ჩააგონებდნენ თავიანთ დეპუტატებს — იყვნენ ისეთნი, როგორიც იყო დიდი ლენინი (ტაში).**

ასეთია, ამხანაგებო, ჩემი მეორე რჩევა თქვენდამი, დეპუტატობის კანდიდატის რჩევა თავისი ამომრჩევლებისადმი. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში, რომელიც ოვაციაში გადადის. ყველანი ფეხზე დგებიან და თვალს აპყრობენ მთავრობის ლოჟას, საითკენაც მიდის ამხანაგი სტალინი. გაისმის შეძახილები: „დიდ სტალინს, ვაშა!“, „ამხანაგ სტალინს, ვაშა!“, „გაუმარჯოს ამხანაგ სტალინს, ვაშა!“, „გაუმარჯოს პირველ ლენინელს — კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს — ამხანაგ სტალინს! ვაშა!“).**

გენერალისიმუსი
2024 წლის 9 დეკემბერი. №58 (294)
სარედაქციო კოლეგია
„ასავალ-დასავალის“ საგამომცემლო სახლი. ვებ-გვერდი ინტერნეტში: www. asavali.com ელ-ფოსტა: mail@asavali.com ფეისბუქი: www. facebook.com/Asavali.com გამოდის 2003 წლის 7 აპრილიდან.

# ვალერი კვარაცხელია:
# ფრთხილად, განძიპარიების შთამომავალო!



**ცნობილი ჟურნალისტი და პოლიტიკოსი ვალერი კვარაცხელია საკუთარი ფეისბუქის გვერდიდან სალომე ზურაბიშვილს ღია წერილით მიმართავს!**

**ქალბატონ სალომე ზურაბიშვილს!**

მოგმართავთ არა როგორც პრეზიდენტს, არამედ, როგორც პიროვნებას, **ვინაიდან პრეზიდენტობაზე თვად განაცხადეთ უარი, როდესაც ოპოზიციის ლიდერობას წაეპოტინეთ.** წაეპოტინეთ-მეთქი იმიტომ გეუბნებით, რომ ის ადამიანები, რომლებიც უშვერი სიტყვებით გლანძღავდნენ, ლიდერად მხოლოდ იქამდე გაღიარებენ, სანამ ფორმალურად საქართველოს პრეზიდენტი გქვიათ, მაგრამ ვადის ამოწურვის შემდეგ მათთვის ისევ წაღმა-უკუღმა და ყველა ბრუნვაში სატრიალებელი სალომე იქნებით და მეტი არაფერი.

**ქალბატონო სალომე,** იმიტომ კი არ მოგმართავთ, რომ თქვენზე გავლენის მოხდენის იმედი მაქვს. არა, **თქვენზე გავლენა ერთხელ და სამუდამოდ მოახდინეს თქვენმა მენშევიკმა მშობლებმა, რომლებიც საქართველოს დასავლეთისთვის ჩაბარების ბინძურ საქმეს ემსახურებოდნენ, მაგრამ სხვა ძალის მიერ შეშინებულებმა ბოლომდე ბრძოლას გაქცევა ამჯობინეს.** აქ ერთი საგულისხმო დეტალია: **გაქცევამდე მათ პირწმინდად გაძარცვეს ბანკები, მუზეუმები, ეკლესიები და ამ ნაძარცვი განძით „ხელდამშვენებულებმა“ ევროპას მიაშურეს.** თქვენ ამ საქმეში უდანაშაულო ბრძანდებით იმ ობიექტური მიზეზის გამო, რომ იმ დროს დაბადებული არ იყავით. მაშ, ეს ამბავი რატომ გავიხსენე? მხოლოდ იმიტომ, რომ **თქვენ გენითაც და აღზრდითაც განძიპარია მთავრობის ის შთამომავალი ბრძანდებით, ვისი სული, სისხლი და სხეული რევანშის გრძნობითაა გაჟღენთილი.**



**ის პერიოდი, რომელიც პრეზიდენტის თანამდებობაზე დაგრჩათ, როგორმე ისე გაატარეთ, რომ საპყრობილეში არ აღმოჩნდეთ!**

უნდა გითხრათ, რომ ძალიან გაგიმართლათ. თქვენმა მენშევიკურმა წარმომავლობამ ფაშისტ სააკაშვილზე ისეთი გავლენა იქონია, რომ საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი გიბოძათ. მერე, მართალია, ინანა და გაგაპანღურათ, მაგრამ, როგორც ნამინისტრალმა, პოლიტიკოსის როლი მოირგეთ და ახალი სიმაღლეების დასალაშქრად მზადება დაიწყეთ. ესეც მოახერხეთ. **თქვენი ემიგრაციული წარსულით და ძირგავარდნილი ქართული მეტყველებით ბიძინა ივანიშვილი ისე მოხიბლეთ, რომ პრეზიდენტის პოსტზე გაგამწესათ. მენშევიკური რევანში შედგა. თქვენ საქართველოს პრეზიდენტი დაგერქვათ.**

**პრეზიდენტი კი დაგერქვათ, მაგრამ ამან დასავლეთის სპეცსამსახურების წინაშე ოდესღაც აღებული ვალდებულებებისგან ვერ გაგანთავისუფლათ და იძულებული გახდით, რომ საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობა უცხოეთის რეზიდენტის მოვალეობისთვის დაგექვემდებარებინათ.**

სხვა რა ახსნა აქვს იმას, რომ საქართველოს პრეზიდენტისა და უმაღლესი მთავარსარდლის საპატიო მისია **უცხოური აგენტურის ლიდერის** სამარცხვინო მისიაში გაცვალეთ და ერის წინამძღოლის გვირგვინს ქვეყნის მოღალატის შავი ლაქა ამჯობინეთ?!

საქვეყნო რჩევას, რა თქმა უნდა, არ მოგცემთ, ვინაიდან აზრი არა აქვს, მაგრამ ერთ სათქვენო რჩევას არ დაგაყვედრებთ: ის პერიოდი, **რომელიც პრეზიდენტის თანამდებობაზე დაგრჩათ, როგორმე ისე გაატარეთ, რომ საპყრობილეში არ აღმოჩნდეთ.** სამოცდაათს გადაცილებულ ადამიანს საავადმყოფოს კეთილმოწყობილ პალატას, ალბათ, ისევე არ დაგამადლიან, როგორც თქვენს სულიერ წინამორბედს არ ამადლიან, მაგრამ თავისუფლების მოტრფიალე ქალბატონისთვის ეს დიდი შეღავათი ვერ იქნება.

**ფრთხილად იყავით!**

## კვირგვინოსნები

**ირინა იმერლიშვილი**
*საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე*



**პრეზიდენტის** იმპიჩმენტს როდესაც არ დავეთანხმე, **მაშინ მომნათლეს ნაციონალების მომხრე მოსამართლედ;** როდესაც უგულავას სარჩელი არ დავაკმაყოფილეთ, **მაშინ „ოცნების“ მომხრედ გამომაცხადეს; მელიას** ან/და „რუსთავი-2“-ის სარჩელზე განსხვავებულ აზრზე დარჩენის შემდგომაც **ნაციონალი ვიყავი.**

მოსამართლე ნებისმიერ დროსა და შემთხვევაში უნდა დარჩეს მიუკერძოებელი, **არასდროს მიმიღია გადაწყვეტილება პირადი ან პარტიული სიმპათიებით.**

„პირველი არხი“

**ზაალ ანჯაფარიძე**
*ანალიტიკოსი*



**ჩვენ უნდა დაველოდოთ ორ მნიშვნელოვან დოკუმენტს** — რას იტყვის საბოლოოდ ევროკომისია 16 დეკემბერს საქართველოზე და როგორი იქნება ეუთო-ოდირის საბოლოო შეფასება ჩვენს საპარლამენტო არჩევნებზე. **დიდწილად სწორედ ეს განსაზღვრავს ტრამპის ადმინისტრაციის დამოკიდებულებას საქართველოსთან.**

„რეზონანსი“

**ვახტანგ ხმალაძე**
*კონსტიტუციონალისტი*



იბადება კითხვა — **თუ „ქართულმა ოცნებამ“ გააგრძელა არაკონსტიტუციურად მოქმედება და აირჩია პრეზიდენტი, ლეგიტიმურ პრეზიდენტს შეუძლია მისთვის წინააღმდეგობის გაწევა?** — რა თქმა უნდა, არა, რადგან პრეზიდენტს თავისი დამცველი ძალოვანი სტრუქტურა არ ჰყავს. **ჩვენი ქვეყნის მართვა აღმოჩნდება მთლიანად არალეგიტიმური მთავრობის ხელში.** ეს პირდაპირ კონსტიტუციური გადატრიალებაა.

„კვირის პალიტრა“

**ედიშერ გვენეტაძე**
*პოლიტოლოგი*



**ზურაბიშვილი** ამ ნაბიჯს გადადგამს და **სააკაშვილს შეიწყალებს,** რადგან მეტი არაფერი დარჩენია.

„რეზონანსი“

*საქართველოში ფერადი რევოლუციის მორიგმა მცდელობამ ფიასკო განიცადა. დამნაშავეები დაისჯებიან და ამიერიდან ჩვენი სახელმწიფოსთვის ახალი პროგრესული ერა იწყება! — აცხადებს სამხედრო ექსპერტი* ***ტრისტან წითელაშვილი:***



# ტრისტან წითელაშვილი:

# აქციაზე მოსულთა რაოდენობა საკმარისი არ აღმოჩნდა აკერმანის სახელმძღვანელოში გაწერილი დავალებების შესასრულებლად!

— შეერთებულმა შტატებმა და ევროკავშირმა ბოლო წლებში არაერთხელ სცადეს გადატრიალების მოწყობა, რაც ქვეყნის სათავეში ლიბერალ-ფაშისტების მოსვლით უნდა დაგვირგვინებულიყო. „ასავალ-დასავალთან“ ინტერვიუში არაერთხელ გავამხილე, რომ საქართველოში პერიოდულად ჩამოდიოდნენ ფერად რევოლუციებში გამობრძმედილი თეორეტიკოსები და პრაქტიკოსები, ხოლო მაღალი ჰონორარებით უზრუნველყოფილი უცხოელი ტრენერები ახალგაზრდების კონკრეტულ ჯგუფებს პირდაპირ რევოლუციის მოსახდენად და ხელისუფლების დასამხობად წვრთნიდნენ. ტრენინგები იმართებოდა სურამში, კოჯორში, თბილისის მახლობლად, კახეთში და ა.შ. ამზადებდნენ ჯგუფებს, რომელთა ფუნქციები საათის მექანიზმის სიზუსტით იყო გაწერილი და გადანაწილებული.

**— მაინც, რომელი ფუნქციები?**

— უპირველესად, ძალოვან სტრუქტურებზე ფსიქოლოგიური და ძალადობრივი ზემოქმედება. მოძალადე ჯგუფებს წინასწარ განესაზღვრებათ კონკრეტული მისია. ერთნი პოლიციელებს ქვებს ესვრიან და საამისოდ წინასწარ ემზადებიან. სასროლი მასალა ზოგჯერ თან მოაქვთ, ძირითადად კი ადგილზე მოიპოვებენ და ამისთვის ქვაფენილებს თხრიან; მეორენი „მოლოტოვის კოქტეილს“ და სხვა ცეცხლგამჩენ საგნებს ისვრიან; მესამენი ქიმიური ნივთიერებებისა და საღებავების შეფრქვევით წამლავენ ძალოვნებს. რა თქმა უნდა, ამ შხამებით მანიფესტანტებიც იწამლებიან და მერე ლიდერები მიამიტ ახალგაზრდებს ჩააგონებენ, თითქოს მომწამლავი ნივთიერება, რაც საერთოდ არ შედის ეკიპირებაში, მათ წინააღმდეგ ძალოვნებმა გამოიყენეს. არის მოიერიშე ქვეჯგუფები, რომლებიც ორგანიზებულად გადადიან შეტევაზე, ძალოვნებთან პირდაპირ ხელჩართულ ჩხუბში ებმებიან და ამისთვის წინასწარ სპეციალურად არიან მომზადებულნი **შეერთებული შტატებიდან ჩამოყვანილი ინსტრუქტორების მიერ!**

**— ვინ შედიან ჯგუფების შემადგენლობაში?**

— სამწუხაროდ, ხელისუფლებას განათლების სისტემაზე კონტროლი დაკარგული აქვს. ამით სარგებლობენ ძველი რეჟიმის წარმომადგენლები, რომლებმაც **ილიაუნი, გიული ალასანიას უნივერსიტეტი** და კიდევ რამდენიმე უმაღლესი სასწავლებელი პირდაპირ საკუთარ შტაბად გადააქციეს. არსებობს ახალგაზრდული გრანტები და სპეციალურად შემუშავებული პროგრამები, რომლის ფარგლებშიც ბავშვებს უცხოეთში სასწავლებლად აგზავნას და სხვადასხვა პრივილეგიებს ჰპირდებიან. აი, ასეთი ახალგაზრდების ბაზაზე სპეციალური პროგრამით გაიწვრთნა 300-კაციანი ჯგუფი, რომლის ფუნქციაც მასობრივი დესტაბილიზაციის შექმნა და სახელმწიფო გადატრიალებისთვის ფონის მომზადება იყო. ეს ჯგუფები პერიოდულად სავარჯიშოდ ქალაქგარეთ ტყეებში გაჰყავდათ.

**მზადებას საგანგებოდ ხელმძღვანელობდა ნომრიანი აგენტი ზურაბ-გირჩი ჯაფარიძე. არაერთხელ გავაკეთე განცხადება, რომ იგი იარაღის მოხმარებასაც ასწავლიდა ახალგაზრდებს, რაც საგანგებოდ კონტროლდებოდა საქართველოში შეერთებული შტატებისა და ევროკავშირის საელჩოების მხრიდან.**

სწორედ ამ ჯგუფმა ძალოვანი სტრუქტურების წინააღმდეგ არცთუ წარუმატებლად გამოიყენა ფერადი რევოლუციების ისტორიაში აქამდე უცნობი საშუალება — **პიროტექნიკა.**

**— მაგრამ ლიბერასტ ზურაბ-გირჩ ჯაფარიძეს საიდან აღმოაჩნდა სხვისთვის გასაზიარებელი სამხედრო განათლება ანდა საბრძოლო ხელოვნების ცოდნა?**

— **ჯაფარიძე** იყო იმ წვრთნების ორგანიზატორი, რომლებსაც უცხოეთიდან ჩამოყვანილი პროფესიონალი ინსტრუქტორები, შეერთებული შტატებისა და ევროპის ქვეყნების თადარიგის ოფიცრები ახორციელებდნენ. ყველაფერი იმ გეგმის რეალიზაციის მიზნით ხდებოდა, რაც 2014 წელს კიევის მაიდანზე დატრიალდა. **მაშინ სააკაშვილმა და მისმა უკრაინელმა ამფსონებმა საქართველოდან, პოლონეთიდან და ბალტიის ქვეყნებიდან ჩამოყვანილ ჯგუფებს შეასრულებინეს უბინძურესი ფუნქცია — მანიფესტანტებს თავად გაუხსნეს ცეცხლი და მათ მიერ მართული ზონდერბრიგადები შეუსიეს.**

**— კიევის მაიდნის ბოროტი გამოცდილება განვლილი 10 წლის მანძილზე კიდევ უფრო დაიხვეწა...**

— ძალადობრივი აქციის დაწყებისთანავე გამოიკვეთა წინასწარ ორგანიზებული და შეთანხმებული ტაქტიკა — ერთი ჯგუფი პიროტექნიკას უშენდა ძალოვნებს, ხოლო მათ უკან მყოფნი ლაზერის სხივების თვალებში მინათებით აზღვევდნენ პიროტექნიკის მსროლელებს ძალოვნების საპასუხო მოქმედებისგან. ეს მეთოდი საკმაოდ წარმატებული აღმოჩნდა, ათობით პოლიციელმა საკმაოდ მძიმე ფორმის დამწვრობები მიიღო. პიროტექნიკის მსროლელთა კვალდაკვალ მოქმედებაში ერთვებოდა **ქვასროლიების ჯგუფიც,** რომელიც წინასწარ მომარაგებულ ქვებს სეტყვასავით აყრიდა არამარტო სპეცრაზმელებს, არამედ თავდაცვის საშუალებების არმქონე პოლიციელებსაც. აქ იკვეთებოდა რომელიმე ცნობადი პირის საკრალურ მსხვერპლად შერჩევის პერსპექტივაც, რაც უკვე კარგად ცნობილი თემაა საზოგადოებისთვის.

ფაქტი სახეზეა — საგანგებოდ მომზადებული ჯგუფიდან გამოსროლილმა ქვამ თავი გაუტეხა აქციის ეპიცენტრში მყოფ „ტვ პირველის“ ჟურნალისტს, რომელიც სიკვდილს ბეწვზე გადაურჩა. დიდი ალბათობით, ის წინასწარ იყო სამიზნედ და მსხვერპლად შეგულებული! ჟურნალისტის სიკვდილს, რა თქმა უნდა, ლიბერასტებისგან მართულ მედიაში მოჰყვებოდა შესაბამისი კამპანია და ტრაგედია ხელისუფლებას დაბრალდებოდა, რაც აღშფოთების თამასას მაღალ ნიშნულზე ასწევდა. **შესამჩნევია, რომ ყველა აქტივისტი ერთმანეთის ზურგზე მოკიდებული ჩანთებით ჰგავს, სადაც თითქმის იდენტური ნივთები და საჭირო ამუნიცია უწყვიათ.** ძალოვნების გამოსაწვევად ისინი მოქმედების, ჟესტების და მეტყველების სრულიად იდენტურ, აგრესიულ-სკაბრეზულ, ქართველი ადამიანისთვის უკიდურესად შეურაცხმყოფელ ფორმებს იყენებენ. იმავდროულად წყობიდან გამოსული პოლიციელების რეაქციას ვიდეოკამერებით აფიქსირებენ და მოძალადეებად თავად ძალოვნები გამოჰყავთ! ასეთი მოცემულობიდან უტყუარი დასკვნა გამომდინარეობს —

**მიმდინარე აქციები გულწრფელად აღშფოთებული ახალგაზრდების სპონტანური პროტესტი კი არა, კონსტიტუციური წყობილების დასამხობად წინასწარ დეტალებში გათვლილი გალაშქრებაა!**

**— პიროტექნიკის გამოყენების გარდა, მოძალადე ჯგუფების მეთოდებში კიდევ რა ნოვაცია შენიშნეთ?**

— ფერადი რევოლუციების ისტორიაში პირველად საქართველოში ყველაზე ამაზრზენი ფაქტი მოხდა — **საკრალურ მსხვერპლად** შეარჩიეს მოზარდი. შეიარაღებული გადატრიალების მიზნით შეთქმულთა ჯგუფმა, რომელშიც ფაქტობრივი პრეზიდენტიც შედის, ბავშვების მკვლელობა ჩაიფიქრა. **პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი** ამ ჩანაფიქრის რეალიზებას შეუდგა, როცა სკოლის მოსწავლეებს, მოზარდებს იმ ძალადობრივ აქციაზე მოსვლისკენ მოუწოდა, სადაც ქვებს, „მოლოტოვის კოქტეილებს“, პიროტექნიკას ისროდნენ. აქციაზე მასობრივად გამოჩნდნენ არასრულწლოვნები. ამ მოწოდებით **სალომე ზურაბიშვილმა** ამაზრზენი დანაშაული ჩაიდინა, რაც ყველაზე ვერაგ მტერსაც არ მოუვა აზრად და არ უნდა შერჩეს! განზრახვა უკიდურესად შემზარავი იყო — **თავგაჩეხილი მოზარდის ცხედრის ხილვით, იმის მიუხედავად, თუ ვინ იმსხვერპლა იგი, ვერავინ დარჩებოდა გულგრილი! გამძვინვარებული საზოგადოება ქუჩაში გამოიჭრებოდა და ხელჩართულ ბრძოლაში აღმოჩნდებოდა ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებულ ზონდერებთან.** აკი, აქციაზე ცეცხლსასროლი იარაღიც გამოჩნდა! ბარაქალა სამართალდამცველებს, რომლებმაც ბეწვის ხიდზე იარეს და მსხვერპლი არ დაუშვეს!

**— ფიქრობთ, რომ ოპოზიციის გამოსვლები მინავლებისკენ მიდის?**

— ყველაზე მთავარი, რის გამოც ოპოზიციამ ვერ მოახერხა დასახული გეგმის შესრულება, ის გახლავთ, რომ მან ვერ შეძლო ქუჩაში დიდი რაოდენობით ხალხის გამოყვანა, როცა ათეულებად და ოცეულებად დაყოფილ, სპეციალურად აქციის მარგინალიზაციის მიზნით გაწვრთნილ და ხელფასებით დაფინანსებულ ზონდერჯგუფებს ფარულად მოქმედების განუსაზღვრელი შესაძლებლობები ექნებოდათ. **აქციებზე მოსულთა საერთო რაოდენობა 10 ათას ადამიანს ვერ ასცდა, რაც საკმარისი არ არის აკერმანის სახელმძღვანელოში გაწერილი დავალებების, მითუფრო, მთავარი პროვოკაციის განსახორციელებლად, რაც საკრალურ მსხვერპლს გულისხმობს.**

**— თანაც, აკერმანის სახელმძღვანელოში წერია, რომ მესამე ღამე გადამწყვეტია. ამათ კი უკვე ძალიან გაუგრძელდათ შაბაში.**

— მესამე ღამე გადამწყვეტი იმ შემთხვევაში იქნებოდა, საზოგადოების დიდი ნაწილი გვერდში რომ ჰყოლოდათ. უკვე სისხლის მორევში იქნებოდა ჩათრეული საქართველო. აქციების პარალელურად, სახელმწიფო სტრუქტურების წინასწარ დაგეგმილი ჩამოშლა უნდა მომხდარიყო. მართლაც, საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა რევოლუციის გამარჯვების იმედად სამსახური საბოტაჟურად და მასობრივად დატოვეს; სხვები — გაიფიცნენ. ვერც ამ პუნქტში დააკმაყოფილეს აკერმანის სახელმძღვანელოში გაწერილი კრიტერიუმი, პირიქით, თავად გაიშიფრნენ, როგორც აგენტურა და კიდეც გამასხარავდნენ! **ახლა სახელმწიფოს მათი დათხოვნისთვისაც აღარ მოუწევს გარჯა!**



**„თითქმის ყველა დატრენინგებული, რომელიც საგანგებო დავალებით მოქმედებს, ამოცნობილია და უახლოეს მომავალში იქნება იზოლირებული!“**

# „ამოღებული ტელეფონებიდან და ტექნიკიდან ბევრი ისეთი ინფორმაცია ამოდის, რაც მარგინალებს და მათ დამკვეთებს ბოლომდე გააშიშვლებს!“

**— ჩვენ ვნახეთ, რომ პოლიციელების მიერ დაკავებულ ზონდერთა შორის რუსეთის 10-მდე ლიბერასტი მოქალაქეც აღმოჩნდა...**

— ძალიან ბევრი ზონდერი არის უკრაინიდან, მათ შორის, ქალებიც, არადა, რახანია, ვიძახი, რომ საქართველოში დივერსიების მიზნით უკრაინული დესანტია ჩამოსხმული! ისინი განლაგებულნი არიან კონსპირაციულ ბინებში, რაც უკვე უშიშროებისთვისაც ცნობილია! მათ გარდა, მოძალადე მანიფესტანტთა შორის არიან სხვა ქვეყნების მოქალაქეებიც, კერძოდ, ინდუსები და ერაყელები! არის ინფორმაციები, რომ გარკვეული თანხის სანაცვლოდ, ისინი მიტინგების მსვლელობისას ცეცხლის წაკიდებაში, რესტორნების და მაღაზიების რბევაში არიან შემჩნეულნი.

**— ამასობაში ხელისუფლება, რომელიც აუჩქარებლად მოქმედებს, თავად გადავიდა შეტევაზე.**

— ძალოვნები აქციის მსვლელობისას უმთავრესად დატრენინგებულ პირებს აკავებენ. მათი დიდი ნაწილი უკვე განეიტრალებულია. თითქმის ყველა დატრენინგებული, რომელიც საგანგებო დავალებით მოქმედებს, ამოცნობილია და უახლოეს მომავალში იქნება იზოლირებული. ჩვენ ვნახეთ, რომ პოლიციის მიერ ჩატარებული ჩხრეკების შედეგად **ნაცების ოფისებში** აღმოჩნდა დიდი რაოდენობით პიროტექნიკა, ასევე აალებადი ნივთიერებები, „მოლოტოვის კოქტეილები“ და ათასგვარი საღებავი, რაც ადასტურებს, რომ სწორედ ისინი დგანან არეულობის სათავეში, თუმცა კი, სრული ფიასკო ელით!

საბედნიეროდ, ქართული ძალოვანი სტრუქტურები მოწოდების დონეზე აღმოჩნდნენ და მასტერკლასი აჩვენეს მსოფლიოს. ისეთი სტანდარტებით იმოქმედეს, როგორიც არ დაესიზმრება არც შეერთებულ შტატებს და არც — ევროკავშირს! **აშკარად გამოიკვეთა, რომ ვერავინ ვერანაირი შანტაჟით ვერ შეარყევს ჩვენი სახელმწიფოს სიმტკიცეს.** შესაშურად იმუშავა ქართულმა სუს-მაც. ამოღებული ტელეფონებიდან და ტექნიკიდან ბევრი ისეთი ინფორმაცია ამოდის, რაც მარგინალებს და მათ დამკვეთებს ბოლომდე გააშიშვლებს. ამავე დროს, სასჯელის შემსუბუქების მიზნით, უკვე ჩვენებებს იძლევიან და დამკვეთებს ასახელებენ დაკავებული ზონდერები. **დიახ, ბაია პატარაიას ჰქონდა საკმარისი საფუძველი, როცა მანიფესტაციის მონაწილეებს პირადი ტელეფონებიდან ერთმანეთთან მიმოწერის ჩათების და, საერთოდ, საკომუნიკაციო აპლიკაციების წაშლისკენ მოუწოდა!**

## უახლოეს მომავალში კიდევ ბევრი რამ გახდება ცნობილი და დოკუმენტურად გამოიკვეთება ამ მასშტაბური დანაშაულის ორგანიზებაში შეერთებული შტატებისა და ევროკავშირის კონკრეტული მაღალჩინოსნების როლი!

*ესაუბრა*

***ზაზა დავითაია***



ჯგუფური ძალადობის ორგანიზებასა და მასში მონაწილეობის ბრალდებით დაკავებულ აქტივისტთა ერთი ნაწილი სასამართლო პროცესზე



***საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი ირაკლი წერეთელი ქვეყანაში შექმნილ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ვითარებას ეხმიანება და აცხადებს, რომ თბილისში გამართული აქციები მშვიდობიანი კი არა, უცხოეთიდან დაფინანსებული და დაგეგმილი სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაა:***




# ირაკლი წერეთელი: ბატონო ბიძინა, დანაპირები შეასრულეთ და კოლექტიური ნაცმოძრაობა აკრძალეთ!

— ჩვენს პრემიერს **ირაკლი კობახიძეს,** რომელსაც დადებითად ვახასიათებ, მგონი, ცოტა ნაადრევად მოუვიდა დატრაბახება საქართველოს მაიდანიზაციის ჩაშლის შესახებ. **საქართველოს შაითანიზაცია გრძელდება** და გაგრძელდება, ვიდრე ე.წ. ოპოზიცია თავის დანაშაულებრივ მოთხოვნებს არ შეცვლის! მას შემდეგ, რაც 2024 წლის 26 ოქტომბრის დემოკრატიულ არჩევნებში საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტურმა უმრავლესობამ თავისი ნება გამოხატა, არჩევნების შედეგების არაღიარება იმას ნიშნავს, რომ ეს ხალხი ქართველი ერისა და მისი ნების წინააღმდეგ იბრძვის. **სიცრუეა, რომ საქართველოში არჩევნები გაყალბდა! ხალხმა თავისუფლად გამოხატა საკუთარი ნება და ამიტომ ხელახალი არჩევნების ჩატარების მოთხოვნა უკანონოა!** სამაგიეროდ, მე, ირაკლი წერეთელს, ბიძინა ივანიშვილისადმი ერთი მოთხოვნა მაქვს — **ბატონო ბიძინა, დანაპირები შეასრულეთ და კოლექტიური ნაცმოძრაობა აკრძალეთ!** აკი, ბიძინა ივანიშვილის მთელი საარჩევნო კამპანია იმაზე იყო აგებული, რომ საქართველოში კოლექტიური ნაცმოძრაობა არჩევნების შემდეგ გასამართლდებოდა და აიკრძალებოდა! მართალია, „ქართულმა ოცნებამ“ საკონსტიტუციო უმრავლესობა ვერ მოიპოვა, მაგრამ პარლამენტში საკმარისი ხალხი ჰყავს და, კეთილი ინებოს, დანაპირები შეასრულოს! **სხვათაშორის, „ქართულ ოცნებას“ საქართველოს მოსახლეობის დიდმა ნაწილმა სწორედ იმიტომ მისცა ხმა, რომ კოლექტიური ნაცმოძრაობა გასამართლდეს.**

**— თქვენ კოლექტიური ნაცმოძრაობისა და კონკრეტულად ნაცმოძრაობის აკრძალვა როგორ წარმოგიდგენიათ?**

— ვინმეს რომ დღევანდელი ხელისუფლების ობიექტურობაში ეჭვი არ შეეპაროს, უცხოეთიდან უნდა მოიწვიონ დამოუკიდებელი ექსპერტები და სწორედ მათ უნდა შეაფასონ ნაცმოძრაობის საქმიანობა დღიდან მისი დაარსებისა უკანასკნელ მოვლენებამდე, როცა პოლიციელებს „მოლოტოვის კოქტეილებსა“ და ქვებს უშენენ. **უნდა დაიდოს უტყუარი ფაქტები და მტკიცებულებები და ამ ბოროტი მოძრაობის შესახებ გამოტანილ იქნეს ისტორიულ-ეპოქალური ვერდიქტი.** პასუხი უნდა გაეცეს შეკითხვას — ნაცმოძრაობა, თავისი უარყოფითი და დადებითი მხარეებით, არის ოპოზიცია თუ დანაშაულებრივი ორგანიზაცია? **ბიძინა ივანიშვილი ამას ჩვენ დაგვპირდა და დანაპირები შეასრულოს!**

**— თქვენ გული რას გიგრძნობთ, ეს ვერდიქტი როგორი იქნება?**

— ჩემზე რომ იყოს დამოკიდებული, ნაცმოძრაობას დანაშაულებრივ ორგანიზაციად გამოვაცხადებდი! ნაცმოძრაობას ისეთი დანაშაულები აქვს ჩადენილი, ამ ვერდიქტს ვერ გაექცევა. **ისე კი, მთელ ამ ბოროტებაში განსაკუთრებული როლი ენიჭება სალომე ზურაბიშვილს, რომელიც საბოლოოდ ჩამოყალიბდა დამნაშავედ და მოღალატედ.** ჯერ ერთი, რას ჰგავდა სალომეს ფაშისტური განცხადება ბავშვების აქციებში მონაწილეობის შესახებ? ახლა ამ ქალს, რომელსაც ვადა ეწურება, არ უნდა წასვლა, რადგან გაუტკბა საპრეზიდენტო სავარძელი და ყველაფერს კადრულობს, რათა პოსტი შეინარჩუნოს! აქედან გამომდინარე,

## მისი პოზიცია აშკარად დანაშაულებრივია და უნდა შეფასდეს როგორც საზღვარგარეთიდან დაფინანსებული, ინსპირირებული და წაქეზებული სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა!

დიახ, მას შემდეგ, რაც ამ აქციებზე პოლიტიკოსები სიტყვით აღარ გამოდიან, ხოლო აგრესიული ჯგუფები პოლიციელებს პიროტექნიკას, მაშხალებს, შუშხუნებს, ქვებს, რკინის ბურთულებსა და ბლაგვ საგნებს ესვრიან, ეს ყველაფერი მართლაც გადავიდა სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის რეჟიმში! უფრო მეტიც, ყოველივე ამის ფონზე **უკრაინის ვადაგასულმა პრეზიდენტმა ზელენსკიმ,** რომელმაც თავისი ერი განადგურებისთვის გაწირა, სანქციები დაგვიწესა! საბედნიეროდ, რამდენიმე სახელმწიფომ უკვე დაიწყო იმ ბოროტების მხილება, რაც თბილისში, რუსთაველის პროსპექტზე, დემოკრატიის სახელით ხდება!

**— ძალადობრივ აქციაზე გამოჩნდნენ ლესბოსელები და ჰომოსექსუალები, რომლებიც გარყვნილი ურთიერთობებით პირდაპირ აქციის მსვლელობის დროს კავდებიან!**

— რაც თბილისში გამართულ ძალადობრივ აქციებზე ხდება, იმას **პედერო-პორნო ლიბერასტული ნეობოლშევიზმი** ჰქვია! აქედან გამომდინარე, იმ აქციაზე ლესბოსელებიც არიან, პედე....ტებიც **(ცენზურა ჩვენია. რედ.)** და ყველა ჯურის გათახსირებულებიც... მოვუწოდებ ხელისუფლებას, დაკავებული მოძალადეები კამერების წინ გამოკითხონ და დაუსვან უმარტივესი შეკითხვები საქართველოს ისტორიიდან. ყველა დარწმუნდება, რომ ძირითადად აბსოლუტურად გაუნათლებელი და დაბალი ინტელექტის პატრონი ხალხია ჩართული ამ პროცესებში...

**— შექმნილი სიტუაციიდან გამოსავალს რაში ხედავთ?**

— მოგეხსენებათ, **დონალდ ტრამპი** პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის გახსნაზე ჩავიდა. ვფიქრობ, ძალიან კარგი იქნება, თუ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, რომელიც საქართველოში ყველაზე უფრო მორალური ავტორიტეტია, **ტრამპს** საშობაოდ სვეტიცხოვლის ტაძარში მოიპატიჟებს, რათა საქართველო-ამერიკას შორის გართულებული ურთიერთობების გამოსწორებას აქედანვე ჩაეყაროს საფუძველი. **თუ ეს არ გამოვა, მაშინ 2025 წლის 9 აპრილს ეროვნული მოძრაობის სახელით პრეზიდენტ დონალდ ტრამპს საქართველოში მე მოვიწვევ!**

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***

## „რაც თბილისში გამართულ ძალადობრივ აქციებზე ხდება, იმას პედერო-პორნო ლიბერასტული ნეობოლშევიზმი ჰქვია!“

*14 დეკემბერს 267 წელი სრულდება მას შემდეგ, რაც საქართველოს ისტორიაში გამორჩეულად დიდმა მეფემ სოლომონ პირველმა (1752-1784 წ.წ.) იმერეთში,*

# გახსოვდეთ 14 დეკემბერი!

***დღევანდელი ტყიბულის რაიონის სოფელ ხრესილში, თურქთა დაახლოებით 55-ათასიანი არმია 16 ათასი ქართველის ხელით მიწასთან გაასწორა და მრისხანე მტერზე ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა!***

**სოლომონის** გონივრული დიპლომატიის წყალობით, ხრესილის ომში მთელი დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრები გაერთიანდნენ. სამეგრელოს მთავარი **კაცია მეორე დადიანი** და გურიის მთავარი **მამია მეოთხე გურიელი** ამ ბრძოლაში სოლომონის გვერდით დადგნენ, რის შედეგადაც ქართველებმა 12 ათასი თურქი თუ გათურქებული ქართველი ხრესილის ველზე დაკლეს, ხოლო 15 ათასი ურჯულო ტყვედ იგდეს.

ხრესილის ომის ისტორია ცნობილია და დეტალებში არ შევალთ, ყურადღებას გავამახვილებთ მხოლოდ იმ ფაქტებზე, რაც ფართო საზოგადოებისთვის უცნობია და დღეს საქართველოში არსებულ სიტუაციას ესადაგება.

დავიწყოთ იმით, რომ 1752 წელს, როცა 17 წლის სოლომონი იმერეთის მეფე გახდა, პაპამისმა **ლევან აბაშიძემ,** დედამისმა **თამარ აბაშიძემ** და **როსტომ რაჭის ერისთავმა** ჭაბუკ გვირგვინოსანს გადატრიალება მოუწყვეს და ტახტიდან ჩამოაგდეს. **სოლომონი** ახალციხეში გაიქცა და **ახალციხის ფაშას** დახმარებით ტახტი დაიბრუნა.

თურქეთის ხელისუფლება ფიქრობდა, რომ ამის შემდეგ **სოლომონი** სამუდამოდ იქნებოდა „მონა ღვთისა და ყრმა ხონთქრისა“... ანუ იმერეთის მეფე თურქეთის კუდნამგალა მთვარეს შესწირავდა თავის ქვეყანასა და სიცოცხლეს, მაგრამ ყველაფერი სხვაგვარად მოხდა. ოკუპანტ თურქეთთან სიამტკბილობა დიდხანს არ გაგრძელებულა და 1754 წელს, როგორც კი **სოლომონმა** საეკლესიო კრება მოიწვია და „ტყვის სყიდვა“ კანონის ძალით, უმკაცრესი სასჯელით აკრძალა, **„მეგობარი“ თურქეთი** მაშინვე დაუძინებელ მტრად გვექცა!

ამ ამბიდან 270 წლის შემდეგ სწორედ ამ სცენარით განვითარდა მოვლენები 2024 წლის საქართველოშიც — როგორც კი ხელისუფლებამ **„უცხოური გამჭვირვალობის შესახებ“** კანონი მიიღო და ლგბტ პროპაგანდაც კანონის ძალით აკრძალა, ამერიკის შეერთებული შტატებისა და მისი აგენტურის შეფასებით, საქართველოში დემოკრატიამ მაშინვე განიცადა უკუსვლა!

წინა კვირას, როგორც გადაჯიშებული და გადაგვარებული ქართველები — **ლიაკა ხოშტარია, ჭიჭე (იგივე ჭუჭუ) ვაშაძე, ზურაბ-გირჩი შარვალჩახდილი, მამუკა ხაზარაძე, ბადრი ჯაფარიძე, ალეკო ელისაშვილი, გიორგი გახარია** და საიკაშვილის მთელი ნაცხროვა წვავდნენ და ანაგვიანებდნენ საქართველოს, სწორედ ისე, **1757 წლის 14 დეკემბერს,** ხრესილის ველზე **გმირთაგმირ სოლომონს** დაუპირისპირდა ახალციხიდან საირმის გზით, კაკასხიდითა და ხანისწყლის ხეობით შემოსული თურქთა 30-ათასიანი ურდო, რომელსაც იმერეთის ციხეებში მდგარი თურქთა 15-ათასკაციანი ლაშქარი და მოღალატე ქართველების 10-ათასკაციანი ჯარიც მიემატა. მოღალატე ქართველებს, ძირითადად, ბაღდათისა და შორაპნის ციხის მეპატრონე იმერელი თავადები წარმოადგენდნენ...

22 წლის **სოლომონის** წინააღმდეგ დაირაზმნენ თავისი გამზრდელი პაპა **ლევან აბაშიძე,** 1752 წელს ბარაკონის ხელთუქმნელი ტაძრის ამშენებელი **როსტომ რაჭის ერისთავი, ფოთის ფაშა, ქემხა ფაშა, გოლა ფაშა** და იენინელი **ალი-ფაშა...**

საქართველოს უბედურება და ტრაგედიაა ის, რომ **ამ ფაშების** უმეტესობა ეთნიკურად ქართველი იყო, მაგრამ, სამწუხაროდ, გადაგვარებული და სისხლგაყიდული. საერთოდ, **1757 წლის 14 დეკემბერს** ხრესილის ველზე თურქული დროშის ქვეშ მდგარი 55 ათასი კაცის აბსოლუტურმა უმრავლესობამ კარგად იცოდა ქართული. ის 30 ათასი მოლაშქრეც, რომელიც **გოლა ფაშამ** ახალციხის საფაშოდან იმერეთში შემოიყვანა და მშვიდობიან მოსახლეობას მიუქსია, ძირითადად, ისეთივე გადაგვარებული და რჯულშეცვლილი ქართველი იყო, როგორიც დღევანდელი **ე.წ. ოპოზიციის** მიერ დაქირავებული, ტვინმოღრეცილი და **„კანვასის“ ტრენინგებზე** მოწამლული ცეცხლის გამჩაღებლები და ლგბტ აქტივისტები, რომლებიც ჩვენს გმირ პოლიციელებს რკინის ბურთულებით თავს უმტვრევდნენ, ცოცხლად წვავდნენ და პარლამენტის შენობის გადაბუგვას ლამობდნენ.




**ხრესილის ომში სოლომონ მეფეს ოთხი გათურქებული ქართველი ფაშა და 10 ათასი გადაგვარებული ქართველი ებრძოდა!**




**სოლომონ მეფემ შეძლო გადაგვარებულ ქართველებზე გამარჯვება... მჯერა, ჭიჭე (იგივე ჭუჭუ) ვაშაძეზე, ლიაკა ხოშტარიაზე, მამუკა ხაზარაძეზე, ხატია დეკანოიძეზე, სალომე სამადაშვილზე, ზურაბ-გირჩი შარვალჩახდილსა და მათ უცხოელ პატრონებზე დღევანდელი საქართველოც გაიმარჯვებს!**

ხრესილის ომში ოკუპანტი თურქების სამსახურში რომ ეთნიკური ქართველები იდგნენ, უტყუარი ფაქტით დასტურდება. კერძოდ, მაშინ, როცა ბრძოლის ბედი ტორტმანებდა და კაცმა არ იცოდა, ვინ გაიმარჯვებდა, ადგილობრივი გლეხი **გეგელა თევდორაძე** მაღალ ხეზე აძვრა და მთელი ხმით კივილი მორთო — **„ვენაცვალე სოლომონსა, გააქცია თათარი!“**

შეიძლება ითქვას, რომ **გეგელა თევდორაძემ** მაშინ ბრძოლის ველზე ლეგენდარული **იური ლევიტანის** ფუნქცია იკისრა. მოგეხსენებათ, მეორე მსოფლიო ომის დროს ჰიტლერი იმდენად გაგიჟებული იყო ამ ჩია, ებრაელი კაცის ხმით, რომელიც მთელ მსოფლიოს აზანზარებდა, რომ ყველა საიმედო სამსახურისთვის უმკაცრესი ბრძანება ჰქონდა მიცემული — **მომიყვანეთ და ენა ჩემივე ხელით უნდა ამოვგლიჯოო!**

მოკლედ, **გეგელა თევდორაძე** ისე ხმამაღლა სჭექდა, თურქების მხარდამხარ მებრძოლმა გადაგვარებულმა ქართველებმა, რომლებსაც გეგელას ქართული კარგად ესმოდათ, უკან დახევა დაიწყეს, რადგან გაიფიქრეს — მგონი, ბრძოლას მართლაც ვაგებთ, ჩვენები უკვე გაქცეულანო, არადა, სინამდვილეში ბრძოლა სულ ახალი გახურებული იყო.

სოლომონ მეფის პაპამ, **მოღალატე და ძაღლთაპირმა ლევან აბაშიძემ** რომ დაინახა, ხეზე ამძვრალი **გეგელა თევდორაძე** რასაც სჩადიოდა, კბილები გაახრჭიალა და თოფი მოიმარჯვა — უნდა სამუდამოდ დავადუმო, თორემ ომი წაგვაგებინა ამ ძაღლისშვილმაო! ვიდრე **ლევან აბაშიძე** თოფს დაუმიზნებდა, **გეგელა თევდორაძემ** დაასწრო და **ძაღლთაპირ ლევანს** დამბაჩით სული გააცხებინა... ამასობაში **სოლომონმა** თავისი ხელით მოკლა **გოლა ფაშა,** ხოლო სამურზაყანოს მთავარმა, 78 წლის **ხუტუნია შარვაშიძემ,** რომელმაც ხრესილის ველზე 1600 მებრძოლი ჩამოიყვანა, 16 თურქი თუ გადაგვარებული და გათურქებული ქართველი გამოასალმა სიცოცხლეს და თავადაც დროშით ხელში დაეცა ბრძოლის ველზე.

**თურქთა ურდო აირია, აიჭრა და სამარცხვინოდ გაიქცა.**



# ცხონებულ ზვიად გამსახურდიას ასეთი სპეცრაზმი და პოლიცია რომ ჰყოლოდა, გადაგვარებული ლიაკა ხოშტარიას მოღალატე მამა და საქართველოს დამაქცევრები სისხლიან სახელმწიფო გადატრიალებას ვერ მოაწყობდნენ!



როგორც მეფე სოლომონმა — გეგელა თევდორაძე, ვფიქრობთ, ქართულმა სახელმწიფომ სწორედ ასე უნდა ჩაიკრას გულში ის ქართველი ვაჟკაცები, რომლებმაც წინა კვირას გაუძლეს საშინელ ზეწოლას...

**ო, რა შეუბრალებლად ხოცეს მაშინ ქართველებმა თურქი ოკუპანტები და მათ დროშას ამოფარებული ქართველი გადაგვარებულები!**

როცა გავიმარჯვეთ, როცა დაღუპულების ცხედრები ერთად შეკრიბეს და მათ შორის მეფის პაპის — მოღალატე **ლევან აბაშიძის** მყრალი გვამიც აღმოჩნდა, **სოლომონ მეფემ** დაიღრიალა — **ბაბუაჩემი ვინ მოკლა, ადგეს და ახლავე ჩემთან გამოცხადდესო!**

ფერნაცვალი, მაგრამ მაინც გაუტეხელი **გეგელა თევდორაძე** წამოდგა, მეფეს მოწიწებით ეახლა და თავჩაქინდრულმა მორცხვად ამოილუღლუღა — **მეფევ ბატონო, მე ბაბუათქვენი კი არა, საქართველოს მოღალატე მოვკალიო!**

გულში ჩაიკრა და ჩაიხუტა **მეფე სოლომონმა** ღარიბი გლეხი **გეგელა თევდორაძე** და მთელი ჯარის თვალწინ გამოუცხადა — **ამიერიდან იწოდებოდე აზნაურ გეგელაშვილად და გებოძოს სახლი, სახნავ-სათესი მიწები, ყმა-გლეხები და აზნაურისთვის შესაფერისი ავეჯიო!**

როგორც **მეფე სოლომონმა — გეგელა თევდორაძე,** ვფიქრობთ, ქართულმა სახელმწიფომ სწორედ ასე უნდა ჩაიკრას გულში **ის ქართველი ვაჟკაცები, რომლებმაც წინა კვირას გაუძლეს საშინელ ზეწოლას, არ შეუშინდნენ უცხო ძალების მიერ გადაბირებული და მოღორებული ქართველი გადაგვარებულების ცეცხლსა და წუმწუმას და ქვეყანა უბედურებისგან იხსნეს!**

აფსუს, ცხონებულ **ზვიად გამსახურდიას** ასეთი სპეცრაზმი და პოლიცია რომ ჰყოლოდა, გადაგვარებული **ლიაკა ხოშტარიას მოღალატე მამა** და საქართველოს დამაქცევრები სისხლიან სახელმწიფო გადატრიალებას ვერ მოაწყობდნენ და ქვეყანას ვერ გააუბედურებდნენ!

**1757 წლის 14 დეკემბერს** საქართველომ გმირთაგმირი **სოლომონ დიდის** მეთაურობით თურქ ოკუპანტებზე გაიმარჯვა. **ხრესილის ტრიუმფმა თურქები ხერხემალში ისე გადატეხა, რომ იმერეთის მეფის ტიტულიც კი შეიცვალა... თუ აქამდე ეს ტიტული ასე ჟღერდა — „მონა ღვთისა, ყმა — ხონთქრისა!“ — ხრესილის გამარჯვების შემდეგ სოლომონი თავის თავს ასე უწოდებდა — „ლომებრ მყეფე, მტერთ სისხლ მჩქეფე, იმერთ მეფე — სოლომონ!“**

სოლომონ მეფემ შეძლო გადაგვარებულ ქართველებზე გამარჯვება!

მჯერა, **ჭიჭე (იგივე ჭუჭუ) ვაშაძეზე, ლიაკა ხოშტარიაზე, მამუკა ხაზარაძეზე, ხატია დეკანოიძეზე, სალომე სამადაშვილზე, ზურაბ გირჩი შარვალჩახდილსა** და მათ უცხოელ პატრონებზე დღევანდელი საქართველოც გაიმარჯვებს!

*დიტო ჩუბინიძე*



# ტორესა მოსი ტაროზე მოსვეს!

*წინა კვირას მამუკა ხაზარაძის „ტუალეტის მჯღაბნელი“ ტორესა მოსი, ანუ იგივე ვახტანგ მოსიაშვილი, ქართველი კლასიკოსის ნოდარ დუმბაძის შვილიშვილმა, მწერალმა ნოდარ მაჭარაშვილმა ტაროზე მოსვა!*

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ სამშაბათს, 2024 წლის 3 დეკემბერს, **„შეფურთხების პროფესორის“ გია ბუღაძის ვაჟმა ლაშა ბუღაძემ,** ასევე **ავადმყოფმა ზაზა ბურჭულაძემ, დალალებდაწნულმა ტორესა მოსმა** და კიდევ რამდენიმე **„უბორნიის პოეტმა“ თუ „ტუალეტის მგოსანმა“** მწერალთა სახლში ბრიფინგი გამართეს და ორგანიზაციის დირექტორს, **სულმნათი ნოდარ დუმბაძის ქალიშვილს ქეთევან დუმბაძეს** მოუწოდეს, სასწრაფოდ მიემართა მოსამართლისთვის, რათა პატიმრობაში მყოფი **ზვიად რატიანი** კლინიკაში გადაეყვანათ.

მკითხველს შევახსენებთ, რომ **პოეტი ზვიად რატიანი** 2024 წლის 29 ნოემბერს პარლამენტის წინ დააკავეს. მართალია, ის დღეს უკვე თავისუფალია, თუმცა, საზოგადოებას ახსოვს მისი არაერთი სკანდალური დაკავება, რაც ნარკოტიკებს და ათას უბედურებას უკავშირდებოდა.

მოკლედ, გამოვიდა **ლაშა ბუღა-თურქი** და **მამუკა ხაზარაძის „ტვ პირველის“** მეშვეობით **ქეთი დუმბაძეს** მიმართა — **სასწრაფოდ მწერალთა სახლში მოდი და „ქართული ოცნება“ დაგმეო!**

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, **ქალბატონი ქეთევანი,** რომელსაც გულზე ოპერაცია სულ ახალი ჩატარებული აქვს, მწერალთა სახლში განვითარებულ პროცესებს თვალს შინიდან, ტელევიზორის მეშვეობით ადევნებდა... ნანახმა და განცდილმა მასზე მძიმე ემოციური ზემოქმედება მოახდინა და საავადმყოფოდან ახლად გამოყვანილი **ქეთი დუმბაძე** ისევ საავადმყოფოში გახდა წასაყვანი. დედის გასაჭირი მძიმედ განიცადა მისმა ვაჟმა — **მწერალმა ნოდარ მაჭარაშვილმა,** რომელიც მწერალთა სახლში მარტოდმარტო მივიდა და **დალალდაწნული ტორესა მოსი** ტაროზე შესვა! კერძოდ, ნოდარმა ტორესას ისეთი ალიყური აჭამა, რომ **თელაველი მღვდლის „იფიფას“ ვაჟი** მაშინვე ყარფუზივით გააგორა, ხოლო იქ შეკრებილ ნაცსექტანტებს ყველაფერი ამოუტრიალა.

მომხდარის გამო მწერალთა სახლში შეკრებილმა და ამბოხებულმა ალქაჯებმა კივილ-წივილი ატეხეს, ხოლო **სააკაშვილისა და შოთა უტიაშვილის** აგიტატორმა **ეკა კვესიტაძემ** მაშინვე განგაშის ზარები დაარისხა და ბეჭედი დასვა — **„ქეთი დუმბაძის ცნობილმა დამჭრელმა და კრიმინალმა შვილმა, ციხეში რამდენჯერმე ნაჯდომმა ნოდარ მაჭარაშვილმა თავისი კრიმინალების „შპანა“ დააჭვედრა ტორესა მოსს და სცემა. ქეთი დუმბაძე, ვერც შენი კრიმინალი შვილი ვერ გიშველის და ვერც კიმბერლი ლოუს გაზიარება, შე საცოდავო არსება!“**

ეკა, შე მართლა წყეულო, ტორესა მოსს კრიმინალების ხროვა რად უნდა, ნოდარ მაჭარაშვილი ვერ მოერეოდა?

სხვათაშორის **ტორესამ,** რომელიც იმ მწერალთა სახლში გააგორეს, სადაც ადრე პუტჩისტი პროფესორის **ნოდარ ლომოურის** ქალიშვილი **ნატა ლომოური** იჯდა უმფროსად, ინციდენტის შემდეგ ასეთი რამ დაწერა — **„კარგად ვარ, მშვიდად და მხნედ ვგრძნობ თავს, ჩემს გულს არ ეკარება სიძულვილი. ამ ამბის განხილვას არ ვაპირებ, რა თქმა უნდა, ამის გამო არც პოლიციაში ვაპირებ მისვლას. ზუსტად ვიცი, რომ ჩემი არც ერთი საჯარო მოქმედება არაა ნაკარნახევი არც ვინმეს სიძულვილით და არც პირადი ანგარებით. მე გავიზარდე ეკლესიის წიაღში და ღრმად მწამს, რომ უფლის სიტყვა და სიყვარული ყოველ ადამიანს გაუძღვება ჭეშმარიტების ნათლისკენ...“**



ქეთევან დუმბაძე და მისი ვაჟი ნოდარ მაჭარაშვილი

ამის შემდეგ **ტორესამ** კიდევ ბევრი ილაპარაკა და ბოლოს თავისი გამოსვლა იმით დაასრულა, რომ იოანეს სახარებიდან მოიტანა ციტატა — **„პირველითგან იყო სიტყუაი, და სიტყუაი იგი იყო ღმრთისა თანა, და ღმერთი იყო სიტყუაი იგი.“**

მოკლედ, **ტორესას** რომ მოუსმინოთ, გამოდის, რომ „ყველაფერი უკუღმაა ასინეთა, უკუღმა!“ არადა, სინამდვილეში **ვახტანგ მოსიაშვილი,** რომელიც თავს იწონებს, აქაოდა, ეკლესიაში გავიზარდეო და სახარებას იმოწმებს — **„ღმერთი იყო სიტყუაი იგი“**-ო — ტელეეთერში ისეთ სიტყვებს ისვრის, ეკლესიაში გაზრდილისა რა მოგახსენოთ, მაგრამ სათხებოში გაზრდილს მართლაც ჰგავს... შორს რომ არ წავიდეთ, ამის სადემონსტრაციოდ ნაცტელეკანალიზაცია „მთავარი არხის“ ეთერში **„მასტურბატორთა კავშირის“ თავმჯდომარის ლაშა ბუღაძისა** და ერთი უცხვირპირო გოგოს გარემოცვაში მოკალათებულ **ტორესა მოსს** გაგახსენებთ, რომელმაც ხაზარაძის „უბორნიაში“ მჯღაბნელი ერთ-ერთი კოლეგის **ზაზა კოშკაძის** ასეთი ბილწი „ლექსი“ ჩამოარაკრაკა:

> **„როცა მე ლექსების წერა დავიწყე, მან მითხრა, —**
> **შენ რა ჩემი ყ...ის** (ცენზურა ჩვენია. რედ.) **პოეტი ხარ, შვილო? პოეტები იბეჭდებოდნენ ჩემ დროს ლიტგაზეთებში და სამშობლო უყვარდათ და ჩემში მოკვდა პოეტი...“**

ცხადია, ამ სიბილწეს, რომელიც ძალიან გრძელია, აღარ გავაგრძელებთ, მაგრამ **ტორესა მოსსა და მამუკა ხაზარაძის** „უბორნიას“ ვპირდებით, რომ **მწერალთა სახლში ლგბტ კომისრები ვერ შევლენ!**

რაც შეეხება **ნოდარ მაჭარაშვილს,** ქართველებო, გავუფრთხილდეთ კაცს, რომელმაც დედის ღირსება იმ გათახსირებულების თავდასხმისგან დაიცვა, რომლებიც **საკუთარ დედებზე იწევენ!**



ტორესა მოსი, იგივე ვახტანგ მოსიაშვილი

## ქართველებო, გავუფრთხილდეთ კაცს, რომელმაც დედის ღირსება იმ გათახსირებულების თავდასხმისგან დაიცვა, რომლებიც საკუთარ დედებზე იწევენ!



ტორესა მოსსა და მამუკა ხაზარაძის „უბორნიას“ ვპირდებით, რომ მწერალთა სახლში ლგბტ კომისრები ვერ შევლენ!

*დიტო ჩუბინიძე*

# მოგელანდებით!



## მოგზაურობა ქართულ პოლიტიკაში გელა ზედელაშვილთან ერთად

ბიძინა ივანიშვილი
გრიგოლ ლილუაშვილი
თეა წულუკიანი
კახა კალაძე
ირაკლი კობახიძე
მამუკა მდინარაძე
ვახტანგ გომელაური
მიხეილ ჩინჩალაძე
ოთარ ფარცხალაძე
ირაკლი რუხაძე
ლევან მურუსიძე
ვიქტორ ჯაფარიძე
დიმიტრი სამხარაძე
გიორგი ხაინდრავა
გიორგი კობახიძე
ზვიად შალამბერიძე
შალვა თადუმაძე
ირაკლი ქარსელაძე
კახა ბექაური



# ზელენსკის სია

ეტყობა, **ვალოდია ზელენსკის** აქედან ვიღაცა ეღადავება და უაზრო სიებს აწვდის.

ამ დიდ სისულელეს თავი რომ დავანებოთ, თუნდაც **გოგა ხაინდრავა** რა შუაშია, რომ ასანქცირებ? რაიმე თანამდებობა უკავია? ან ეს **გიორგი კობახიძე** იმიტომ უნდა დაასანქციროს, რომ **ირაკლი კობახიძის** მამაა?

ეს **ფარცხალაძე** კი მართლა ვეღარ მოინელეს — კაცი საერთოდ წავიდა საქართველოდან და გვარიც გადაიკეთა.

ან ეს **თეა წულუკიანი** საიდანღა გაახსენდათ? გეუბნებით, აქ ისეთი გვარებია ჩამოთვლილი, ვერ გაიგებთ, ახლა რა შუაში არიან.

**მართალია, უკრაინაში კრიზისია, თანაც არა მხოლოდ პოლიტიკური და საბრძოლო კრიზისი, გონებრივადაც მაგრად უჭირთ, მაგრამ ნუთუ საბოლოოდ გაჭედეს?**

მაშინ არ გაგვიკვირდება, თუ 1 მილიონ 200 ათასი ადამიანის დასანქცირებაც გადაწყვიტეს, რომლებსაც ნაცები პოლიტიკურად და ბიოლოგიურად გვძულს!

# ბოლო პარასკევი



**სალომე ზურაბიშვილი:**

ჩვენ მოწმე ვართ რუსული რეპრესიების, რომელიც ტარდება სპეცდანიშნულების ძალების გამოყენებით და რომლებიც აშკარად ნარკოტიკული ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებიან, ამაზე მეტყველებს მათი ბრუტალურობა.

ამ **ბრუტიანის** მტკიცებით, ჩვენი პოლიციელები ნარკოტიკებს იღებენ და **ბრუტალურები** არიან!

არადა, **რამდენიმე პარასკევი,** რაც ამ კუდიან დედაბერს დარჩა, აღარ გავიდა. ისეთი შეგრძნება მაქვს, დროც ამასთან ერთად ფეხს ითრევს.

**და თქვენ ამას ეძახით დემოკრატიას?**

განა დემოკრატია იმას ნიშნავს, რომ ლოთი ყვავი დამაჯდეს თავზე და მისი ავადმყოფური გამოხტომები ვითმინო 6 წლის განმავლობაში?

**განა რა დანაშაული მაქვს, რომ დემოკრატიით დამსაჯეთ?!**

☺

ხან იძახის — არიქა, საბჭოთა კავშირი დაბრუნდაო, ხან კიდე — რუსი, მოდის, რუსი მოდისო!

**დააწყნარეთ, დაამშვიდეთ, რამე ნორმალური გადააყლურწეთ, შთააგონეთ, აუხსენით, ვადის ამოწურვამ ჰალუცინაციები იცის-თქვა, საბჭოთა კავშირი არ დაბრუნებულა-თქვა, რუსი არ მოდის-თქვა. ეგ კი არა, უთხარით, ვადა არ ამოგწურვია-თქვა, ისევ პრეზიდენტი ხარ-თქვა, სუ პრეზიდენტი იქნები-თქვა, მთელი ცხოვრება მთავარსარდალი იქნები-თქვა.**

ჰოოოოოო!

დიდ ადამიანებს ხანდახან რაღაცები თუ არ მოვატყუეთ, ჟინიანობა ეწყებათ. განა **სტალინს** ეხალისებოდა, **ლენინს** ერთ ცალ „ისკრას“ რო უბეჭდავდა ხოლმე სუ კაი ამბებით? ამასაც დავუბეჭდოთ ერთი ცალი გაზეთი კაი ამბებით, თავისი სურათებით და გაუხარდება.

არა? გაზეთი არ უყვარს? კითხვა არ იცის?

მაშინ ტელევიზია გავუხსნათ, სუ ამის პრეზიდენტობაზე რო ილაპარაკებენ. ჰო, კიდევ ამის სადაქალოსთან მაქვს კიდე ერთი თხოვნა: ამ **ბოლო პარასკევის** წინ მაინც

**ნუ აწვალებთ, ტოტებიანი ტრიკოები, ჩუსტები, ღამის პერანგი და „გრელკა“ ჩაულაგეთ ზურგჩანთაში, ხომ ხედავთ, თვითონ რომ ვერ ალაგებს?!**




# კავკასიური ნაგვის წრე

ე.წ. მსახიობები, რეჟისორები, კომპოზიტორები, მწერლები გამოდიან და აცხადებენ — **გავიფიცეთო.** უფრო იმ თეატრების მუშაკნი აქტიურობენ, სადაც **ბიძინა ივანიშვილის** მილიონებია ჩაყრილი და სადაც დღემდე იღებენ დაფინანსებას!

კი, ბატონო, **გაიფიცეთ,** მაგრამ ეგებ მანამდე ის ფული დააბრუნოთ, რაც აქამდე აგიღიათ და უარი თქვათ იმაზე, რასაც ყოველი თვის ბოლოს ელოდებით?

თქვენ კი, **გაუფიცავებო,** სად ხართ შეყუჟული, რას ელოდებით? იმას, სასწორის პინა საით გადაიხრება? უკვე გადაიხარა, ვერააყირავეს საქართველო. დავიჯერო, ერთი **რობერტ სტურუას** მეტი ვერავინ ბედავს ხმის ამოღებას?

## კვირგვინოსნები

**ირაკლი ჩოლოყაშვილი**
*მსახიობი*



**ყოველი მეორე მოქალაქე** „ოცნების“ მომხრე 2012 წელს არ ყოფილა და ახლა როგორ შეიძლება, **ყოველ მეორე ადამიანს** ხმა მათთვის მიეცა?

„კვირის პალიტრა“

**ნინო ბურდული**
*მსახიობი*



**სამშვიდობო პოლიტიკა ახლა ჩვენთვის უმნიშვნელოვანესია.** ბევრად მნიშვნელოვანია, ღირსეულად მივიღო ის, **რასაც ცხოვრება მიმზადებს,** ვიდრე ვებრძოლო იმას, **რასაც ცხოვრება მთავაზობს.**

„კვირის პალიტრა“

**თორნიკე მოლაშვილი**
*სულხან მოლაშვილის ძმა*



**ოპოზიცია, როგორც ასეთი,** საქართველოს მთავრობას არ ჰყავს. **ოპოზიციის ნიშა დაკავებული აქვს ე.წ. უცხო ქვეყნის აგენტურას.**

„TV იმედი“

**ლევან ნაცვლიშვილი**
*პოლიტიკოსი*



მიზეზშედეგობრივი კავშირის თაობაზე ვისაც გაკვრით მაინც სმენია, მარტივ ჭეშმარიტებას იოლად აღმოაჩენს — **არ ძალადობს დემონსტრანტი — არ პასუხობს პოლიცია!**

„პრაიმტაიმი“

**ვანო ნადირაძე**
*უკრაინაში მებრძოლი*



დღის განმავლობაში **ყველამ რომ თითო საბურავი მიიტანოს, კარგი იქნება. ცეცხლწაკიდებული საბურავები** — მაიდნის სიმბოლო!

„პირველი არხი“

**დალი ლეჟავა**
*ფსიქოლოგი*



**კონფლიქტურ სივრცეში ბავშვების, მოსწავლეების შეყვანა** და მათზე პასუხისმგებლობის დაკისრება **იწვევს მათ ტრავმირებას და არის დამანგრეველი.**

„იმედინიუსი“

*ცნობილი ჰომეოპათი, ექიმი* **კახა საბახტარიშვილი** *იმ სიკეთეების შესახებ გვესაუბრება, რაც ცხოველისა თუ ფრინველის ქონის საყოფაცხოვრებო პირობებში გამოყენებას უკავშირდება:*



**კახა საბახტარიშვილი** — ექიმი ნევროპათოლოგი, საერთაშორისო ჰომეოპათიური ლიგის წევრი, საქართველოს ეკოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. გასული საუკუნის 80-იან წლებში იყო კიბოს საწინააღმდეგო პრეპარატ **„კატრექსის“** ავტორის **ალექსანდრე ბაჩეჩილაძის** მიერ შექმნილი **საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი საიდუმლო სამეცნიერო ლაბორატორიის მთავარი ექიმი,** ქალაქ თბილისის №13 პოლიკლინიკის დირექტორი. აქვს გამოქვეყნებული 7 წიგნი და 1 მონოგრაფია, 50 სამეცნიერო სტატია. მსოფლიო აღიარება მოიპოვა მისი ხელმძღვანელობით შექმნილმა წამლებმა **„გულის ელექსირი ფორტე“, „ტონზილინი“ და „იმუნო ჰერბი ფორტე“, „ტონზილინმა“** ასობით ბავშვი გლანდების ამოჭრას გადაარჩინა. **„იმუნო-ჰერბი ფორტემ“** ათასობით ადამიანს გრიპი და კოვიდი თავიდან აარიდა. **„გულის ელექსირი ფორტე“ —** საიმედო დაცვა ინფარქტისა და ინსულტისაგან.



**თბილისი, ვაჟა-ფშაველას 43, მეტროსადგური „დელისი“ (პროფკავშირების სახლი). 593 31 70 34; ფეისბუქი: „კახა საბახტარიშვილის ჯანმრთელობის ცენტრი“ და „ლაზიკა-ფარმა“**

# კახა საბახტარიშვილი:

# თხის ქონი საოცრად ეფექტურია სასუნთქი ორგანოების ისეთი დაავადებების წინააღმდეგ, როგორებიცაა ტუბერკულოზი, პნევმონია და ასთმა!



— ცხოველისა და ფრინველისგან დამზადებულ ქონს ადამიანი უხსოვარი დროიდან იყენებს. ამ მხრივ განსაკუთრებით გამორჩეულია **შინაური თხის ქონი.** საერთოდ, თხის რძე, ყველი და ხორცი ძალიან მარგებელია. თხის რძე თავისი შემადგენლობით დედის რძეს უტოლდება და ბევრად სჯობს ძროხის რძეს. იმისათვის, რომ რძე ორგანიზმმა აითვისოს, აუცილებელია ფერმენტი მალტაზა, რომელიც რძეს მარტივ კომპონენტებად გარდაქმნის. ბავშვებში ფერმენტი **მალტაზა** 4-5 წლამდე საკმარისი რაოდენობით არის წარმოდგენილი, მაგრამ წლების მატებასთან ერთად ქრება. ძროხის რძისგან განსხვავებით, თხის რძე თავად შეიცავს მალტაზას. ამდენად, ნებისმიერ ასაკში მისი ათვისება ორგანიზმისთვის ადვილია.

**— რამდენად სასარგებლოა თხის ქონი?**

— **თხის ქონი** დიდი რაოდენობით D ვიტამინსა და კალციუმს შეიცავს. აქედან გამომდინარე, ძალიან სასარგებლოა ბავშვებში **რაქიტის** თავიდან ასაცილებლად და მოხუცებში **ოსტეოპოროზის** სამკურნალოდ, რადგან ამაგრებს ძვლებს. გარდა ამისა, თხის ქონი საოცრად ეფექტურია სასუნთქი ორგანოების ისეთი დაავადებების წინააღმდეგ, როგორებიცაა **ტუბერკულოზი, პნევმონია და ასთმა.** საქართველოში თხის ქონით ან გულმკერდს იზელდნენ, ანდა გააცხელებდნენ და რძესთან ერთად მიირთმევდნენ.

თხის ქონი შეიცავს უიშვიათეს D13 ვიტამინსა და კოემზინ Q10-ს. აქედან გამომდინარე, კიბოს საწინააღმდეგო მოქმედებაც გააჩნია. გამოიყენება ისეთი რთული დაავადებების სამკურნალოდ, როგორებიცაა **ფსორიაზი და ეგზემა.** დადგენილია, რომ თხის ქონს გააჩნია **სკლეროზის** საწინააღმდეგო მოქმედებაც. ის ამცირებს სისხლის შრატში ქოლესტერინის კონცენტრაციას და გააჩნია ანთების საწინააღმდეგო უძლიერესი მოქმედება. თხის ქონი ძალიან კარგია მათთვის, ვისაც **კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული ან ნაღველკენჭოვანი დაავადება** აწუხებს.

**— რა სიკეთის მატარებელია კურდღლის ქონი?**

— **კურდღლის ქონი** მისწრებაა ჭრილობის შესახორცებლად. მას ადვილად გამოაქვს ჭრილობაში ღრმად ჩარჩენილი ხიჭვი, ეკალი და სხვა უცხო საგანი, აწესრიგებს მეტაბოლიზმს. სწორედ კურდღლის ქონზეა დამზადებული პრეპარატი **„კურდლიპიდი“,** რომელიც ეფექტურია წონის დასაკლებად და ამცირებს ინსულინრეზისტენტობას. აღარაფერს ვამბობთ იმის შესახებ, რომ კურდღლის ხორცი აბსოლუტურად უწყინარი და ადვილად მოსანელებელი, დიეტური პროდუქტია.

**— გამიგია, რომ ძალიან სასარგებლო პროდუქტია ბატის ქონი!**

— **ბატის ქონის** საოცარი თვისებები განპირობებულია მისი შემადგენლობის უნიკალურობით. მასში შედის სასიცოცხლოდ აუცილებელი მიკროელემენტები — სელენი, თუთია, რკინა, კალციუმი და მაგნიუმი. გარდა ამისა, შეიცავს B ჯგუფის ყველა ვიტამინს, აგრეთვე A, E და C ვიტამინებს. ჩვენ არაერთხელ გვისაუბრია ზეითუნის ზეთის უნიკალური თვისებების შესახებ, მაგრამ ბევრმა არ იცის, რომ ბატის ქონი თავისი სტრუქტურით ძალიან ჰგავს ზეითუნის ზეთს. ზეითუნის ზეთის მსგავსად, ბატის ქონიც მონონაჯერი ცხიმოვანი მჟავებისგან შედგება. მასში დიდი რაოდენობით არის წარმოდგენილი „ომეგა-3“. შეიძლება ითქვას, რომ ბატის ქონი, ფაქტობრივად, ცხოველური წარმოშობის ზეითუნის ზეთია! შორს წაგვიყვანს იმ დაავადებათა დასახელება, რომლებსაც ბატის ქონი ეფექტურად ებრძვის, თუმცა, მცირე ჩამონათვალს მაინც გთავაზობთ: **გინეკოლოგიური ანთებითი პროცესები და ეროზიები; თრომბოფლებიტი; ბუასილი; ეგზემა; ფსორიაზი; კანის დამწვრობა და ჭრილობა; სახსრებისა და კუნთების ტკივილი.** ბატის ქონში შემავალი სელენი და B ჯგუფის ვიტამინები ნებისმიერი ასაკის ადამიანს ბუნებრივ ენერგიას მატებს, ამასთან, გამოირჩევა იმით, რომ მასში ქოლესტერინი მხოლოდ ნაშთის სახით არსებობს და ადვილად გადამუშავდება. ბატის ღვიძლი, ანუ „ფუაგრა“ ფრანგების უსაყვარლესი და ყოველდღიური რაციონის შემადგენელი კერძია. სწორედ მისი და წითელი ღვინის დამსახურებაა, რომ ფრანგებში გულ-სისხლძარღვთა დაავადებათა რიცხვი მსოფლიოს მასშტაბით ყველაზე ნაკლებია და ინსულტითა და ინფარქტით ყველაზე ნაკლებად იღუპებიან!

## „კურდღლის ქონი მისწრებაა ჭრილობის შესახორცებლად! ბატის ქონი, ფაქტობრივად, ცხოველური წარმოშობის ზეითუნის ზეთია! ღორის ქონი სასარგებლოა მხოლოდ მაშინ, თუ ის წარმოდგენილია ე.წ. სალას სახით! დათვის ქონი ღონემიხდილ ადამიანებსაც კი საოცარ ძალას აძლევს!“



**— ღორის ქონი აბსოლუტურად უსარგებლო პროდუქტია?**

— ადამიანის ჯანმრთელობისთვის **ღორის ქონი** სასარგებლოა მხოლოდ მაშინ, თუ ის წარმოდგენილია ე.წ. სალას სახით! სხვა შემთხვევაში, ღორის ქონს საკვებად უნდა მოვერიდოთ! ღორის ქონი არც ჭრილობის და არც სხვა მსგავსი დაზიანების დროს არ გამოიყენება!

**— დათვის ქონი რამდენად სასიკეთო პროდუქტია?**

— საერთოდ, **დათვის ქონს** უძველესი დროიდან იყენებენ, რასაც თავისი მიზეზი აქვს. პირველყოფილი ადამიანი აკვირდებოდა და ხვდებოდა, რომ ზამთარში დათვს ღრმა ძილით ეძინა, ზოგჯერ ექვსი თვის განმავლობაშიც კი. ბუნებრივია, ჩვენი ადრეული წინაპრები სვამდნენ კითხვას — თუ რა აცოცხლებდა ამდენი ხნის განმავლობაში ცხოველს, რომელიც არც ჭამდა და არც სვამდა? პირველყოფილი ადამიანი მიხვდა, რომ დათვი დაგროვილი ცხიმებით საზრდოობდა. მართლაც, დათვის ქონი უმდიდრესია ცილებით, ცხიმებით, ვიტამინებით, ორგანული მჟავებითა და მიკროელემენტებით. შეიძლება ითქვას, რომ დათვის ქონი ადამიანის სიცოცხლისთვის აუცილებელ ყველა ვიტამინსა და მიკროელემენტს შეიცავს, ამიტომ გამოიყენება ისეთი მძიმე დაავადებების სამკურნალოდ, როგორებიცაა — ფილტვის კიბო და ტუბერკულოზი. საერთოდ, **დათვის ქონი უმძიმეს პაციენტებს, ღონემიხდილ ადამიანებსაც კი საოცარ ძალას აძლევს, რადგან აუმჯობესებს მეტაბოლიზმს, ზრდის ფიზიკურ ამტანობას და ხელს უწყობს ადამიანის ადაპტაციას მავნე პირობებთან.**



**„ვირის ტვინი მართლაც შეიცავს ძალიან აქტიურ ნივთიერებებს, რომელსაც ადამიანის ფსიქიკაზე დიდი გავლენის მოხდენა შეუძლია!“**

## „მგლის ქონი ისევე, როგორც ვირის ტვინი, რომელიც, რა თქმა უნდა, ცხიმია, უფრო სპირიტიზმისა და ჯადოქრობის თემას განეკუთვნება, ვიდრე მედიცინის...“

**— ათასნაირი ლეგენდები დადის მგლის ქონზე...**

— მგლის ქონი ისევე, როგორც ვირის ტვინი, რომელიც, რა თქმა უნდა, ცხიმია, უფრო სპირიტიზმისა და ჯადოქრობის თემას განეკუთვნება, ვიდრე მედიცინის... მგლის ქონისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ვირის ტვინი მართლაც შეიცავს ძალიან აქტიურ ნივთიერებებს, რომელსაც ადამიანის ფსიქიკაზე დიდი გავლენის მოხდენა შეუძლია! ალბათ, სწორედ ამიტომ იტყვიან ხოლმე დაბნეულ, მოშვებულ და ერთი შეხედვით ინფანტილურ ადამიანზე — ვირის ტვინი აჭამესო!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***



# ნანა ლორთქიფანიძე:

# ბოდიში მოიხადონ და იცოდნენ, კარზე ვის უნდა დაუკაკუნონ!

**გასულ კვირას ნაციონალების გაერთიანებული აქციის მონაწილეებმა რუსთაველის თეატრის ვიტრინა ჩალეწეს, ხოლო ცენტრალური ფასადიდან სარეკლამო ბანერი გინებითა და შეძახილებით ჩამოაგდეს. ამას მოჰყვა სხვადასხვა თეატრის მსახიობთა გაფიცვა და მოთხოვნა, რომ რუსთაველის თეატრში შეეშვათ. სამხატვრო ხელმძღვანელმა რობერტ სტურუამ მოთხოვნა არ დააკმაყოფილა. გვესაუბრება რუსთაველის თეატრის მსახიობი, გიგა ლორთქიფანიძისა და ქეთევან კიკნაძის ქალიშვილი ნანა ლორთქიფანიძე:**

— მსახიობების გაფიცვა ნიშნავს, რომ წყვეტენ მუშაობას, თუმცა, არ ვიცი, ვის ეფიცებიან — თეატრს თუ მაყურებელს? ერთ-ერთი მსახიობი თავს იგიჟებდა, აქ სხვადასხვა პარტიის მომხრე ხალხი მოდის, დაუშვებელია მხოლოდ ერთი ჯგუფისთვის მუშაობაო. არადა, ახლა თვითონ დაუშვა ეს დაყოფა. აქციების გამო რუსთაველის თეატრი გაჩერებულია, ვერც ჩვენ და ვერც მაყურებელი იქამდე ვერ მივდივართ, სპექტაკლის შემდეგ გარეთ რომ გამოვალთ, შეიძლება, თავში რაღაც ჩაგვარტყან. 4-5 დეკემბერს პრემიერა უნდა გვქონოდა, ახლა 12-ში გადაიტანეს, თუმცა, მეეჭვება, თამაში შევძლოთ.

**— გავრცელდა ინფორმაცია, რომ რუსთაველის თეატრის სახურავიდან პოლიცია ისროდა...**

— ეს ამბავი გაავრცელეს ჩვენი თეატრის ცალკეულმა მსახიობებმა, თუმცა, საბედნიეროდ, ისინი ცოტანი არიან და ამაზე ბოდიში აქვთ მოსახდელი. სახურავიდან სროლა იმას ნიშნავს, რომ ვიღაცამ ისინი თეატრში შეუშვა. ეს არის სიცრუე ისევე, როგორც ერთი ფაქტიც რომ ვერ დადეს არჩევნების გაყალბების თაობაზე. მოვუწოდებ ყველას, მოიქცნენ ღირსეულად და თავი დაანებონ ბოლშევიკურ მეთოდებს. თუ რაღაც არ მოგწონს, რევოლუცია და სახელმწიფო გადატრიალება უნდა მოაწყო? ამათ ის 9-წლიანი ძალადობა და გაუთავებელი წამება ენატრებათ. ბოდიში მოიხადონ ცილისწამებისთვის და იცოდნენ, ვის უნდა დაუკაკუნონ კარზე.

**— გაფიცული მსახიობები რობერტ სტურუამ რუსთაველის თეატრში არ შეუშვა..**

— **ᲠᲝᲑᲔᲠᲢ ᲡᲢᲣᲠᲣᲐ** დიდი მაესტროა, ყოველთვის მოწოდების სიმაღლეზეა და იცის თავისი შინაგანაწესი. თეატრი ისე მოიქცა, როგორც საჭიროდ ჩათვალა. ჩვენ არ ვიფიცებით, რადგან გაფიცვას ევროპისკენ კი არა, უფსკრულისკენ მივყავართ. რასაც ესენი აკეთებენ, მართლაც ბოლშევიკური მოძრაობაა. ასე იყო მწერალთა სახლში, როცა **ᲥᲔᲗᲘ ᲓᲣᲛᲑᲐᲫᲔᲡ** მიუვარდნენ, ასე იყო თეატრალურ საზოგადოებაში, როცა **ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲒᲔᲑᲔᲭᲙᲝᲠᲡ** მიეჭრნენ. რაღაც სიებს ადგენენ და აქეთ სხვებს ეძახიან, რუსები ხართო.




**— მოსახლეობის გარკვეული ნაწილი თვლის, რომ ეს აქციები მშვიდობიანია...**

— აქციას მშვიდობიანი რომ დაარქვა, მშვიდობიანი უნდა იყოს, ასე რომ, ისწავლონ ძალადობრივისა და მშვიდობიანის ერთმანეთისგან გარჩევა. 1978 წლიდან, როცა სახელმწიფო ენის საკითხი წყდებოდა, ჩემი თაობა აქციაზე იდგა, 9 აპრილსაც, ნაციონალური მოძრაობის წინააღმდეგაც და ახლა ესენი რას გვასწავლიან?! არც ქვები გვისვრია და არც სახელმწიფო გადატრიალებაზე გვიფიქრია. პიროტექნიკა, რომელიც ფერად ყვავილებს კი არა, ცეცხლს აფრქვევს, ადამიანს დამიზნებით უნდა ესროლო?! ყოველ ახალ წელს ისედაც გვაფრთხილებენ, რომ პიროტექნიკა საშიშია. ჩემი ახლობლის ბებია სწორედ ამან იმსხვერპლა. ევროპის გზა ქვების სროლაზე არ გადის, პოლიციელის ფორმის მიღმა ადამიანები დგანან, თუმცა, არც პოლიციამ უნდა გადაამეტოს და წაქცეულ ადამიანს სახეში წიხლი არ უნდა ჩაარტყას. მოკლედ, ორივე მხარემ თავი დაანებოს ძალადობას. განვიცდი ახალგაზრდა და ნიჭიერი მსახიობის **ᲐᲜᲓᲠᲝ ᲭᲘᲭᲘᲜᲐᲫᲘᲡ** დაკავებას, გულწრფელად ვგულშემატკივრობ და დარწმუნებული ვარ, სახელმწიფოს გადატრიალებაში მონაწილეობას არ მიიღებდა.

**— ამ აქციებს 2007 წლის 7 ნოემბრის აქციას ადარებენ...**

— 7 ნოემბერს დილით ჩაძინებულ ხალხს თავს დაატეხა საკაშვილის სპეცრაზმი, ლიდერებს ცემით თავები დაუხეთქეს. ახლა ნახეთ — დღევანდელი აქციების ლიდერებს ერთი ნაკაწრიც არა აქვთ, ახალგაზრდებს იმეტებენ და პიროტექნიკით აიარაღებენ. ხომ ვნახეთ, ოპოზიციის ოფისებში რაც ჰქონდა შენახული.

**— პრეზიდენტმა თავისი მოწოდება, აქციებში სკოლებიც ჩართულიყვნენ, უარყო...**

— მისი ნათქვამი ყველამ მოვისმინეთ, მასწავლებლებმა ბავშვები აქციებზე გაიყვანეს და ამ განცხადების მერე, ნახევარ საათში, მასწავლებლების, მოსწავლეებისა და მშობლების ჩატებში გაჩნდა მესიჯები: ქოცების შვილები გარიცხეთ სკოლებიდან... არ გვინდა, ჩვენი შვილები ქოცების შვილების გვერდით იზრდებოდნენო და ა.შ. და კიდევ: ზურაბიშვილმა ნუ გადაგვაყოლა თავის ემიგრანტობას, იმ გემზე, რომლითაც მაგისი ოჯახი საფრანგეთში გაემგზავრა, ჩემი ბებია და ბაბუა არ ავიდნენ, აქ დარჩნენ და დაიხვრიტნენ, მაგათ კი როიალები და ოქრო-ვერცხლი გაზიდეს აქედან. ზურაბიშვილი როცა ჩამოვიდა, სცენიდან ჩამოაგდო მარიკა ლორთქიფანი-



**„ᲖᲣᲠᲐᲑᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲜᲣ ᲒᲐᲓᲐᲒᲕᲐᲧᲝᲚᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲔᲛᲘᲒᲠᲐᲜᲢᲝᲑᲐᲡ, ᲘᲛ ᲒᲔᲛᲖᲔ, ᲠᲝᲛᲚᲘᲗᲐᲪ ᲛᲐᲒᲘᲡᲘ ᲝᲯᲐᲮᲘ ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲨᲘ ᲒᲐᲔᲛᲒᲖᲐᲕᲠᲐ, ᲩᲔᲛᲘ ᲑᲔᲑᲘᲐ ᲓᲐ ᲑᲐᲑᲣᲐ ᲐᲠ ᲐᲕᲘᲓᲜᲔᲜ, ᲐᲥ ᲓᲐᲠᲩᲜᲔᲜ ᲓᲐ ᲓᲐᲘᲮᲕᲠᲘᲢᲜᲔᲜ, ᲛᲐᲒᲐᲗ ᲙᲘ ᲠᲝᲘᲐᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲝᲥᲠᲝ-ᲕᲔᲠᲪᲮᲚᲘ ᲒᲐᲖᲘᲓᲔᲡ ᲐᲥᲔᲓᲐᲜ!“**

## ᲙᲕᲘᲠᲒᲕᲘᲜᲝᲡᲜᲔᲑᲘ

**ᲕᲐᲟᲐ ᲑᲔᲠᲘᲫᲔ**
*პოლიტიკოსი*



**სამოქალაქო დაპირისპირება უკვე ძალიან ახლოსაა,** შეიძლება ითქვას, კარს არის მომდგარი. თუ უარს ვამბობთ საპარლამენტო გზასა და პოლიტიკურ პროცესზე, **რჩება ერთადერთი გზა — რევოლუცია და გადატრალება.**

„კვირის პალიტრა“

**ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲜᲐᲖᲦᲐᲘᲫᲔ**
*ტელეწამყვანი, „პრაიმ შოუს“ გამარჯვებული*



**გამოქვეყნდა სპეცრაზმელების სია და, ჩემდა სამწუხაროდ, ამ სიაში ამოვიკითხე ჩემი ძმის სახელი და გვარი.** ამ ძმასთან მე და ჩემს ოჯახს სხვადასხვა მიზეზის გამო არ გვაქვს კომუნიკაცია. თუმცა, პოლიციაში რომ მუშაობდა, ვიცოდი. **გული მწყდება და კიდევ ერთხელ ჩემი ძმის მაგივრად ბოდიშს გიხდით.**

„ახალი თაობა“

**ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲥᲐᲜᲗᲐᲠᲘᲐ**
*ბათუმის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი*



ჩემთვის, როგორც სახელმწიფო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელისთვის, **კატეგორიულად მიუღებელია საზოგადოების ერთი ნაწილის სოლიდარობის ნიშნად სახელმწიფო თეატრის გაფიცვა,** რაც, ჩემი აზრით, არის იმ საზოგადოების უპატივცემულობა, ვისაც სურს სპექტაკლების ნახვა. **ან რამდენ ხანს უნდა გავიფიცოთ და რატომ?**

„ახალი თაობა“

**ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲐᲠᲔᲨᲘᲫᲔ**
*ექსპერტი*



ახლა მთავარი ის არის, რომ კატასტროფისკენ მივდივართ. **რაც ხდება, არის ერის გახლეჩა და ამ სიტუაციას ჩვენი მტრები გამოიყენებენ.** მერე ხელისუფლებამ დააშავა თუ ოპოზიციამ, არავის ემახსოვრება, **საბოლოოდ ქვეყანა დაზარალდება.**

„კვირის პალიტრა“

ძე, გაბედა და გიგა და მარიკა ლორთქიფანიძეები წითელ ინტელიგენციად მოიხსენია. ახლა მათხოვრად ქცეული ლუქსემბურგის საგარეო საქმეთა მინისტრს ეხვეწებოდა, არ ეღიარებინათ ეს არჩევნები. ზურაბიშვილი პირველი ხელის მომწერია ამ არეულობაზე. როცა მაგან საპრეზიდენტო არჩევნებში პირველ ტურში წააგო, გვირეკავდნენ, დავხმარებოდით. ჩემმა მამიდაშვილმა **ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲝᲗᲮᲛᲔᲖᲣᲠᲛᲐ** მითხრა — ნაწყენი კი ვართ, მაგრამ ჩავერთოთ ამ კამპანიაში, გიგა და მარიკა ცოცხლები რომ ყოფილიყვნენ, სახელმწიფოებრივად იაზროვნებდნენ, ამიტომ დავეხმაროთ მაგას მეორე ტურის მოგებაშიო. ჩავერთეთ იმ პროცესებში, მოვიარეთ მთელი საქართველო. გახდა პრეზიდენტი და, იცით, პირველ რიგში, რა გააკეთა?

**— რა გააკეთა?**

— **ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲝᲗᲮᲛᲔᲖᲣᲠᲘᲡ** შვილის მკვლელი შეიწყალა! **ᲓᲐᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲕᲐᲠ, ᲠᲐᲡᲐᲪ ᲔᲡ ᲥᲐᲚᲘ ᲙᲐᲓᲠᲣᲚᲝᲑᲡ, ᲑᲠᲘᲒᲝᲚ ᲕᲐᲨᲐᲫᲔ ᲐᲠ ᲘᲙᲐᲓᲠᲔᲑᲓᲐ.** ეს არის უსინდისო, დაუნახავი, უზნეო ადამიანი და ეს ყველაფერი მარტო იმისთვის ხდება, რომ პრეზიდენტის სასახლეში ყოფნა გაიხანგრძლივოს, ვერ ელევა პრივილეგიებს. ისიც კი თქვა — **ᲙᲝᲑᲐᲮᲘᲫᲔᲪ ᲓᲐᲠᲩᲔᲡ ᲓᲐ ᲛᲔᲪ ᲕᲘᲥᲜᲔᲑᲘᲝ.** თვითონაც დედაა, ბებია და იმის ნაცვლად, რომ სიტუაცია ჩააწყნაროს, ცეცხლზე ნავთს ასხამს. „მოლოტოვის კოქტეილების" სროლას ამართლებს, პოლიციელების დაწვას და დაშავებას ემხრობა. ამდენი ადამიანია დაკავებული და ეს ქალი ისევ დირექტივებს იძლევა.

**— ოპოზიციისა და პრეზიდენტის ყველა განცხადება კეთდება ქართველი ხალხის სახელით...**

— ქართველ ხალხად თვლიან მხოლოდ თავიანთ მხარდამჭერებს, ხოლო მილიონ 200 ათას ადამიანს, ვინც ამ მთავრობას მივეცით ხმა, ქართველებად არ გვთვლიან? ბევრად მეტნი ვართ, ვიდრე ისინი. ბევრი შეცდომა იქნა დაშვებული, უნდა შეწყდეს **ᲛᲝᲦᲐᲚᲐᲢᲘᲡᲐ** და **ᲛᲝᲜᲐᲡ** ძახილი, მსახიობები უნდა დაუბრუნდნენ სცენას და თავიანთი შემოქმედებით ესაუბრონ ხალხს, საჭირო არ არის დროშების გამოფენა და ძახილი: **„ᲐᲠᲐ ᲠᲣᲡᲣᲚ ᲙᲐᲜᲝᲜᲡ".** მაყურებელს, რომელიც არ ემხრობა შენს მოსაზრებას, სცენიდან თავზე რატომ უნდა მოახვიო ლოზუნგები?! აღქმებით ცხოვრებას არ ვაპირებთ, საქართველოში ეს არ გამოუვათ!

*ესაუბრა*

***ᲥᲔᲗᲔᲕᲐᲜ ᲮᲐᲛᲘᲪᲐᲨᲕᲘᲚᲘ***

## *ᲠᲐᲛᲐᲖ ᲘᲝᲡᲔᲚᲘᲐᲜᲘ:*

# ᲠᲝᲪᲐ ᲑᲘᲫᲘᲜᲐ ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲡ ᲐᲠᲔᲛᲝᲜᲢᲔᲑᲓᲐ, ᲛᲐᲨᲘᲜ ᲒᲐᲔᲞᲠᲝᲢᲔᲡᲢᲔᲑᲘᲜᲐᲗ!



***მსახიობთა გაფიცვასა და საქართველოში მიმდინარე პროცესებს ეხმაურება მსახიობი და რეჟისორი ᲠᲐᲛᲐᲖ ᲘᲝᲡᲔᲚᲘᲐᲜᲘ:***

— სხვის დაკრულზე ნუ ცეკვავენ, ვის ეფიცებიან, საკუთარ ხალხს? რა მოხდება ამ გაფიცვების მერე? შეგიძლია, გამოხატო პროტესტი, რაც გინდა, ის ილაპარაკო, მაგრამ მსახიობისთვის სცენაა სიტყვის გამოხატვის ყველაზე კარგი საშუალება, შემოქმედებაში უნდა თქვა საკუთარი სათქმელი!

**— გაფიცული მსახიობები და აქციის მონაწილეები რუსთაველის თეატრში აპირებდნენ შესვლას. რობერტ სტურუამ ისინი თეატრში არ შეუშვა.**

— არ შეიძლება **ᲠᲝᲑᲔᲠᲢ ᲡᲢᲣᲠᲣᲐᲡᲗᲕᲘᲡ** — გენიოსისთვის შეურაცხყოფის მიყენება, ის უკვე ისტორიაა! **ᲒᲐᲕᲐ ᲓᲠᲝ, ᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲔᲑᲘ ᲐᲠᲐᲕᲘᲡ ᲔᲛᲐᲮᲡᲝᲕᲠᲔᲑᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲡᲢᲣᲠᲣᲐ ᲓᲐᲠᲩᲔᲑᲐ.** ჩემთან თეატრში რომ მოსულიყვნენ, შევუშვებდი, თეატრი მსახიობისაა. საერთოდ, არტისტები ცოტა გიჟები არიან, მსახიობი და „დალაგებული" არ მინახავს, გიჟი თუ არ არის, ვერ ითამაშებს. ვისურვებდი, ის ენერგია, რაც ამ აქციებზე აქვთ, მალე სცენაზე გადაეტანოთ!

**— ეს ის მსახიობები არიან, ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ რომ გამოდიან, თუმცა, მის მიერ გარემონტებულ და აღდგენილ თეატრებში თამაშობენ...**

— როცა თეატრებს არემონტებდა, მაშინ გაეპროტესტებინათ! საერთოდ, ვინც არ მიყვარს, იმისი არც აშენებული მინდა, არც სხვა რამ. დაე, ოპოზიციონერმა მილიონერებმაც ააშენონ თეატრები, ერთი შენობა მაინც გადასცენ ლტოლვილებს.. აბა, თქვან, რომელი ოჯახი დააბინავეს? თეატრში დახმარება მჭირდებოდა, მიშველეთ-მეთქი და არავინ გამომეხმაურა. **ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲮᲐᲖᲐᲠᲐᲫᲔᲛ** ბანკში სესხებზე პროცენტი რომ დააკლოს, ცუდი იქნება? აქეთ ბიძინასთან აქვთ პრეტენზიები, საქართველო იყიდაო.

**— თვლით, რომ ეს აქციები მშვიდობიანია და პოლიცია ძალადობს ახალგაზრდების გამოსვლებზე?**

— ძალადობას მხოლოდ ერთი მხრიდან ნუ ხედავენ, ვხედავთ, რომ ძალადობა იყო ორივე მხრიდან. ვინც იწყებს ძალადობას, მეორე მხარეც ამით პასუხობს. როცა გაგიჟნებენ, შეუძლებელია, პასუხი არ დაუბრუნო. პოლიციას თმენის ვალდებულება აქვს, მაგრამ თითოეული მათგანი ხომ ადამიანია! რა თქმა უნდა, შეიძლებოდა, აქციებიც მშვიდობიანი ყოფილიყო, ქვები არ ესროლათ, არც — პიროტექნიკა. **ᲕᲔᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘ — ᲮᲔᲛ ᲠᲐᲚᲐ ᲓᲐᲐᲨᲐᲕᲐ, ᲘᲫᲐᲚᲐᲓᲐ? ᲠᲐᲢᲝᲛ ᲓᲐᲬᲕᲘᲗ? ᲐᲜ ᲡᲙᲐᲛᲛᲐ, ᲠᲝᲛ ᲓᲐᲐᲛᲢᲕᲠᲘᲔᲗ, ᲐᲜ ᲕᲘᲢᲠᲘᲜᲔᲑᲛᲐ, ᲠᲐᲢᲝᲛ ᲓᲐᲚᲔᲬᲔᲗ?** მთავრობაში „ოცნება" რატომ მოვიდაო და პასუხად ქალაქში ყველაფერი დაამტვრიეს და დააბინძურეს. მტერს ახარებენ. **ᲔᲠᲗᲘ ᲬᲣᲗᲘᲗᲐᲪ ᲕᲔᲠ ᲬᲐᲠᲛᲝᲘᲓᲒᲔᲜᲔᲜ, ᲠᲐ ᲛᲝᲮᲓᲔᲑᲝᲓᲐ, ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲘᲡᲔᲕ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲠᲝᲛ ᲧᲝᲤᲘᲚᲘᲧᲝ ᲓᲐ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲤᲐᲜᲯᲐᲠᲐ ᲩᲐᲔᲛᲡᲮᲕᲠᲘᲐᲗ.**

ტელეფონებს ვშლიდით, ბატარეას ვიღებდით, ჩვენი ლაპარაკი რომ არ მოესმინათ. პოლიცია უმიზეზოდ გვცემდა და მათთვის რაიმე რომ გვესროლა, წარმოდგენაც არ მინდა, რას გვიზამდნენ. ახლა კი გამოდიხართ და რასაც გინდა, ლაპარაკობთ! გიშლით ვინმე? ეს ახალგაზრდები ერთმანეთს არიან აყოლილები, „კაზაკი-რაზბოინიკებს" თამაშობენ და მათთვის ეს მშვიდობიანი ქცევაა, უბრალოდ, ჩვენ არ გვესმის, „ბებრები" ვართ. ბევრი დაიჭირეს, თუმცა, ძალიან ცოდოა ციხეში დამწყვდეული ახალგაზრდა ენერგია.

**— ამათ პრეზიდენტის სრული მხარდაჭერა აქვთ...**

— **ᲡᲐᲚᲝᲛᲔ ᲖᲣᲠᲐᲑᲘᲨᲕᲘᲚᲡ** ამათი ხათრით მივეცი ხმა, თორემ ჩემთვის არავინ იყო. პრეზიდენტი ნეიტრალური უნდა იყოს და დაპირისპირებულებს შორის შუამავალი. ეს კი ყველაფერს ნავთს ასხამს და ცეცხლს უკიდებს. სამწუხაროდ, ფულზე გაყიდული ხალხი ვართ, უცხოეთის ზეგავლენის ქვეშ ვიმყოფებით, რატომ ვაძლევთ უფლებას, ასე გვჯიჯგნონ და ერთმანეთს დაგვაპირისპირონ? **ᲝᲠᲘᲕᲔ ᲛᲮᲐᲠᲘᲡ ᲑᲠᲐᲚᲘᲐ, ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲐᲥᲐᲛᲓᲔ ᲠᲝᲛ ᲛᲘᲕᲘᲓᲐ!**

**— აქციაზე ბავშვების მონაწილეობას როგორ შეაფასებთ?**

— როცა ე. წ. გამჭვირვალობის კანონს იღებდნენ, ერთმა მასწავლებელმა ბავშვებს უთხრა — თქვენი ბებიები და პაპები, რომლებიც საზღვარგარეთ მუშაობენ და ფულს გიგზავნიან, ამ კანონის მიღების მერე ამას ვეღარ შეძლებენო. ამ მასწავლებლებმა ბავშვები აქციაზე გაიყვანეს, რაც განათლების სისტემის უსუსურობა და სრული ჩავარდნაა. მოკლედ, სასწრაფოდ ზომებია მისაღები, რადგან

## „ᲝᲪᲜᲔᲑᲐᲛ" ᲑᲔᲕᲠᲘ ᲘᲡᲔᲗᲘ ᲙᲐᲓᲠᲘ ᲛᲝᲘᲧᲕᲐᲜᲐ, ᲛᲢᲔᲠᲡ ᲐᲠ ᲕᲣᲡᲣᲠᲕᲔᲑ!

*ესაუბრა*

***ᲥᲔᲗᲔᲕᲐᲜ ᲮᲐᲛᲘᲪᲐᲨᲕᲘᲚᲘ***




# «ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲒᲖᲐ ᲥᲕᲔᲑᲘᲡ ᲡᲠᲝᲚᲐᲖᲔ ᲐᲠ ᲒᲐᲓᲘᲡ!»

## ᲙᲕᲘᲠᲒᲕᲘᲜᲝᲡᲜᲔᲑᲘ

**ᲑᲐᲠᲑᲐᲠᲔ ᲡᲐᲛᲮᲐᲠᲐᲫᲔ**
*მომღერალი*



ტყავიდან ვძვრებოდი, ჩემი ნიჭის მაქსიმუმს ვდებდი და **მაინც ვიზუალზე ამახვილებდნენ ყურადღებას** — რამხელაააო. 2023 წლის აგვისტოს ბოლოს მივიღე გადაწყვეტილება, **ბარიატრია** გამეკეთებინა. „ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲔᲚᲔᲑᲘ"

**ᲗᲔᲛᲝ ᲜᲘᲥᲐᲑᲐᲫᲔ**
*ივენთისტი*



ბავშვობაში, ვისაც ტელევიზორში ვხედავდი, **ყველა მილიონერი მეგონა და,** ალბათ, სხვებისთვისაც ასეა.

„ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲔᲚᲔᲑᲘ"

**ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲝᲕᲐᲨᲕᲘᲚᲘ**
*კინორეჟისორი*



არასდროს მესმოდა, **რატომ უნდა იტირონ ქალებმა და არ უნდა იტირონ კაცებმა.** არ ვიცი, მე როცა მეტირება, ვტირი. არასდროს მიფიქრია, რომ ჩემი სქესის გამო ცრემლი უნდა შევიკავო. „ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲔᲚᲔᲑᲘ"

**ᲒᲘᲒᲐ ᲙᲣᲮᲘᲐᲜᲘᲫᲔ**
*მუსიკოსი*



საქართველოში **„ევროვიზიას"** ველოდებით, გაისად, ნოემბერში, ჩვენთან გაიმართება **ყველაზე ცნობილი საბავშვო კონკურსის** სცენა.

„ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲐ"

# რა უნდა იცოდეს ქართველმა

დასაწყისი იხ. „ა–დ“, 2024 წლის №29–50

***რუსი გენერალი ანტონ დენიკინი აფსუა სეპარატისტების ანტიქართულ გამოხდომებს ახალისებდა და აფხაზეთს საქართველოს ტერიტორიად არ მიიჩნევდა. თეთრგვარდიელთა ლიდერი პირდაპირ აცხადებდა — „აფხაზეთი ერთიანი რუსეთის განუყოფელი ნაწილია!“***




ეფრემ ეშბა, სერგო ორჯონიკიძე

## ეფრემ ეშბა და სამშობლოს მოღალატე სერგო ორჯონიკიძე ჯერ კიდევ მოსკოვში შეთანხმდნენ, რომ საქართველოს გასაბჭოების შემთხვევაში, აფხაზეთი საბჭოთა საქართველოს შემადგენლობაში ავტონომიის სტატუსით უნდა შესულიყო!

1919 წლის იანვარში **დენიკინმა** სოხუმს შემოუტია, მაგრამ საქართველოს ჯარმა რუსების აგრესია მოიგერია. იმავე წლის ადრე გაზაფხულზე აფხაზეთის ახლად არჩეული სახალხო საბჭოს სესიაზე მიიღეს დადგენილება, რომლის თანახმადაც აფხაზეთი დანარჩენი საქართველოს შემადგენლობაში შევიდა, როგორც ავტონომიური რესპუბლიკა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციაშიც, რომელიც საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ 1921 წლის 21 თებერვალს, თბილისის დაცემამდე ოთხი დღით ადრე, მიიღო, აფხაზეთს **ავტონომიური რესპუბლიკის** სტატუსი აქვს მინიჭებული...

გენერალი **ანტონ დენიკინი** საქართველოს დაუძინებელი მტერი იყო და **იოსებ სტალინს** პირადად იცნობდა. მეორე მსოფლიო ომის დროს, კერძოდ, 1942 წელს, საფრანგეთში მყოფ **დენიკინს** ფაშისტებმა ბერლინში ჩასვლა და რუსეთის წინააღმდეგ **თეთრი ემიგრაციის** მობილიზება შესთავაზეს, მაგრამ მან ბრძოლაზე კატეგორიული უარი თქვა და განაცხადა — **სანამ ქვეყანას მართავს სტალინი, მანამ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ბრძოლას არავითარი აზრი არა აქვს, ყველა დამარცხდებაო!**

1945 წლის აპრილში, როცა ძლევამოსილი საბჭოთა არმია დიდებით შევიდა ბერლინში, საფრანგეთში მყოფ **დენიკინს** არ დაუმალავს, რომ მისი მიზანი შესრულებული იყო და **სტალინმა** გააკეთა ის, რისთვისაც თავად იბრძოდა — **რუსეთის იმპერია ასეთი ძლიერი და დიადი არასოდეს ყოფილა!**

1918 წლის ზაფხულში აფხაზეთში დიდი ამბები მოხდა... კერძოდ, **გენერალი გიორგი მაზნიაშვილი** 19 ივნისს სოხუმში შეიჭრა, საიდანაც აფსუა ბოლშევიკები გაყარა, რომლებიც აფხაზეთის დამოუკიდებლობას ითხოვდნენ; ხოლო 16 ივლისს გენერალმა სოჭიც აიღო. **მაზნიაშვილი** სოჭის აღებით არ დაკმაყოფილდა და 26 ივლისს ქართული ჯარი ტუაფსეში შევიდა... ამის შემდეგ ქართველები ყუბანის ველზე გაიჭრნენ და ტუაფსედან 24 კილომეტრის მოშორებით გაანადგურეს მტრის ჯავშნოსანი მატარებელი და **ანტონ დენიკინის** მოხალისეთა არმიის 4 ათასი ჯარისკაცი...



### ნოე ჟორდანია:

**გვეუბნებიან — ბზიფის წყალია თქვენი საზღვარიო! მაგრამ ეს ასე არაა. საუკუნეთა განმავლობაში საქართველოს საზღვარი გაგრის ჭიშკარი იყო და ჩვენ მას ვერ დავთმობთ!**

გაცოფებული **ანტონ დენიკინი** არამარტო ტუაფსესა და სოჭის, არამედ გაგრის სასწრაფოდ დაცლას და იქიდან ქართველების გასახლებას ითხოვდა. ცნობილი იმპერიალისტისა და რომანოვების ტახტის ერთგული გენერლის **ანტონ დენიკინის** ამ ულტიმატუმს ისეთი კოსმოპოლიტი და ეროვნული მუხტისგან დაცლილი პერსონაც კი აღშფოთებული შეხვდა, როგორიც **ნოე ჟორდანია** იყო. 1919 წლის 8 თებერვალს საქართველოს მთავრობის თავმჯდომარემ საქართველოს პარლამენტის სხდომაზე გენერალ **ანტონ დენიკინის** ულტიმატუმის პასუხად ასეთი რამ განაცხადა: ***„გაგრის ოლქი არის საქართველოს ჭიშკარი და გაგრის ჭიშკარი ჩვენ მიგვაჩნია სტრატეგიულ საზღვრად. გვეუბნებიან — ბზიფის წყალია თქვენი საზღვარიო! მაგრამ ეს ასე არაა. საუკუნეთა განმავლობაში საქართველოს საზღვარი გაგრის ჭიშკარი იყო და ჩვენ მას ვერ დავთმობთ!“***

აფხაზეთსა და ამ კონკრეტულ შემთხვევაში გაგრის ოლქზე მხოლოდ **დენიკინს** არ ეჭირა თვალი. მაგალითად, 1918 წლის 25 სექტემბერს დღევანდელ **კრასნოდარში** გამართულ შეხვედრაზე, რომელსაც მაშინ **ეკატერინოდარი** ერქვა, საქართველოს მთავრობის წარმომადგენლები — **ევგენი გეგეჭკორი** და გენერალი **გიორგი მაზნიაშვილი** ე.წ. **ყუბანის მთავრობის** წარმომადგენლებს — **ლუკა ბიჩსა და ნიკოლაი ვორობიოვს,** ასევე მოხალისეთა არმიის ბოსებს — გენერალ **მიხაილ ალექსეევს,** გენერალ **ანტონ დენიკინსა** და რუს მონარქისტს — მეორე, მესამე და მეოთხე სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატს, თეთრი მოძრაობის იდეოლოგ **ვასილი შულგინს** შეხვდნენ.

როგორც 1992-1993 წლების აფხაზეთის ომის დროს, რუსები ამ შემთხვევაშიც აფხაზეთისა და აფხაზების, ანუ სინამდვილეში **აფსუების** დამცველებად გამოვიდნენ. ამ მხრივ ეკატერინოდარში გამართულ შეხვედრაზე განსაკუთრებით გამოირჩეოდა და აქტიურობდა **ე.წ. ყუბანის მთავრობის** წარმომადგენელი, ყოფილი „სტატსკი სეკრეტარი“ **ნიკოლაი ვორობიოვი,** რომელმაც **ევგენი გეგეჭკორსა** და გენერალ **გიორგი მაზნიაშვილს** განუცხადა: ***„რაც შეეხება საქართველოს საზღვრებს, იგი უნდა განისაზღვროს მხოლოდ აფხაზეთამდე, რადგან ცნობები გვაქვს, რომ აფხაზები არაფერს ზოგავენ, ოღონდ ისევ შევიდნენ რუსეთის შემადგენლობაში. მართალია, ბოლო ხანებში საქართველოს მთავრობა ცდილობს, გააქართულოს ქალაქები, ნიშნავენ იქ კომისრებს და სხვა, მაგრამ ეს სულაც არ არის საკმარისი იმისათვის, რომ ეს ოლქები ქართულ ოლქებად ჩავთვალოთ!“***

ცნობისათვის, **ე.წ. ყუბანის რესპუბლიკა,** რომელიც საქართველოს მიმართ განსაკუთრებული აგრესიით გამოირჩეოდა, რუსულ-უკრაინული კვაზისახელმწიფო იყო, რომლის ბირთვსაც უკრაინულ და რუსულ ენაზე მოლაპარაკე კაზაკები შეადგენდნენ. **ევგენი გეგეჭკორი** და გენერალი **გიორგი მაზნიაშვილი** თანახმა იყვნენ, მოლაპარაკება მხოლოდ სოჭის ოლქის გარშემო გამართულიყო. **გეგეჭკორი** დენიკინსა და ალექსეევს უცხადებდა: ***„სოჭი, თანახმად მცხოვრებთა სურვილისა, დროებით უნდა დარჩეს საქართველოს საზღვრებში და დაჟინებით მოვითხოვ ამას!“***

რუსი იმპერიალისტები არათუ სოჭის, არამედ გაგრის ოლქის **ე.წ. ყუბანის რესპუბლიკასთან** მიერთებას ითხოვდნენ, რის გამოც დღევანდელ კრასნოდარში 1918 წლის 25 სექტემბერს დაწყებული მოლაპარაკებები ჩიხში შევიდა. **ნიკოლაი ვორობიოვი** 26 ოქტომბრის სხდომაზე კიდევ ერთი ანტიქართული განცხადებით გამოვიდა და თქვა, რომ ***„ბუნებაში არ არსებობს არცერთი ისტორიული ან ეთნოგრაფიული საბუთი, რომელიც გაგრისა და მისი ოლქის საქართველოსადმი კუთვნილებას დაადასტურებს!“*** **ვორობიოვმა** აფხაზეთი კიდევ ერთხელ გამოაცხადა „რუსულ მიწა-წყლად“ — ***„გაგრის აქეთ არის კიდევ აფხაზეთი, რომელსაც ჩასაყლაპად ვერავის მივცემთ. ჩვენ ვერ დავთმობთ რუსეთის მიწა-წყალს, როგორიც არის სოჭი და გაგრის ოლქები!“***

საბოლოო ჯამში კრასნოდარში გამართული შეხვედრა იმით დასრულდა, რომ გენერალმა **მიხაილ ალექსეევმა ევგენი გეგეჭკორთან და გიორგი მაზნიაშვილთან** მოლაპარაკება გაუქმებულად გამოაცხადა და **ე.წ. ყუბანის რესპუბლიკის** ხელმძღვანელობას უბრძანა, **საქართველოსთან ვაჭრობა, ნავთობისა და სურსათის ექსპორტი მანამდე გაეყინა, ვიდრე სოჭის ოლქი ქართული ჯარისგან მთლიანად არ იქნებოდა გაწმენდილი!**

**გიორგი ბრწყინვალედან მოყოლებული, შვიდასწლოვანი დაცემისა და**

## კვირგვინოსნები

**როდრიგო ბალესტერი**
*ბუდაპეშტის Mathias Corvinus Collegium-ის ევროპული კვლევების ცენტრის ხელმძღვანელი*



**რასა იუკნევიჩიენეს** და სხვა პუტჩისტებს, **კიდევ გაქვთ ძალა გადატრიალების მხარდასაჭერად?** ამის შემდეგ რის მტკიცებას დაიწყებთ, რომ **ეუთო პრორუსულია, რადგან გეწინააღმდეგებათ?**

„პირველი არხი“

**მამუკა გვაძაბია**
*დამოუკიდებელი ექსპერტი*



საქართველოს ბევრი **„უდიპლომო სასიძო“** ჰყავდა, მაგრამ **უდიპლომო პრეზიდენტი** ნონსენსია.

„ახალი თაობა“

**რომან გოცირიძე**
*ოპოზიციონერი პოლიტიკოსი*



**საპატრიარქოც მონაწილეობს იმ ძალადობაში,** რაც დღეს ქვეყანაში ხდება.

„რეზონანსი“

**ჟოუ ციენი**
*ჩინეთის ელჩი*



სამომავლოდ **საქართველო-ჩინეთის ურთიერთობები** იკვეთება **„შუა დერეფნის“, „სარტყელის და გზის“** ინიციატივის სინერგიით, საქართველო გააძლიერებს პოზიციებს, როგორც **გზაჯვარედინი რეგიონში.**

„ინფო-9“

**მამუკა ხაზარაძე**
*„ძლიერი საქართველოს“ ლიდერი*



**ტრამპი** „ოცნებას“ საქმეებს ისე დაულაგებს, რომ **გასაქცევად ექნებათ საქმე.**

„რეზონანსი“

**დავით იმედაშვილი**
*პროდიუსერი*



**რუსული ოცნება ცეცხლს მიეცით!!!**

„ინფო-9“

# აფხაზეთის, აფხაზებისა და აფსუების შესახებ?



**ტანჯვა-წამების შემდეგ, გენერალ გიორგი მაზნიაშვილისა და ერთი მუჭა პატრიოტების წყალობით, საქართველო არასოდეს ყოფილა ისეთი დიდი, როგორიც 1919 წლის ზაფხულში!**

**1921 წლის 25 თებერვალს თბილისში დატრიალებული ტრაგედიის შემდეგ დანარჩენ საქართველოში მოვლენები ელვის უსწრაფესად განვითარდა. მთავრობის გარეშე დარჩენილ ქვეყანას უმალ ეშმაკები დაეპატრონნენ და 1921 წლის 4 მარტს აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა.** 6 მარტს შეიქმნა **ე.წ. რევკომი,** რომელსაც სათავეში ჩაუდგნენ **ეფრემ ეშბა,** ლენინის მეგობარი **ნესტორ ლაკობა და ნიკოლოზ აკირტავა.** აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლება ჯერ კიდევ არ იყო გამოცხადებული, როცა 1921 წლის 2 მარტს **ეფრემ ეშბა** აცხადებდა: ***„სოხუმის ოლქის მოსახლეობის 80 პროცენტს შეადგენენ აფხაზები, რომლებსაც არ სურთ საქართველოში ცხოვრება!“***

როგორც პროფესორი **ავთანდილ სონღულაშვილი** აღნიშნავს, **ეფრემ ეშბას** ამ განცხადებას არავითარი საფუძველი არ ჰქონდა, რადგან სოხუმის ოლქში, სადაც მაშინ 36 ათასი აფხაზი ცხოვრობდა, ქართველები მაინც უმრავლესობაში იყვნენ. არადა, **ეფრემ ეშბა** და **სერგო ორჯონიკიძე** ჯერ კიდევ მოსკოვში შეთანხმდნენ, რომ საქართველოს გასაბჭოების შემთხვევაში, აფხაზეთი საბჭოთა საქართველოს შემადგენლობაში ავტონომიის სტატუსით უნდა შესულიყო. მაგრამ, როგორც კი **ეშბამ** და მისმა ანტიქართულმა ხროვამ აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადეს და პოზიციები გაიმყარეს, მოთხოვნები გაზარდეს. კერძოდ, მათ საქართველოსგან ჩამოშორება და აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნა მოითხოვეს! ამ მიზნით 1921 წლის 31 მარტს ბათუმში გაიმართა რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბ) კავკასიის ბიუროს ცენტრალური კომიტეტის თათბირი, სადაც ჩავიდა **სერგო ორჯონიკიძეც.** პარტიის ხელმძღვანელობითა და მისი ინიციატივით, ბათუმში გამართულ შეხვედრაზე მიიღეს გადაწყვეტილება აფხაზეთის ცალკე საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად გამოცხადების შესახებ.

## ანტონ დენიკინი:

## აფხაზეთი ერთიანი რუსეთის განუყოფელი ნაწილია!



## ნიკოლაი ვოროპიოვი:

## ჩვენ ვერ დავთმობთ რუსეთის მიწა-წყალს, როგორიც არის სოჭი და გაგრის ოლქები!



**აფხაზეთში დაბადებული და გაზრდილი ლავრენტი ბერია 1931 წლის 14 ნოემბერს საქართველოს ცეკას პირველი მდივანი ხდება და აფხაზეთში იწყებს დიდი ქართული პოლიტიკის გატარებას, რომლის მიზანსაც აფსუათა სეპარატიზმის ამოშანთვა და ქართული გენისა და ჯიშის გაძლიერება-გამრავლება წარმოადგენდა!**

**ისე, რომ საქართველოს ისტორიულ რეგიონში ქართული მოსახლეობისთვის არაფერი უკითხავთ, აფხაზეთი იურიდიულად საქართველოს ჩამოაშორეს. არადა, მაშინ აფხაზეთის მოსახლეობის 70 პროცენტი ქართველი იყო.**

აფსუური ისტორიოგრაფია აღნიშნულ ფაქტს ხელზე იხვევს და 1921-1931 წლების **„დამოუკიდებელი“ აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას** დღემდე მისტირის, თუმცა, იმის თქმას ყველა გაურბის, რომ 31 მარტს, როცა ბათუმში ზემოხსენებულ გადაწყვეტილებას ღებულობდნენ და საქართველოს ერთიანობას ძირს უთხრიდნენ, ამის შესახებ აფხაზეთში მცხოვრებ ქართველებს არაფერს ეკითხებოდნენ. მომხდარმა ფაქტმა აფხაზეთში ვითარება ძალიან დაძაბა და ქართული მოსახლეობა აიჯაგრა. ამის გამო კრემლში ითათბირეს, რუსეთის კომპარტიის (ბ) კავკასიის ბიუროს ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებებში შესწორებები შეიტანეს და 1921 წლის 16 დეკემბერს გამოაცხვეს ახალი გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც საბჭოთა საქართველომ და საბჭოთა აფხაზეთმა ხელი მოაწერეს **„განსაკუთრებულ სამოკავშირეო ხელშეკრულებას“,** რომლის ძალითაც **„აფხაზეთისა და საქართველოს“** ტერიტორიები გაერთიანდა. 1922 წლის მარტში, როცა ამიერკავკასიის ფედერაცია შეიქმნა, აფხაზეთი აქ ცალკე სუბიექტად არ შესულა, საქართველოს შემადგენელი ნაწილი იყო. დოკუმენტებიც ცხადყოფს და პროფესორი **ლევან თოიძეც** ადასტურებს, რომ 1924 წლის საბჭოთა საქართველოს კონსტიტუციაში აფხაზეთი მოხსენიებულია როგორც ავტონომიური რესპუბლიკა. პროფესორების — **ლევან თოიძისა და ავთანდილ მენთეშაშვილის** განმარტებითაც, საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის საბჭოთა რესპუბლიკების მსგავსად, **რუსეთის ფედერაციას თავისი წარმომადგენლები აფხაზეთში არასოდეს ჰყოლია, აფხაზეთის საბჭოთა რესპუბლიკა საერთაშორისო სამართლის სუბიექტი არასოდეს ყოფილა და აფხაზეთის ადგილობრივი ორგანოები ანგარიშვალდებული იყვნენ მხოლოდ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წინაშე.** ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, 1931 წლის 11 თებერვალს საქართველოს სსრ და აფხაზეთის სსრ საბჭოების მეექვსე ყრილობების გადაწყვეტილებით, აფხაზეთი საქართველოს შემადგენლობაში ავტონომიის უფლებით შევიდა!

ამ ამბიდან გაივლის, სულ რაღაც, 9 თვე და 1931 წლის 14 ნოემბერს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი, აფხაზეთში დაბადებული და გაზრდილი **ლავრენტი ბერია** საქართველოს ცეკას პირველი მდივანი ხდება და აფხაზეთში იწყებს დიდი ქართული პოლიტიკის გატარებას, რომლის მიზანსაც აფსუათა სეპარატიზმის ამოშანთვა და ქართული გენისა და ჯიშის გაძლიერება-გამრავლება წარმოადგენდა.

საფიქრებელია, რომ საქართველოს ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად დანიშვნის წინ **ლავრენტი ბერიამ** სტალინისგან აფხაზეთის „დამოუკიდებელი საბჭოთა რესპუბლიკის“ გაუქმება და ავტონომიის სტატუსით მისი საქართველოს შემადგენლობაში ოფიციალურად გაერთიანება მოითხოვა, რათა ხელ-ფეხი გახსნოდა და აფხაზეთში ის პოლიტიკა გაეტარებინა, რაც ერთიანი და დიდი საქართველოს ეროვნულ ინტერესებს შეესატყვისებოდა.

**ბერიას სიცოცხლეში აფხაზეთში აფსუათა სეპარატიზმი მართლაც ამოიძირკვა და საქართველოს ეს უძველესი კუთხე, რომელსაც საუკუნეთა განმავლობაში ცალკე ჩამოსახლებული სეპარატისტები და ცალკე რომანოვების რუსეთის იმპერიის ყურმოჭრილი მონები გლეჯდნენ, გაქართველდა.** სწორედ ბერიას პოლიტიკის შედეგი იყო ის, რომ 1938 წელს გააფსუებულმა ქართველმა **დიმიტრი გულიამ სიმონ ჯანაშიასთან და აკაკი შანიძესთან ერთად,** ქართული გრაფიკის საფუძველზე, შექმნა **ე.წ. აფხაზური ანბანი,** რომელიც სტალინისა და ბერიას მკვლელობის შემდეგ უმალ მოაშთეს. 1954 წელს რუსული კირილიცას საფუძველზე **დიმიტრი გულიამ** შექმნა თანამედროვე აფხაზური ანბანი...

ეს ტრაგიკომიკური პროცესი ზუსტად შეაფასა ქართული სიტყვის კლასიკოსმა **კონსტანტინე გამსახურდიამ,** რომელსაც მიაწერენ აფსუების მისამართით გასროლილ ასეთ ფრაზას — **იმ ერს რა ვუთხარ, რომელსაც ანბანის შემქმნელი დღესაც ცოცხალი ჰყავსო!**

***დიტო ჩუბინიძე***

## კვირგვინოსნები



**ირაკლი ქარსელაძე**
*რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი*

2025 წლის ბოლოსთვის **ყველა ქალაქი 24-საათიანი წყალმომარაგებით** იქნება უზრუნველყოფილი.

„აიპრესი“



**თეონა აქუბარდია**
*ოპოზიციონერი*

ჩვენ მუშაობას გავაგრძელებთ ჩვენს დასავლელ პარტნიორებთან, რათა **სანქციები შეეხოს** ოლიგარქ **ივანიშვილის** რეჟიმს.

„საქართველოს რესპუბლიკა“



**თამარ ჩარქვიანი**
*ყოფილი პარლამენტარი*

ვიღაცამ პიროტექნიკა ისროლაო... **უკაცრავად მაგრამ, სამშობლოს გვართმევენ, სახელმწიფოს მიტაცება ხდება.** ამის საპასუხოდ უფრო მშვიდობიანი აქცია მე იშვიათად მინახავს!

„ახალი თაობა“



**დავით ქიქინაძე**
*„ტრიბუნას“ თავმჯდომარე*

პუტჩისტების მიერ **ეროვნული ხელისუფლების დამხობის ცოდვა დღემდე მოგვყვება.** მაშინ ბევრი სალაფავზე გაიყიდა და იმ დანაშაულს ვიმკით დღესაც.

„ახალი თაობა“



**გია არაბიძე**
*ენერგეტიკოსი*

**„ნამახვანი“ და სხვა ჰესები უნდა აშენდეს** — ეს ერთადერთი გამოსავალია, რომ **ქვეყანა ენერგეტიკულად მყარად იყოს.**

„ახალი თაობა“



**გოდერძი შარაშიძე**
*ტელეჟურნალისტი*

ხმამაღლა შემიძლია ვთქვა, რომ **მეუღლის არჩევაში გამიმართლა.** თამამად ვაცხადებ, რომ **წარმატებული მამაკაცის უკან ყოველთვის კარგი ქალი დგას** და მე ამის ერთ-ერთი მაგალითი ვარ.

„სარკე“



## მიხეილ ცაგარელი:

# 7 სფერო, რომელშიც ასტროლოგია ყველაზე მეტად გვეხმარება

*— რა არის ასტროლოგიის ძირითადი ფუნქცია? რაში გვეხმარება და რისი დანახვის, გაცნობიერების ან გაგებისთვის წარმოადგენს იგი იდეალურ ინსტრუმენტს? ჯანმრთელობასთან დაკავშირებით წინასწარ რისი დანახვა, განსაზღვრა და რა ინფორმაციების მოწოდება შეუძლია ანდა რა როლს ასრულებს ადამიანის გამოჯანმრთელების პროცესში? — ამ და სხვა საკითხებზე ასტროლოგი* ***მიხეილ ცაგარელი*** *გვესაუბრება.*

**— როგორც ჩვენთან საუბრისას აღნიშნეთ, ადამიანები, ძირითადად, ასტროლოგიას ეცნობიან იმ მოკლე პროგნოზებით, რომელიც პრესასა თუ ინტერნეტში იბეჭდება და წინასწარ აცნობს ამა თუ იმ ზოდიაქოს ნიშნისთვის განკუთვნილ შესაბამის შესაძლო მომავლის მოვლენებს, მაგრამ ასტროლოგიური ცოდნა გაცილებით უფრო ღრმა და სერიოზულია...**

— ჭეშმარიტად, **ასტროლოგია ბევრად უფრო ღრმა, მრავალფეროვანი და სერიოზული დისციპლინაა და მის ძირითად ფუნქციას წარმოადგენს, დაეხმაროს ადამიანებს ცხოვრების გაუმჯობესებაში.** მითუფრო, რომ ჩვენი წუთისოფელ ია-ვარდით არ არის მოფენილი, წინააღმდეგობები უხვად გვხვდება, ბევრი დაბრკოლების გადალახვა გვიწევს. მიზნის არჩევისას და მისკენ სწრაფვისას ხშირია შეცდომებიც, უიღბლობაც, იმედგაცრუება თუ გულისტკივილი. თუმცა, ბევრია ასევე ლამაზი, სასიხარულო მოვლენა, სიყვარული, გამარჯვება და ახალ-ახალი იმედებიც. ვიღაც, შესაძლოა, უფრო მეტად იღბლიანია, ხოლო ზოგიერთ ჩვენგანს საწადელის მისაღწევად ბევრი ძალისხმევა მართებს. აი, სწორედ ამგვარი საკითხების მარტივად გააზრებასა და ოპტიმალური გზების მოძიებაში საუკეთესო დამხმარეა ასტროლოგია. მრავალსაუკუნოვანი ასტროლოგიური ცოდნის მეშვეობით, შესაძლებელია უმოკლეს დროში ისეთი სიღრმეების დანახვა, რომელიც სხვა საშუალებებით უხილავია და პასუხის გაცემაც შეუძლებელია ანდა ბევრი სხვადასხვა დარგის სპეციალისტის ჩარევასა და დიდ დროს ითხოვს.

**— კონკრეტულად, რა შემთხვევაში და რომელ საკითხში ძალუძს ასტროლოგიას დახმარების გაწევა?**

— შემიძლია, წარმოგიდგინოთ **შვიდი მნიშვნელოვანი სფერო,** რომელშიც ასტროლოგიური ცოდნა და გამოცდილება ყველაზე მეტად დაგვეხმარება.

**პირველი ასტროლოგია იდეალური ინსტრუმენტი გახლავთ: საკუთარი თავის, ხასიათის, მიდრეკილებების, პიროვნული თვისებების იდენტიფიკაციისთვის, თვითშემეცნებისთვის, საკუთარი „მე“-ს სიღრმისეულად დანახვისა და გააზრებისთვის, თვითრეალიზაციისთვის.** ამგვარად, მისი დახმარებით შესაძლებელია მიდრეკილებების, საკუთარი ხასიათის თავისებურებების, უნარების, ნიჭის გაცნობიერება. ასევე პრიორიტეტების, დანიშნულებისა და ცხოვრებისეული მისიის გაგება. გარდა ამისა, **ასტროლოგიის დახმარებით შესაძლებელია პიროვნული ნაკლოვანებებისა და სისუსტეების დანახვა და აღმოფხვრაც.** გააზრება იმისა, თუ რატომ ხდება კონკრეტული ადამიანის ცხოვრებაში გარკვეული მოვლენები და რა არის ამ ადამიანის ძლიერი ან სუსტი მხარე. ეს კი ერთ-ერთი ის აუცილებელი საკითხია, რომლის გარეშეც წინსვლა და წარმატების მიღწევა წარმოუდგენელია. ამ მიმართებით გარკვეულ როლს ასრულებს ადამიანის გარეგნული იერსახის თუ იმიჯის გაუმჯობესება ან მისი ნაწილობრივი ცვლილება, რაც ზრდის თავდაჯერებულობას და ამაღლებს ავტორიტეტს.

**მეორე მნიშვნელოვანი სფერო, რაშიც ასტროლოგია გვეხმარება, გახლავთ მედიცინა და ჩვენი ჯანმრთელობა. სწორედ ასტროლოგიას ძალუძს, წინასწარ დაინახოს და განსაზღვროს, ადამიანის ესა თუ ის შედარებით სუსტი ორგანოები, პოტენციური დაავადებები და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული შესაძლო პრობლემა.** ამის შედეგად, თადარიგითა და რჩევების გათვალისწინებით, შესაძლებელი ხდება მოსალოდნელი გართულებებისთვის გვერდის ავლა. გარდა ამისა, **ასტროლოგიას შეუძლია, წინასწარ ინფორმაცია მოგვაწოდოს ტრავმული და ავარიული პერიოდების შესახებ.** ამის საფუძველზე კი დროის მითითებულ მონაკვეთში, მეტი სიფრთხილისა და ყურადღების გამოვლენით, შევძლოთ, შესაძლო უსიამოვნებების თავიდან აცილება. ნიშანდობლივია ისიც, რომ **ასტროლოგიას ასევე დიდი წვლილის შეტანა ძალუძს ადამიანთა გამოჯანმრთელების პროცესშიც,** რამეთუ მისი დახმარებით შესაძლებელია როგორც მკურნალობის დაწყების, ამა თუ იმ პროცედურის და ქირურგიული ოპერაციის ჩატარებისთვის საუკეთესო თარიღის განსაზღვრა, ისე სხვადასხვა დიეტის დასაწყებად ოპტიმალური დროის დადგენა, რისი მეშვეობითაც აღნიშნული სამედიცინო მანიპულაციები უფრო შედეგიანად, ეფექტურად, პროდუქტიულად და გართულებების გარეშე ჩაივლის.

*რუბრიკას უძღვება*
***მარინა მერკვილაძე***



## 9-15 დეკემბრის ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** (21.03-20.04)
საქმეებში სასურველი შედეგის მისაღწევად აუცილებელი იქნება მეტი აქტიურობა, სხვებთან თანამშრომლობა და პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება. კარგი დროა ძველი საქმეების დასასრულებლად, ახალ პროექტებზე სამუშაოდ და ხანგრძლივი პარტნიორული თანამშრომლობის დასაწყებად. კარიერაში წინსვლისთვის შესაძლოა აუცილებელი გახდეს ცოდნის გაღრმავება. გაიზრდება შორს გამგზავრების ან ახალი ამაღელვებელი კავშირების დამყარების სურვილიც.

**კურო** (21.04-20.05)
პრაქტიკული მოქმედებებისა და საჭირო კავშირების დამყარებისას ადვილად დაასრულებთ ადრე დაწყებულ საქმეებს. მიუხედავად ამისა, განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილეთ ფინანსურ საბუთებზე, მონაცემების სისწორესა და უსაფრთხოებაზე. პირად და საქორწინო ურთიერთობებში ეცადეთ, არ იყოთ ზედმეტად მომთხოვნი და ჭირვეული. მეტი ყურადღება გმართებთ ჯანმრთელობის მიმართ, რადგან ენერგიის დაქვეითება არ აისახოს განწყობაზე. მოგზაურობა სასიკეთოდ აისახება მსოფლმხედველობაზეც და საქმეებზეც.

**ტყუპი** (21.05-22.06)
ენერგიულად მიუდექით ყველა საქმეს, მათ შორის, ადრე მიტოვებულსა და გადადებულსაც. კარგი დროა ახალი გეგმებისა და მიზნების ჩამოსაყალიბებლად, თუმცა, მოქმედება ნაადრევია. შეიძლება მოიმატოს შემოსავალმა, მაგრამ გასაკონტროლებელია ხარჯი. ახალი ინფორმაციის მიღებისას გადაამოწმეთ იგი, ახალ გაცნობილ ხალხს კი ადვილად ნუ ენდობით. კარგი დროა მოგზაურობის, ახალი კავშირებისა და ცოდნის მისაღებად. გართობა და დასვენება ცხოვრების ხალისს შეგმატებთ.

**კირჩხიბი** (23.06-22.07)
საზოგადოებრივი და სოციალური აქტიურობა გაიზრდება, თუმცა, მოიმატებს მოვალეობები და ვალდებულებებიც. მოქმედებისას შესაძლოა, გადააწყდეთ სირთულეებს, რომელთა დასაძლევად მეტად უსმინეთ ინტუიციას და თავი შეიკავეთ ემოციებისგან. მოგზაურობა და დასვენება დადებითად ჩაივლის. ამავდროულად, მუდამ კარგად ინფორმირებული იქნებით და გეცოდინებათ ყველა სიახლე. ძველი სასიყვარულო ურთიერთობა შეიძლება მეგობრულ კავშირში გადაიზარდოს.

**ლომი** (23.07-23.08)
მოიმატებს თქვენი შრომისუნარიანობა და კარგი იქნება, თუ ნებისმიერ საკითხს შემოქმედებითად მიუდგებით. ახალი პროექტები სრულად დაიკავებს თქვენს გონებას. იდეების სიუხვე მოითხოვს ცოდნის გაღრმავებასა და ჯგუფურად მუშაობას. კარგი დროა გართობისთვის, შემოქმედებითი მუშაობისთვის, სიყვარულისთვის და ახალი იდეების დემონსტრირებისთვის. ბევრ ადამიანთან მოგიწევთ ურთიერთობა და ამიტომ დროულად იზრუნეთ საკუთარ იმიჯსა და პრესტიჟზე.

**ქალწული** (24.08-23.09)
რთული დროა, ამიტომ აუცილებელია წინდახედულობა. ერთპიროვნულ გადაწყვეტილებებს ნუ მიიღებთ. ახალ საქმეებს ნუ დაიწყებთ. ჯობს, უარი თქვათ ყველა სახის მოგზაურობაზე და ეცადეთ, მოთოკოთ მოზღვავებული ემოციები. ჭარბი ენერგია მუშაობასა და ფიზიკურ ვარჯიშზე დახარჯეთ. ფინანსურ წინსვლასა და კარიერულ ზრდაში ხელს შეგიშლიან ფარული მტრები. მოერიდეთ უცნობ ადამიანებთან საქმიან და სასიყვარულო ურთიერთობას და მეტი დრო დაუთმეთ განათლებისა და დასვენების საკითხებს.

**სასწორი** (24.09-22.10)
ცხოვრებისეული ტემპი საკმაოდ მაღალი იქნება, თუმცა, ახალი საქმის დაწყება რეკომენდებული არაა. ასევე ეს პერიოდი არ უწყობს ხელს მოგზაურობას, სამაგიეროდ, კარგია სამომავლო გეგმების დაწყობისა და მოსამზადებელი სამუშაოების ჩასატარებლად. საქმიან პარტნიორთან უეცარი რთული სიტუაცია ან გაუგებრობა შეიძლება წარმოიქმნას, რის გამოც არაერთი კითხვა დაიბადება. ზედმეტი პირდაპირობით ეცადეთ, არ გააღიზიანოთ პარტნიორები და გარშემო მყოფთა აგრესია არ დაიმსახუროთ.

**ღრიანკალი** (23.10-22.11)
ახალი საქმეებს ნუ დაიწყებთ, რადგან შეცდომებისა და გაუგებრობების ალბათობა მაღალია. ნებისმიერი საქმის შესრულებისას გაგიჭირდებათ კომპრომისზე წასვლა. ოჯახში არ იყოთ მომთხოვნი და შეინარჩუნეთ სიმშვიდე, რათა არ გაგიუარესდეთ ჯანმრთელობის მდგომარეობა. საყვარელი ადამიანი დაგეხმარებათ სულიერი წონასწორობის შენარჩუნებაში. უცხოელებთან ურთიერთობა ხელს შეუწყობს თქვენი შემოსავლის ზრდას, თუმცა, მოგზაურობა რეკომენდებული არაა.

**მშვილდოსანი** (23.11-21.12)
არსებული მდგომარეობის მიუხედავად, ინტუიციაზე დაყრდნობით გაგიადვილდებათ სწორი არჩევანის გაკეთება. მაგრამ რადიკალური გადაწყვეტილება ჯობს, არ მიიღოთ. მეტ ყურადღებას მოითხოვს საბუთებისა და ოფიციალური დოკუმენტაციის შევსება. პარტნიორულ და სასიყვარულო ურთიერთობებში უნდა ისწავლოთ წონასწორობისა და ჰარმონიული მდგომარეობის შენარჩუნება, სხვისი ჩვევების შეგუება. მოერიდეთ მოგზაურობასა და პროვოკაციებს, ნუ გარისკავთ და გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.

**თხის რქა** (22.12-19.01)
საქმიანი ურთიერთობებისას თავი შეიკავეთ ძალდატანებისგან და გაითვალისწინეთ სხვისი აზრი. რისკი ამ პერიოდში გაუმართლებელია, რადგან მაღალი დანაკარგის ანაზღაურებას დიდი დრო დასჭირდება. ეს კარგი დროა დასვენებისთვის და ინტელექტუალური განვითარებისთვის. მიუხედავად ყველაფრისა, აუცილებლად დაიტოვეთ თუნდაც მცირე დრო პირადი ცხოვრებისა და ურთიერთობისთვის, რათა არ გაანაწყენოთ საყვარელი ადამიანი. ერიდეთ შორეულ მოგზაურობებსა და შემთხვევით ნაცნობობას.

**მერწყული** (20.01-18.02)
აქტიური მუშაობა დაგეხმარებათ დამოუკიდებლობის მოპოვებაში. ამ პერიოდში სასურველია, რაც შეიძლება ბევრი და საჭირო კონტაქტი დაამყაროთ, რათა მომავალში გაგიადვილდეთ მიზნის მიღწევა. მოლაპარაკებების წარმართვისას ნუ გაჯიუტდებით და საჭიროების შემთხვევაში დროულად წადით კომპრომისზე. უცხოეთში გამგზავრება საგრძნობლად გააფართოვებს თქვენს თვალსაწიერს და სასიამოვნო რომანტიკული შთაბეჭდილებებით აღგავსებთ. კარგი დროა მკურნალობის ჩასატარებლადაც.

**თევზები** (19.02-20.03)
დაძაბული და ემოციური დროა, როცა პარტნიორული, საქმიანი ან სასიყვარულო ურთიერთობების შენარჩუნება შეიძლება კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს. ნურავის შეჰპირდებით იმაზე მეტს, ვიდრე სინამდვილეში შეგიძლიათ, მაგრამ სხვებსაც ნუ დაავალებთ იმის შესრულებას, რაც თქვენ უკეთ გამოგდით. სახლში რაც არ უნდა მოიმოქმედოთ, აუცილებლად გაითვალისწინეთ ოჯახის სხვა წევრების აზრი და სურვილები. წინააღმდეგ შემთხვევაში მოგიწევთ, ბევრი დრო დახარჯოთ კამათსა და უსიამოვნებებზე. მოგზაურობა გადადეთ.

## მიმდინარე კვირის გეომაგნიტური დღეებია

**9, 12, 14 და 15 დეკემბერი**

**15 დეკემბერი - სავსემთვარეობა, პიკი - 13.03 საათზე;**
**31 დეკემბერი - ახალმთვარეობა, პიკი - 02.38 საათზე.**

# რას ურჩევს ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი ზოდიაქოს თორმეტივე ნიშნით დაბადებულებს?

## 9 დეკემბერი, ორშაბათი

**მზე** იმყოფება მშვილდოსნის ზოდიაქოში. ამოდის 07.16 საათზე, ჩადის 16.30 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (17.29) ვერძის ზოდიაქოში. ამოდის 12.45 საათზე, ჩადის 23.59 საათზე (მთვარის მე-10 დღე იწყება 14.23 საათზე. მე-2 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 12.46 საათიდან 17.39 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** ეს დღე ოჯახსა და შვილებს დაუთმეთ, საღამოს ემოციები გააკონტროლეთ. დღეს ჩადენილი ცუდი საქციელი ბუმერანგივით უკან დაგიბრუნდებათ. კარგი დღეა მგზავრობისთვის, ქორწინებისთვის, კაპიტალდაბანდებისთვის, კულინარიული საქმიანობისთვის. არ არის სასურველი ალკოჰოლის, ნარკოტიკული და ფსიქოტროპული საშუალებების მიღება, საიდუმლო საქმიანობა, ანალიზების ჩატარება, ექოსკოპია, ახალი საქმის დაწყება, ახალი ფეხსაცმლის ყიდვა ანდა ჩაცმა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია თვალები, ტერფები, ლიმფური სისტემა, თავი, სისხლძარღვები. **ქვები:** წითელი იასპი, ლალი, იაგუნდი, ძოწი, ფირუზი. **პოზიტიური დღეა** თხის რქისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ლომისთვის, სასწორისთვის.

## 10 დეკემბერი, სამშაბათი

**მზე** იმყოფება მშვილდოსნის ზოდიაქოში. ამოდის 07.17 საათზე, ჩადის 16.30 საათზე. **მთვარე** ვერძის ზოდიაქოშია. ამოდის 13.07 საათზე, ჩადის 11 დეკემბერს 01.10 საათზე (მთვარის მე-11 დღე იწყება 14.29 საათზე. მე-2 ფაზა). **ტენდენციები:** ფიზიკურად და სულიერად ნუ გადაიღლებით. ეფექტური იქნება ენდოკრინული სისტემის, კანის, ყელის, თირკმლების მკურნალობა. ენთუზიაზმი და თვითდაჯერება დაგეხმარებათ, დაარწმუნოთ გარშემო მყოფნი თქვენი იდეის მართებულობაში. კარგი დღეა სწრაფად შესრულებადი საქმისთვის, მოგზაურობისთვის, სპორტული ღონისძიებებისთვის, ტანსაცმელ-ფეხსაცმლის, ავეჯის, საყოფაცხოვრებო ნივთების, სპორტული ინვენტარის, მჭრელი საგნების შესაძენად, ხელმძღვანელთან კონტაქტისთვის. არ არის სასურველი ქორწინება, საფინანსო ოპერაციები, კაპიტალდაბანდება, მხედველობის გადაღლა, წესების დარღვევა, ხელშეკრულების დადება, სტომატოლოგიური პროცედურები. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია თავი, გრძნობათა ორგანოები, სისხლძარღვები. **ქვები:** წითელი იასპი, იაგუნდი, ლალი, ძოწი, ტოპაზი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის.

## 11 დეკემბერი, ოთხშაბათი

**მზე** იმყოფება მშვილდოსნის ზოდიაქოში. ამოდის 07.18 საათზე, ჩადის 16.30 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (19.49) კუროს ზოდიაქოში. ამოდის 13.32 საათზე, ჩადის 12 დეკემბერს 02.25 საათზე (მთვარის მე-12 დღე იწყება 14.37 საათზე. მე-2 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 02.15 საათიდან 19.56 საათამდე. **ტენდენციები:** სასიკეთო დღეა მეგობრული კონტაქტებისთვის და ვიზიტებისთვის. ურთიერთობისას იმატებს აზარტულობა, ბრძოლისუნარიანობა. ემოციები გააკონტროლეთ. თვალებს ნუ დაღლით. ეფექტური იქნება ფარისებრი ჯირკვლის, კანის, შარდსასქესო სისტემის მკურნალობა. კარგი დღეა ხელმძღვანელთან და ტექნიკასთან ურთიერთობისთვის, მგზავრობისთვის, ტანსაცმელ-ფეხსაცმლისა და საყოფაცხოვრებო ნივთების შესაძენად. არ არის სასურველი წესების დარღვევა, სულსწრაფობა, ხელშეკრულების დადება, საფინანსო ოპერაციები, სტომატოლოგიური პროცედურები, ცივი და გაზიანი სასმლის, ალკოჰოლის მიღება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია თავი, სისხლძარღვები, ყელი, ენდოკრინული სისტემა. **ქვები:** ლალი, იაგუნდი, წითელი იასპი, ძოწი. **საღამოს** — აქატი, მალაქიტი. **პოზიტიური დღეა** ტყუპისთვის, ლომისთვის. **ნეგატიურია** თხის რქისთვის, თევზებისთვის.

## 12 დეკემბერი, ხუთშაბათი

**მზე** იმყოფება მშვილდოსნის ზოდიაქოში. ამოდის 07.19 საათზე, ჩადის 16.31 საათზე. **მთვარე** კუროს ზოდიაქოშია. ამოდის 14.00 საათზე, ჩადის 13 დეკემბერს 03.42 საათზე (მთვარის მე-13 დღე იწყება 14.48 საათზე. მე-2 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** სასიკეთო დღეა ყოველდღიური საქმეებისთვის, ურთიერთობის აღსადგენად და პატიებისთვის, ურთიერთობისას გააკონტროლეთ გამონათქვამები. ტრავმული დღეა, სიფრთხილე გმართებთ. ეფექტური იქნება სუნთქვითი ვარჯიშები, სახის კანისა და თმის კვება. კარგი დღეა ახალი ნაცნობობისთვის, მეგობრული კონტაქტებისთვის, ვაჭრობისთვის, შემოქმედებისთვის, მგზავრობისთვის, ტანსაცმელ-ფეხსაცმლის, ცხოველების შესაძენად, მგზავრობისთვის, მშენებლობისთვის. არ არის სასურველი ორპირ ქარში ყოფნა, მკვეთრი მოძრაობები, ცივი და გაზიანი სასმლის მიღება, სულსწრაფობა, სარისკო ქმედება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ყელი, ენდოკრინული სისტემა, სწორი ნაწლავი. **ქვები:** აქატი, მალაქიტი. **პოზიტიური დღეა** კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, ტყუპისთვის, მერწყულისთვის.

## 13 დეკემბერი, პარასკევი

**მზე** იმყოფება მშვილდოსნის ზოდიაქოში. ამოდის 07.20 საათზე, ჩადის 16.30 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (21.14) ტყუპის ზოდიაქოში. ამოდის 14.34 საათზე, ჩადის 14 დეკემბერს 05.02 საათზე (მთვარის მე-14 დღე იწყება 15.04 საათზე. მე-2 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 16.40 საათიდან 21.23 საათამდე. **ტენდენციები:** დღეს მოერიდეთ განკითხვასა და გაკიცხვას. საღამოს არ გათქვათ საიდუმლო და ზედმეტს ნუ ილაპარაკებთ. კარგი დღეა ვაჭრობისთვის, ქორწინებისთვის, მგზავრობისთვის, ახალი ნაცნობობისთვის, მეგობრული კონტაქტებისთვის, ტანსაცმელ-ფეხსაცმლის, პარფიუმერია-კოსმეტიკის, უძრავი ქონების, ავეჯის შესაძენად, მშენებლობისთვის, საფინანსო-საბანკო ოპერაციებისთვის. არ არის სასურველი გეგმების დასახვა, სარისკო ქმედება, სულსწრაფი გადაწყვეტილების მიღება, მკვეთრი მოძრაობა, ცივი სასმლის დალევა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ყელი, ენდოკრინული სისტემა, სწორი ნაწლავი, ფილტვები, ბრონქები. **ქვები:** აქატი, მალაქიტი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, თხის რქისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ტყუპისთვის, ლომისთვის, სასწორისთვის.

## 14 დეკემბერი, შაბათი

**მზე** იმყოფება მშვილდოსნის ზოდიაქოში. ამოდის 07.20 საათზე, ჩადის 16.31 საათზე. **მთვარე** ტყუპის ზოდიაქოშია. ამოდის 15.18 საათზე, ჩადის 15 დეკემბერს 06.22 საათზე (მთვარის მე-15 დღე იწყება 15.31 საათზე. მე-2 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** პროვოკაციებს მოერიდეთ და ემოციები გააკონტროლეთ. მოვლენების მსვლელობას დააკვირდით. უაზრო საუბარს ერიდეთ. შედეგიანი იქნება ღვიძლის, ნაღვლის ბუშტის, საზარდულის, მენჯ-ბარძაყის მკურნალობა. კარგი დღეა კონტაქტებისთვის, ინტერვიუებისა და რეკლამირებისთვის, ინფორმაციის მიღება-გადაცემისთვის, საკომუნიკაციო აპარატების, კომპიუტერების შესაძენად, სწავლისთვის. არ არის სასურველი ზედმეტი ლაპარაკი, საიდუმლოს გამხელა, ახალი თანამშრომლის მიღება, სიმძიმის აწევა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია სუნთქვითი სისტემა, ხელები, მხრები. **ქვები:** ტოპაზი, აკვამარინი, ნეფრიტი, ამაზონიტი, ჰიაცინტი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის, თხის რქისთვის.

## 15 დეკემბერი , კვირა

**მზე** იმყოფება მშვილდოსნის ზოდიაქოში. ამოდის 07.21 საათზე, ჩადის 16.31 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (23.10) კირჩხიბის ზოდიაქოში. ამოდის 16.12 საათზე, ჩადის 16 დეკემბერს 07.37 საათზე (**სავსემთვარეობაა,** პიკი — 13.03 საათზე. ამ დროს იწყება მე-3 ფაზა. მთვარის მე-16 დღე იწყება 16.15 საათზე). **გეომაგნიტური დღეა. მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 18.33 საათიდან 23.22 საათამდე. **ტენდენციები:** იმატებს დეპრესია-აგრესიის, ცდუნების, შეცდომის, ტრავმების, ავარიების, კონფლიქტების ალბათობა. მოერიდეთ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებას, უჰაერო სივრცეში დიდხანს ყოფნას. სასიკეთოა ლოცვა და ყველას დალოცვა. კარგი დღეა სუნთქვითი ვარჯიშებისთვის, მიმოწერისთვის, სწავლისთვის, სამეცნიერო კვლევისთვის. არ არის სასურველი საიდუმლოს გამჟღავნება, ქორწინება, ყიდვა-გაყიდვა, სესხის აღება ან გაცემა, ჭორაობა, ახალი საქმის დაწყება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ფილტვები, ბრონქები, მხრები, ხელები, კუჭი. **ქვები:** ტოპაზი, აკვამარინი, გიშერი, ამაზონიტი, ობსიდიანი. **პოზიტიური დღეა** ტყუპისთვის, ლომისთვის, სასწორისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, თევზებისთვის.

# საეკლესიო კალენდარი

✝ **9 დეკემბერი. ორშაბათი.** ღირსისა ალვიპი მესვეტისა; ღირსისა იაკობ განდეგილისა; დიდმოწამე გიორგის ტაძრის განახლებისა კიევში; ღირსისა აკაკი სინელისა, „კიბესა“ შინა მოხსენიებულისა.

✝ **10 დეკემბერი. სამშაბათი.** დიდმოწამისა იაკობ სპარსისა; ღირსისა პალალი ალექსანდრიელისა; ღირსმოწამეთა ჩვიდმეტთა მონაზონთა ინდოეთს; ღირსისა რომანოზისა.



13 დეკემბერი – წმიდისა დიდისა მეფისა ვახტანგ გორგასალისა



12 დეკემბერი – ხსენება მღვდელმოწამისა აბიბოსისა, ნეკრესელი ეპისკოპოსისა

✝ **11 დეკემბერი. ოთხშაბათი.** ღირსმოწამისა და აღმსარებელისა სტეფანე ახლისა; მოწამისა ირინარქესი და წმიდათა 7-თა დედათა; მოწამეთა: სტეფანესი, ბასილისა, გრიგოლისა, სხვა გრიგოლისა, იოანესი და სხვათა მრავალთა.

✝ **12 დეკემბერი. ხუთშაბათი.** მღვდელმოწამისა აბიბოსისა, ნეკრესელი ეპისკოპოსისა; მოწამისა პარამონისა და მისთანა 370-თა მოწამეთა; მოწამისა ფილუმენისა.

✝ **13 დეკემბერი. პარასკევი. წმიდისა და ყოვლადქებულისა მოციქულისა ანდრია პირველწოდებულისა, საქართველოში ქრისტეს პირველმქადაგებელისა; წმიდისა დიდისა მეფისა ვახტანგ გორგასალისა;** პეტრე I კათალიკოსისა, წმიდისა დიდისა მეფისა ვახტანგ გორგასლის თანამოღვაწისა; სამოელ I კათალიკოსისა; ფრუმენტისა, ინდოელი მთავარეპისკოპოსისა.

✝ **14 დეკემბერი. შაბათი.** წინასწარმეტყველისა ნაუმისა; მართლისა ფილარეტ მოწყალისა; მოწამისა ანანია სპარსისა.

✝ **15 დეკემბერი. კვირა.** წინასწარმეტყველისა ამბაკუმისა; ღირსისა ისესი, წილკნელი ეპისკოპოსისა. 13 ასურელ მამათაგანისა; მოწამისა მიროპიასი; ღირსთა: იოანესი, ირაკლემონისა, ანდრიასი და თეოფილესი.



13 დეკემბერი – მოციქულისა ანდრია პირველწოდებულისა, საქართველოში ქრისტეს პირველმქადაგებელისა




მაღაზია «ბუკვიცა»

ყიდულობს და ყიდის რუსულ და ქართულ ანტიკვარულ წიგნებს, დაბეჭდილს1945 წლამდე

574-73-46-96, 243-01-17, 555-68-82-90

მისამართი: დ.უზნაძის №15, ქურდიანის №2.

ლეგენდარული დიმიტრი ალავიძე
ლეგენდარული ვასილ მჟავანაძის
პირველი სტუმრობიდან 58-ე წელია,

მცხეთის სალობიეში

გეპატიჟებათ!





### 32-ე გვერდზე გამოქვეყნებული ლენტვორდებისა და კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 4. ღერღილი; 9. საგა; 11. მურაკამი; 12. მძიმე; 13. მანდელა; 14. ნირი; 15. დარეჯანი; 16. მდადე; 17. ლიეპაია; 18. მუნო; 19. ტეტანუსი; 23. ტატრა; 24. ლოკალი; 27. ლუიშ; 29. ლაბირინთი; 30. მაგი; 32. რემარკი; 34. აპოლოგეტი; 39. ლონდონი; 40. წიწაკა; 43. მუსტანგერი; 44. ნიკორა; 45. ლამარია; 46. კარაბადინი; 51. დუქანი; 54. სეტერი; 57. მაზანდა; 58. აბასი; 59. მელომანია; 60. როტონდა; 61. ნეილონი; 62. მარაკანა.

შვეულად: 1. კურარე; 2. კაპელა; 3. მარაბუ; 4. ღიმილი; 5. რანჩერო; 6. იკებანა; 7. იმამატი; 8. ბიზანტია; 9. სენეგალი; 10. გარანტია; 19. ტალღა; 20. ტაბლო; 21. ნორიო; 22. სანტე; 24. ლირი; 25. კომლი; 26. ლურჯა; 28. შერიდანი; 30. მილა; 31. განგი; 33. ბობოლა; 35. პაუზა; 36. ლიტრა; 37. გენია; 38. ტრეკი; 40. წილი; 41. წუმპე; 42. კარნე; 44. ნადი; 46. კამერა; 47. როზეტი; 48. ბანანი; 49. დრამა; 50. ნიბლია; 52. ქაბული; 53. ნისანი; 54. სამბა; 55. ტონგა; 56. რიანა.

კოდალაბადაგიორგიაფერარიმესამეგრემილოსიონი
მეოთხედისკოლამარიაჟირაფიელიტალიახვიჩაპეკი

| ხეკაკუნა ფრინველი | დადუღებული ყურძნის წვენი | თავაშვებული დროსტარება | იტალიური ავტო | სამის რიგობითი რიცხვითი სახელი | აშშ-ის პოპმუსიკის ჯილდო | ინანთეული – სურნელოვანი სითხე |
|---|---|---|---|---|---|---|

| სოფელი ქარელის რაიონში | საწვიმარი | საქართველოს მეფე ... ბრწყინვალე | ყალთა-ბანდობა | ფულის მისაღები თამასუქი | ჟ. სიმენონის კომისარი | კუნძული ეგეოსის ზღვაში | რაიონი რაჭაში |
|---|---|---|---|---|---|---|---|



თარაზულად: 4. სიმინდის ძლიერ მსხვილად დაჭრილი მარცვლები; 9. ჯ. გოლზუორთი — „ფორსაიტების ...“; 11. იაპონელი მწერალი; 12. სასვენი ნიშანი; 13. აფრიკელი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე; 14. ზნე, ხასიათი; 15. ლუარსაბის ცოლი („კაცია ადამიანი?!“); 16. პატარძლის მაყარი ქალი; 17. ქალაქი ლატვიაში; 18. ფრანგი კომპოზიტორი; 19. მწვავე ინფექციური დაავადება, გაშეშება; 23. ჩეხური ავტომობილი; 24. კაფე, სასაუზმე გერმანიაში; 27. ფეხბურთელი ... ფიგუ; 29. ყურის შიგნითა ნაწილი; 30. ჯადოქარი, მისანი; 32. მწერალი ერიხ მარია ...; 34. ადამიანი, რომელიც ვისამე ან რისამე შექებას ეწევა; 39. დიდი ბრიტანეთის დედაქალაქი; 40. მწარე სანელებელი; 43. მორის ჯერალდის „პროფესია“ („უთავო მხედარი“); 44. ქართული ხორცპროდუქტების ფირმა; 45. მარცვლეულის ნაყოფიერების ქართველი ქალღვთაება; 46. ძველი სამკურნალო წიგნი; 51. ძველი სავაჭრო ან პატარა სასადილო დაწესებულება; 54. ძაღლის ჯიში; 57. რისამე ფასი კერძო ბაზარში; 58. ირანის შაჰი; 59. მუსიკის დიდი სიყვარული; 60. გუმბათიანი მრგვალი ნაგებობა; 61. ხელოვნური ბოჭკო; 62. სტადიონი რიო დე ჟანეიროში.

შვეულად: 1. ძლიერი შხამი, რომლის მიღებაც იცოდნენ სამხრეთ ამერიკელმა ინდიელებმა; 2. კათოლიკური სამლოცველო; 3. ყარყატების ოჯახის დიდი ფრინველი; 4. კ. გამსახურდია — „დიონისოს ...“; 5. რანჩოს მეპატრონე; 6. იაპონური დეკორატიული ხელოვნება; 7. იმამის ხელისუფლება; 8. აღმოსავლეთ რომის იმპერია; 9. აფრიკის სახელმწიფო; 10. საწინდარი; 19. ზვირთი; 20. შუქოვანი დაფა; 21. სოფელი გარდაბნის რაიონში; 22. რძის პროდუქტების ფირმა; 24. უ. შექსპირის „მეფე ...“; 25. სოფელში მცხოვრები ცალკე ოჯახი; 26. მაგდანას ვირი (ლიტ.); 28. ინგლისელი დრამატურგი; 30. მსახიობი ... იოვოვიჩი; 31. მდინარე ინდოეთში; 33. კულაკი; 35. ხანმოკლე შეჩერება მეტყველების დროს; 36. ერთგვარი თიხის ჭურჭელი; 37. უდიდესი ნიჭი; 38. ველოდრომი; 40. ტილის კვერცხი; 41. დაგუბებული უსუფთაო წყალი; 42. ფრანგი რეჟისორი; 44. მამითადი; 46. საკანი; 47. პატარა სამურაბე თეფში; 48. ტროპიკული ხილი; 49. მძიმე შემთხვევა, უბედურება; 50. პატარა, ჭრელი, მგალობელი ჩიტი; 52. ავღანეთის დედაქალაქი; 53. იაპონური ავტომობილი; 54. ბრაზილიელი ზანგების ცეკვა; 55. ველორიქშა ინდოეთში; 56. ბარბადოსელი მომღერალი ქალი.

*კროსვორდისა და ლენტვორდების პასუხები იხ. 31-ე გვერდზე*

| ოთხ ნაწილად გაყოფილი მთელის ერთი ნაწილი | საშუალო სასწავლებელი | ქორწილი (ფრანგ.) | მწერალი ... ერისთავი | ევროპის სახელმწიფო | ... კვარაცხელია | მსახ. გრეგორი ... |
|---|---|---|---|---|---|---|

| ოთხის რიგობითი რიცხვითი სახელი | მზის, მთვარის მოხაზულობა | ნაყოფიერების ქართ. ქალღვთაება | აფრიკული ცხოველი | „უმაღლესი“ საზოგადოება | მდინარე საქართველოში | ჩეხი მწერალი |
|---|---|---|---|---|---|---|

## ვარსკვლავები (არ) ხუმრობენ...

სასიამოვნო, სასიკეთო დღე.

პლანეტების ზეგავლენა არაკეთილსასურველია. მნიშვნელოვანს ნურაფერს მოიმოქმედებთ და ნურც ახალ საქმეს წამოიწყებთ.

მოთმინება, თავშეკავება და განსჯის უნარი გამოიჩინეთ.

ნურავის ენდობით, შეიძლება მოგატყუონ. სიფრთხილე გამოიჩინეთ მეგობრებთან და ბავშვებთან ურთიერთობაში.

მოიწყვეთ პირადი ცხოვრება, დახვეწეთ ინტიმური ურთიერთობები, ყველაფერს შემოქმედებითად მიუდექით.

მოვლენათა უეცარი შემობრუნება, ფრიად პერსპექტიული წინადადებები გელით.

მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, პროფესიული წარმატებები.

მოერიდეთ ურთიერთობას უფროსობასთან და იმ ადამიანებთან, რომელთაც დიდი ზეგავლენა აქვთ თქვენზე. ნუ შეეცდებით, უფრო სოლიდურად გამოიყურებოდეთ.

რთულ მომენტში დახმარებისათვის მეგობრებს, თანატოლებსა და ახლობლებს მიმართეთ.

ნუ გარისკავთ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.

შესაძლოა, გქონდეთ სასიამოვნო და საჭირო შენაძენი.




რეკომენდებულია ინიციატივისა და აგრესიულობის გამოვლენა.

შრომისუნარიანობის ამაღლება. შედეგი დიდად არის დამოკიდებული თქვენს შრომისმოყვარეობაზე.

კარგი სიახლენი, საუკეთესო პერსპექტივა და სასიხარულო მოვლენები გელით.

მოერიდეთ კამათსა და კონფლიქტებს. უარი თქვით ალკოჰოლურ სასმელებზე.

წარმატებას გიქადით ნებისმიერი სახის მგზავრობა. ენდეთ საკუთარ ინტუიციას.

სოლიდურ, ცნობილ ხალხთან და უფროსობასთან კონტაქტი სარგებელს მოგიტანთ.

ნუ გაგიტაცებთ პირადი ცხოვრება და შემოქმედება. უფრთხილდით იმედგაცრუებას.

შეძლებისდაგვარად გადადეთ მგზავრობა. მოერიდეთ ჰიპნოზიორებთან და ექსტრასენსებთან ურთიერთობას.

შეგიძლიათ ცოტა გადაჰკრათ კიდეც. სასიამოვნოა პრეზენტაციებსა და პრემიერებზე დასწრება.

გაფრთხილდით კოლეგებთან, ნათესავებთან და მეზობლებთან ურთიერთობისას.

იქონიეთ კონტაქტი ბუნებასთან, მოუარეთ შინაურ ცხოველებს. იყავით კეთილნი და გულმოწყალენი.


დაარსებულია 1992 წლის 3 მარტს

დამოუკიდებელი და ზეპარტიული

ასავალ დასავალი

2024 წლის 9 – 15 დეკემბერი №51 (1569)

გამოდის ორშაბათობით

მეფიაჯოჩპოჩაცია "ასავალ-ფასავალი". საგამომცემლო სახლი "ასავალ-ფასავალი"

მთავარი რედაქტორი ლაშა ნადარეიშვილი


*აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელ ავტორთა განწყობა გადამოწმებას არ ექვემდებარება. მასალის დაუბეჭდაობა არ მოტივირდება.*


**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ ფოსტაზე:**

**mail@asavali.com**

„ასავალ-დასავალის“ ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www. asavali.com**

ოფიციალური გვერდი ფეისბუქზე: **www. facebook.com/Asavali.com**

გაზეთი დაბეჭდილია **„ასავალ-დასავალის“ სტამბაში.**


